თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ვლადიმერ ახალაია
ირინე ახალაია

ბ ე რ მ ა ნ ი ა

გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური
და პოლიტიკური ნარკვევი

დამხმარე სახელმძღვანელო
სტუდენტებისათვის

გამომცემლობა „ენა და კულტურა"
2004

უაკ (UDC) 910
ა081

წიგნში გადმოცემულია მსოფლიოს ერთ-ერთი მაღალგანვითარებული ქვეყნის-გერმანიის ფიზიკური გეოგრაფიის, დემოგრაფიის, ეკონომიკური განვითარებისა და სახელმწიფო წყობილების ძირითადი საკითხები.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტებისათვის და გერმანიის ქვეყანათმცოდნეობის შესწავლით დაინტერესებული ფართო მკითხველისათვის.

რედაქტორი: პროფესორი ვალერიან რეხვიაშვილი

რეცენზენტები: ეკონომიკურ მეცნიერებათა
კანდიდატი დოც. შალვა ნათენაძე
გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი
ჯემალ კაპანაძე

ტექნიკური რედაქტორი: ირაკლი შეშელიძე

გამომცემლობა "ენა და კულტურა"

Staatliche Ilia Tschawtschavadse Universität
für Sprache und Kultur von Tbilissi

Wladimer Achalaia

Irine Achalaia

D e u t s c h l a n d

geographischer, sozial-ökonomischer und politischer Abriss

Hilfslehrwerk für Studierende

"Sprache und Kultur"
Tbilissi, Georgien
2004

Das Buch betrachtet grundlegende Probleme der physischen Geographie, Demographie, der wirtschaftlichen Entwicklung und staatlichen Ordnung eines der hochentwickelten Länder Europas.

Das Buch ist für Studenten und breiten Publikumskreis, der für Landeskunde Deutschlands Interessenten bestimmt.

Redaktor: Professor **Walerian Rechwiaschwili**

Rezensenten: Dozent **Schalwa Natenadse**
Dozent **Dschemal Kapanadse**

Technischer Redakteur: **Irakli Scheschelidse**

Verlag
„Sprache und Kultur"
2004

შინაარსი

წინასიტყვაობა 9

თავი I. გერმანიის მდებარეობა და ბუნებრივი პირობები

1. გერმანიის გეოგრაფიული მდებარეობა, ტერიტორია, საზღვრები 11
2. გერმანიის რელიეფი 14
3. გერმანიის წიაღისეული სიმდიდრეები 17
4. გერმანიის კლიმატი 20
5. გერმანიის შიდა წყლები და წყლის რესურსები . . . 23
6. მცენარეთა და ცხოველთა სამყარო, ნიადაგები, მიწის გამოყენება 28
7. ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება. ბუნების დაცვა 32

თავი II. გერმანიის მოსახლეობა.

1. მოსახლეობის რაოდენობა, დინამიკა, ასაკობრივი და სქესობრივი შემადგენლობა . . . 35
2. გერმანელი კოლონისტები საქართველოში . . . 41
3. მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება, ურბანიზაცია 43
4. მოსახლეობის დასაქმება, სოციალური და პროფესიული შემადგენლობა 47
5. მოსახლეობის ეთნიკური და რელიგიური შემადგენლობა 52

თავი III. გერმანიის ეკონომიკა და სოციალური სფერო

1. ეკონომიკის განვითარების თავისებურებანი . . . 56
2. ეკონომიკის ზოგადი დახასიათება 66
3. მრეწველობა და მისი დარგები 72

4. სოფლის მეურნეობა და მისი დარგები 85
5. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა 92
6. საგარეო ეკონომიკური კავშირები 101
7. გერმანია-საქართველოს ეკონომიკური
ურთიერთობები 107
8. ფინანსები და საბანკო საქმე 110
9. ჯანდაცვისა სისტემა და სამედიცინო
დახმარების ორგანიზაცია 116
10. განათლების სისტემა 120

თავი IV. გერმანიის სახელმწიფო წყობილება და
პოლიტიკური კულტურა
1. სახელმწიფო წყობილება 128
2. გერმანიის ხელისუფლების ფედერალური
(უმაღლესი) ორგანოები 133
ბუნდესტაგი 134
ბენდესრატი 136
ფედერალური პრეზიდენტი 138
ფედერალური მთავრობა 141
3. მმართველობის რეგიონალური ორგანოები . . . 144
4. ადგილობრივი თვითმმართველობა 151
5. სასამართლო ხელისუფლება 154
6. გერმანიის პარტიულ-პოლიტიკური სისტემა . . . 157
7. საარჩევნო სისტემა 165
8. გერმანია და ევროპის კავშირი 167

ლიტერატურა 171

Inhaltsverzeichnis

Vorwort 9

Kapitel I. Lage und Landschaft

1. Geographische Lage, Fläche und Grenzen 11
2. Relief 14
3. Bodenschätze 17
4. Klima 20
5. Gewesser, Wasserressourcen 23
6. Pflanzen- und Tierwelt, Böden und Bodennutzung 28
7. Rationale Nutzung natürlicher Ressourcen 32

Kapitel II. Bevölkerung

1. Bevölkerungsdichte, Dynamik, Alters- und Geschlechtszusammensetzungen 35
2. Deutsche Kolonisten in Georgien 41
3. Siedlungsgebiete, Urbanisation 43
4. Beschäftigungsgrad der Bevölkerung, soziale und berufliche Zusammensetzung 47
5. Ethnische und religiöse Zusammensetzung der Bevölkerung . . . 52

Kapitel III. Wirtschaft ud Sozialbereich

1. Besonderheiten der wirtschaftlichen Entwicklung 56
2. Allgemeine Beurteilung der Wirtschaft 66
3. Industrie und Industriezwege 72
4. Landwirtschaft und deren Zweige 85
5. Verkehr und Kommunikation 92
6. Auswärtige Wirtschafsbeziehungen 101
7. Deutsch-georgische Wirtschafsbeziehungen 107
8. Finanzen und Bankwesen 110
9. Gesundheitswesen und Organisation der ärtzlichen Hilfe 116
10. Bildungswesen 120

Kapitel IV. Staatsordnung und politische Kultur

1. Staatsordnung 128
2. Organe der Bundesregierung 133
Der Bundestag 134
Der Bundesrat 136
Der Bunderpräsident 138
Die Bundesregierung 141
3. Regionale Verwaltungsorganen 144
4. Kommunalen Selbstverwaltung 151
5. Gerichtsgewalt 154
6. Partei-Politisches-System 157
7. Das Wahlsystem 165
8. Deutschland und die EU 167

წინასიტყვაობა

წინამდებარე დამხმარე სახელმძღვანელოს საფუძვლად დაედო პროფ. ვ. ახალაიას მიერ თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებისათვის წაკითხული ლექციების კურსი, რომლის გადამუშავებასა და ახალი მასალებით შევსებაში მონაწილეობა მიიღო ირინე ახალაიამ.

წიგნი შედგენილია ჩვენი უნივერსიტეტის ეკონომიკისა და საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა კათედრის მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით. მასში განხილულია გერმანიის ფიზიკური გეოგრაფიის, დემოგრაფიის, ეკონომიკისა და სახელმწიფო წყობილების აქტუალური საკითხები. ამ საკითხების შესწავლა სტუდენტებს საშუალებას მისცემს უფრო ნათლად წარმოადგინონ გერმანიის გარემო პირობები, მისი ეროვნული, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების შედეგები. მათი ცოდნა ხელს შეუწყობს, როგორც სტუდენტთა საერთო განათლების დონის ამაღლებას, ასევე სპეციალობათა შესწავლასაც.

ამ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა სტუდენტთა დაინტერესება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის გერმანიაში განვითარებული მოვლენების მიმართ. ამჟამად გერმანია, როგორც მაღალგანვითარებული დემოკრატიული ქვეყანა დიდ გავლენას ახდენს სხვა ქვეყნების განვითარებაზე. ამიტომ ბუნებრივია, ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანიის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების გამოცდილებათა შესწავლასა და გათვალისწინებას. წიგნში ნაჩვენებია გერმანიის სოციალურ- ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ყველაზე თვალსაჩინო მოვლენები, რომლებიც ცალკეულ შემთხვევაში შედარებულია სხვა ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებთან.

ამავე დროს აღსანიშნავია ისიც, რომ ქართულ ენაზე ჩვენს წიგნში განხილულ საკითხებზე უახლესი ლიტერატურა არა გვაქვს. ხოლო საბჭოთა პერიოდში დაბეჭდილ

წიგნებსა და სტატიებში ეს საკითხები ცალმხრივად, არაობიექტურადაა განხილული. ამ მხრივ ჩვენი დამხმარე სახელმძღვანელო არსებული სიცარიელეთა შევსების მცდელობაც არის. ეს წიგნი ქართულ ენაზე გერმანიის ქვეყანათმცოდნეობის პირველი პუბლიკაციაა.

ცხადია, ეს წიგნი დაზღვეული არ იქნება ცალკეული ნაკლოვანებებისაგან და მას არც აქვს "სრულყოფილების" პრეტენზია. ჩვენ მივესალმებით და გავითვალსწინებთ ყველა სამართლიან შენიშვნასა და სურვილს, რომელიც მიმართული იქნება წიგნის შინაარსის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

მადლობა ყველას, ვინც გვერდში დაგვიდგა და გარკვეული დახმარება გაგვიწია წიგნის წინასწარ განხილვასა და სრულყოფაში, მის გამოცემაში.

ვფიქრობთ, რომ ამ წიგნის გამოცემით სტუდენტებისა და ფართო მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გახდება გერმანიის გეოგრაფიის, დემოგრაფიის, ეკონომიკისა და სახელმწიფო წყობილების ამსახველი მასალები.

თავი I.
გერმანიის მდებარეობა და ბუნებრივი პირობები

1. გერმანიის მდებარეობა, ტერიტორია, საზღვრები

გერმანია მდებარეობს ცენტრალურ ევროპაში. მას მეტად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს, რასაც განაპირობებს მაღალ განვითარებულ ქვეყნებთან მისი მეზობლობა, მსოფლიო მნიშვნელობის სატრანსპორტო გზები, რომლებიც გერმანიის ტერიტორიაზე გადიან, ფართო გასასვლელები ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვებში. ეს ფაქტორები დიდ გავლენას ახდენდა და ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, თუ კულტურულ განვითარებაზე.

წლების მანძილზე გერმანიის ტერიტორია, მისი საზღვრები მეზობელ ქვეყნებთან ხშირად იცვლებოდა. გერმანიის იმპერიის საზღვრები, რომელიც 1871 წელს შეიქმნა, მოიცავდა არა მარტო გერმანულ, არამედ სხვა ტერიტორიებსაც, რომლებიც პრუსიამ სხვადასხვა დროს "სისხლითა და მახვილით" ხელში ჩაიგდო. XIX საუკუნის ბოლოსათვის მისი ტერიტორია 541 ათას კვ. კმ-ს შეადგენდა. მაგრამ გერმანელ იმპერიალისტებს იგი საკმარისად არ მიაჩნდათ. ისინი XX ს. პირველ ნახევარში ორჯერ შეეცადნენ გერმანიის ტერიტორიის გაფართოებას, მსოფლიოს ხელახალ გადანაწილებას. მაგრამ ორივე ეს მცდელობა მათთვის მარცხით დამთავრდა. მათ არა თუ შემოიერთეს ახალი ტერიტორიები, არამედ სხვადასხვა დროს მიტაცებული მიწებიც დაკარგეს. ვერსალის ხელშეკრულებით

საფრანგეთმა დაიბრუნა გერმანიის მიერ ადრე მიტაცებული ელზასი და ლოთარინგია, ხოლო დანიამ-შლეზვიგი. ვერსალის ხელშეკრულების შემდგომი გერმანიის ტერიტორიის ფართობი 471 ათას კვადრატულ კილომეტრამდე შემცირდა. გერმანიისათვის კიდევ უფრო კატასტროფული აღმოჩნდა მეორე მსოფლიო ომი. ამ ომში გამარჯვებული ქვეყნების: სსრ კავშირის, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მეთაურთა პოტსდამის კონფერენციის ხელშეკრულებით გერმანიის ტერიტორია ოთხ საოკუპაციო ზონად დაიყო. ამასთან, აღმოსავლეთით გერმანიის მიერ მიტაცებული ტერიტორიები დაუბრუნდა პოლონეთს, ხოლო აღმოსავლეთ პრუსიის ნაწილი – კენისბერგის ოლქი გადაეცა სსრ კავშირს, რომელიც ამჟამად კალინინგრადის ოლქის სახელწოდებით რუსეთს ეკუთვნის. 1949 წელს აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის საოკუპაციო ტერიტორიების გაერთიანების შედეგად შეიქმნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ხოლო აღმოსავლეთით – სსრ კავშირის საოკუპაციო ზონაში – გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ამ ორმა გერმანულმა სახელმწიფომ 1990 წლამდე იარსება. 1990 წლის 3 ოქტომბერს განხორციელდა ორი გერმანული სახელწიფოს ერთ სახელმწიფოდ – გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკად გაერთიანება. ამჟამად გფრ ფართობი შეადგენს 357 ათას კვ. კმ. ტერიტორიის სიდიდით მას ევროპაში მე-6 ადგილი უკავია. ქვეყნის ტერიტორიის სიგრძე აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით 640 კმ-ს, ხოლო ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით 876 კმ-ს შეადგენს.

გერმანიას ჩრდილოეთიდან აკრავს ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვები. ქვეყნის სანაპირო ხაზი ძლიერ დანაწევრებული და შეჭრილ-შემოჭრილია. ბევრია

ყურეები. ზოგიერთი მათგანი მდინარეების შესართავებთან ესტუარის ტიპისაა. ჩრდილოეთის ზღვა არ იყინება. მისთვის დამახასიათებელია ძლიერი მოქცევები. ამის გამო მდინარეთა შესართავები ჩამოტანილი შლამისაგან იწმინდება. წყალი ღრმაა და ხელსაყერელია პორტების მშენებლობისათვის. სანაპიროსთან ახლოს გადაშლილია აღმოსაელეთ და ჩრდილოეთ ფრიზის კუნძულები. ბევრი მათგანი საზღვაო კურორტებს წარმოადგენენ. ბალტიის ზღვის სანაპირო მცირეწყლიანია. ზღვის მოქცევებიც სუსტია. ამიტომ მდინარეთა შესართავები ბუნებრივად არ იწმინდება და ნაოსნობისათვის აუცილებელია მათი მექანიკური გასუფთავება. ბალტიის ზღვა კილის არხით შეერთებულია ჩრდილოეთის ზღვასთან. ეს არხი საზღვაო გზას 430 კმ-ით ამოკლებს, ბალტიის ზღვაზე 10-ზე მეტი კუნძული გერმანიას ეკუთვნის, მათ შორის შედარებით დიდი კუნძულებია: ფემარნი, რიუგენი, უზედომი და ლანგელანდი.

ჩრდილოეთით გერმანიას საზღვაო საზღვრის გარდა სახმელეთო საზღვარი აქვს დანიასთან, იუტლანდის ნახევარკუნძულზე, რომლის სამხრეთი ნაწილი ეკუთვნის გერმანიას, ხოლო ჩრდილოეთი – დანიას. აღმოსავლეთით გერმანიას ესაზღვრება პოლონეთი და ჩეხეთი. პოლონეთთან საზღვარი გადის მდინარეებზე ნეისზე და ოდერზე, ხოლო ჩეხეთთან - შუმავის ქედზე და ჩეხეთის ტყეზე. სამხრეთით გერმანიას ესაზღვრება ავსტრია და შვეიცარია. ავსტრიასთან საზღვარი გადის ბავარიის ალპების მთაგრეხილზე. შემდეგ მიჰყვება მდინარეებს ზალცსა და ინსს. შვეიცარიასთან საზღვარი გასდევს მდინარე რაინსა და ბოდენის ტბას. დასავლეთით გერმანიას ესაზღვრება საფრანგეთი, ლუქსემბურგი, ბელგია და ჰოლანდია. საფრანგეთთან საზღვარი გასდევს მდინარე რაინს, ხუნ-

სრიუკის ქედს და ხარდთის მთებს. ლუქსემბურგთან საზღვარი გადის მდინარე მოზელზე და მის შენაკად საარზე. ხოლო ბელგიასთან ციტერვალდის მაღლობზე. ჰოლანდიასთან კი გერმანიას ბუნებრივი გამყოფი საზღვარი არ აქვს. იგი ჩრდილოეთის დაბლობზე გადის.

გერმანია ესაზღვრება 9 ევროპულ სახელმწიფოს სახმელეთო საზღვრების სიგრძე შეადგენს 3774 კმ-ს. აღსანიშნავია, ისიც რომ გერმანია მოითხოვს რიგ მეზობელთან, აგრეთვე რუსეთთან ტერიტორიულ და საზღვრო საკითხების დარეგულირებას.

2. გერმანიის რელიეფი

გერმანიის რელიეფი მრავალფეროვნებით ხასიათდება. მიწის ზედაპირის ხასიათის მიხედვით ქვეყნის მთელი ტერიტორია სამ ნაწილად იყოფა: დადაბლებული ჩრდილოეთი, საშუალოდ ამაღლებული ცენტრალური ნაწილი და მაღალი სამხრეთი. მთლიანად გერმანიის რელიეფი დახრილია სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით.

გერმანიის ჩრდილოეთი ნაწილი (მთელი ტერიტორიის დაახლოებით 1/4) უკავია ჩრდილოეთ გერმანიის დაბლობს. ეს ტერიტორია ადრე წყლით ყოფილა დაფარული. ბევრგან დღემდე შემორჩენილია ჩაღრმავებული ადგილები და ხმელეთში ღრმად შეჭრილი უბეები. ასეთებია, მაგალითად კიოლნის და მიუნსტერლანდის უბეები. აქაურთა მთელი ცხოვრება დაკავშირებულია ზღვასთან. საზღვაო გზები მდინარეთა შესართავებთან დიდ სიღრმეში შემოდის. სანაპიროზე ხმელეთი ზოგან ზღვის დონეზე უფრო დაბალია და მას ზღვის ტალღებისაგან ჯებირები იცავენ.

ბევრ ადგილზე ხმელეთის დაწევა დღესაც გრძელდება (დაახლოებით 20–30 სმ ყოველ 100 წელიწადში). ზოგჯერ დიდი წვიმების დროს ხმელეთი წყლით იფარება, ადგილი აქვს წყალდიდობებს. (მაგალითად, ძალიან დიდი წყალდიდობა იყო 1994 წელს).

აღსანიშნავია, რომ ძირითადად ჩრდილოეთ გერმანიის დაბლობი ლანდშაფტის ერთგვაროვნობით გამოირჩევა. თუმცა, ალაგ-ალაგ შეხვდებით 50-70 მეტრამდე ამაღლებულ ადგილებს, რომლებსაც აქ მთებს ეძახიან. ზოგან დაბლობი დაჭაობებულია. მაგრამ ჭაობები ძირითადად დაშრობილია. მხოლოდ ზოგან შემორჩენილია გუბეები და პატარა ტბები. აქაური ლანდშაფტი მნიშვნელოვნად შეცვალა ადამიანმა. თუმცა, ზოგან ბუნებრივი მდგომარეობა შენარჩუნებულია ნაკრძალების სახით. ყველაზე დიდი ნაკრძალია ფრინველთა-ნაკრძალი ვატენმერი ჩრდილოეთ ფრისლანდიაში ჰოლანდიის საზღვრის გასწვრივ.

ჩრდილოეთ გერმანიის დაბლობი სამხრეთით თანდათანობით მაღლდება და იწყება შუა გერმანიის საშუალო სიმაღლის მთების მხარე. მას გერმანიის მთელი ტერიტორიის ნახევარზე მეტი უკავია. ეს ტერიტორია რელიეფის მრავალფეროვნებით ხასიათდება. ურთიერთდაკავშირებული მაღლობებისა და მთების მთელი ჯაჭვი, რომელიც საფრანგეთიდან იწყება გადაკვეთს მთელ გერმანიას, პოლონეთს და უკრაინამდე გრძელდება. ეს მთები თავისებური დამაკავშირებელი ხიდია ჩრდილო გერმანიის დაბლობებსა და სამხრეთის მაღალმთიან ალპებს შორის. მათი საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან 400-800 მეტრამდეა. მაგრამ არის ცალკეული მთები რომელთა სიმაღლე 1200-1500 მეტრს აღწევს.

შუა გერმანიის მთიანი ნაწილი დასავლეთიდან იწყება რაინის ფიქლოვანი მთებით, რომელთაგან გამო-

იყოფა ეიფელის, ვესტერვალდის, როტჰარის და თაუ-ნუსის მთები. მათგან აღმოსავლეთით მდებარეობს ტეუტობურგისა და ჰარცის მთები. მათი სიმაღლე 1100 მეტრს აღწევს. მდინარე მაინსა და მდინარე დუნაის შორის მდებარეობს შპესარტისა და ოდენვალდის პლატოები, შვარცვალდის მთა, რომლის სიმაღლე 1493 მეტრია. დუნაის ჩრდილოეთით აღმართულია შვაბიისა და ფრანკონის მაღლობები. აღმოსავლეთით გადაშლილია შუმავის მთა, ჩეხეთის, ზემო პფალცისა და ბავარიის ტყეები.

რელიეფის დიდი თავისებურებებით ხასიათდება ალპების წინა მთები და ბავარიის პლატო, რომლებსაც საკმაოდ დიდი ტერიტორია უკავიათ. მათი სიმაღლე 1000 მეტრს არ აღემატება. აქვეა ბევრი დადაბლებული და ჩაზნექილი ადგილები და მყინვარული წარმოშობის ტბები.

გერმანიის ტერიტორიის უკიდურესი სამხრეთი ნაწილი უკავია მაღალმთიან ბავარიის ალპებს. ისინი შედგება რამდენიმე ქედისაგან, რომელთა შორისაა ალგეუსალპები, ვეტერშტეინი, მანგფალი და ბერჰტესგადენის ალპები. აქვეა ბავარიის ალპებისა და მთელი გერმანიის უმაღლესი მწვერვალი - მთა ცუგ-შპიტცე. მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 2963 მეტრს შეადგენს. ქედების უმრავლესობა გადაშლილია დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით. რომლებსაც განივი ღრმა ხეობები კვეთს. განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩევა ბერჰტესგადენის ველი, რომლის ძირსაა ტბა კიონიგსი. ამ ველს გადმოჰყურებს ბავარიის ალპების სიმაღლით მეორე – ვიტცმანის მწვერვალი (2714მ.) ბავარიის ალპების ზედაპირი დაფარულია ბუჩქებითა და მდელოებით. მხოლოდ ზოგიერთი ქედის მწვერვალზე შეინიშნება ყინულოვანი მასივები. მთათა ზედა საფეხურები თითქმის დაუსახ-

ლებელია. მხოლოდ გზების გასწვრივ აქა იქ შეხვდებით ტყეში ჩაფლულ გლეხთა სახლებს. მათთვის ტყე თავისებურ ქარსაცავს წარმოადგენს. შვაბია-ბავარიის მთაგრეხილს კვეთენ მდინარეების ლეხის,იზარის და ინნის განივი ხეობები. ეს ხეობები უკავია ნათესებსა და საძოვრებს. აღსანიშნავია, რომ ბავარიის პლატო გერმანიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო რაიონია.

რელიეფი სათანადო გავლენას ახდენს ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაზე. განსაკუთრებით ტრანსპორტის განვითარებაზე, რკინიგზისა და ავტომაგისტრალების მშენებლობაზე და მათ ექსპლოატაციაზე. მაგრამ იგი სატრანსპორტო მიმოსვლისათვის დიდ დაბრკოლებას არ წარმოადგენს. მთები და მაღლობები ერთიმეორისაგან გამოყოფილია ფართო ხეობებით, რომლებიც თავისებურ სატრანსპორტო დერეფანს წარმოადგენენ. თუმცა აქ სატრანსპორტო მშენებლობისათვის საჭირო პირობები ძნელი და რთულია, ვიდრე ბარში. გზების ბევრი უბნები დიდი დახრილობით ხასიათდება, ბევრია გვირაბები და ხიდები. მოქმედებაშია 1. კმ-ზე მეტი სიგრძის 30-მდე გვირაბი. მთის ზონაში განვითარებულია სამთო მიწათმოქმედება და მეცხოველეობა.

3. გერმანიის წიაღისეული სიმდიდრეები

გერმანია სასარგებლო წიაღისეულთა დიდი სიუხვით არ გამოირჩევა. ქვეყანაში დიდი რაოდენობითაა მხოლოდ ქვანახშირი და მურა ნახშირი, ტორფი, კალიუმის მარილები და სხვადასხვა სახის ქვამარილი. ხოლო სხვა სახის წიაღისეული რესურსები როგორიცაა: ნავთობი და გაზი, რკინა, მარგანეცი, ფერადი ლითონ

თონების მადანი და სხვა, მხოლოდ მცირე რაოდენობით მოიპოვება.

. ქ ვ ა ნ ა ხ შ ი რ ი და მ უ რ ა ნახშირი გერმანიის წიაღის ძირითადი სიმდიდრეა. მათი მარაგი უკანასკნელი მონაცემებით 300 მილიარდ ტონას აღწევს. ქვანახშირი მაღალკალორიულია. კოქსვადია და თანაც განლაგებულია მიწის ზედაპირთან ახლოს 400-800 მეტრის სიღრმეში. ქვანახშირის მოპოვება 100-მდე საბადოდან წარმოებს. მათ შორის უდიდესია რურის აუზი. (არამარტო გერმანიაში არამედ მთელს დასავლეთ ევროპაში). რურის ქვანახშირის მარაგი მხოლოდ იმ ტერიტორიაზე საიდანაც ამჟამად მისი მოპოვება წარმოებს 34 მილიარდ ტონას აღემატება. მეორე ადგილზეა საარის აუზი, რომელიც მდებარეობს მდინარე საარის შუა დინების მიდამოებში. მოპოვების მიხედვით მესამე ადგილზეა ახენის აუზი, რომელიც ბელგიის ქვანახშირის აუზის გაგრძელებას წარმოადგენს. ასე ცნობილია- დიელენის, დობერლუკ-კირჰაინის და სხვა აუზები. რაც შეეხება მურა ნახშირს მისი მოპოვება ბევრგან წარმოებს, მათ შორის უდიდესია ქვემო რაინის მურანახშირის აუზი (ჰოლანდიასთან ახლოს), ვესტერვალდის აუზი, ქვემო ესენის აუზი და ასე შემდეგ. მურანახშირით განსაკუთრებით მდიდარია აღმოსავლეთი გერმანია (ყოფილი გდრ ტერიტორია)

ნ ა ვ თ ო ბ ი და ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი გაზი გერმანიის მიწის წიაღში ძალიან ცოტაა. ნავთობის მოპოვება წარმოებს ჩრდილო გერმანიის დაბლობში, ალპების ქვემოთ მთებსა და ჩრდილოეთის ზღვის აკვატორიაში, აგრეთვე სხვაგანაც (მდინარეების ვეზერისა და ელბას შორის, შლეზვიგჰოლშტაინსა და ბავარიაში). ბუნებრივი გაზის მოპოვება წარმოებს: ემსლანდში, შლეზვიგჰოლშტაინში, ელბისა და ვეზერის

რაინში. დიდი ყურადღება ექცევა ნავთობისა და გაზის ახალ საბადოთა ძიებასა და გამოვლენას.

გერმანია განსაკუთრებით მდიდარია ტორფითა და საწვავი ფიქლებით, მაგრამ მათი დიდი რაოდენობით მოპოვება არ წარმოებს. მათ მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა და გამოყენება აქვთ. საწვავის გარდა ტორფი გამოიყენება სასუქად და სხვა სამეურნეო მიზნებისათვის.

შ ა ვ ი და ფ ე რ ა დ ი ლითონებიდან გერმანიაში მოიპოვება რკინის მადანი, სპილენძი, ნიკელი, თუთია, კალა და სხვა ფერადი ლითონები. მაგრამ მადნები დაბალი ხარისხისაა. მასში ლითონის შემცველობა დაბალია და ამასთან ფუჭ ქანებთან ერთად შეიცავს ლითონისათვის მავნე შენაერთებსაც (გოგირდი, ფოსფორი).

რკინის მადნის საბადოები ძირითადად თავმოყრილია დასავლეთ გერმანიაში, ჰარცში და სხვაგან. ცნობილია ზალცკიტერის საბადო და გროს-ილზედე-ჰეინეს საბადო, აგრეთვე ლან-დილის, ფოგელსბერგის, ამბერმის და სხვა საბადოები. რკინა მოიპოვება აგრეთვე აღმოსავლეთ გერმანიაშიც –ზაალფელდის და შმიდეფელდის მიდამოებში, თიურინგიაში-კამსდორფის და შმალკალდენის საბადოებში.

მალეგირებელი ქანები (მარგანეცი, ვოლფრამი, მოლიბდენი და სხვა) მცირე რაოდენობით მოიპოვება. უფრო მეტად სხვა მადნებთან ერთად ზიგერლაინში, თიურინგიის ტყესთან და სხვაგანაც.

ფერადი ლითონების მადნები ძირითადად თავმოყრილია შუა გერმანიაში, უმთავრესად შეჰერნიჰის, ახენის და ეიფელის მიდამოებში. აგრეთვე რაინის მარჯვენა სანაპიროზე, ფრაიბურგთან ახლოს და სხვაგან. აღსანიშნავია აგრეთვე ურანის შემცველი მინერალების საბადოები- შვარცვალდში და ვეისენ-

შტადტთან ახლოს.

გერმანია მდიდარია სხვადასხვა სახის ქვამარილებითა და სამშენებლო მასალებით. ამ მხრივ აღსანიშნავია კალიუმის მარილები, რომელთა ძირითადი საბადოები თავმოყრილია დიდ ტერიტორიაზე, შუა და ჩრდილოეთ გერმანიაში. შუა გერმანიაში დიდი რაოდენობითაა თაბაშირი, გრაფიტი, ბარიტი, ცეცხლგამძლე და მათეთრებელი თიხები, კაოლინი, რომელიც ძვირფასი ნედლეულია ფაიფურის წარმოებისათვის.სამშენებლო მასალები მოიპოვება თითქმის ყველგან. ალპები მდიდარია ძვირფასი სამშენებლო ქვებითა და კირქვებით. ხოლო ჩრდილო გერმანია თიხამიწებით. მისგან იწარმოება მაღალი ხარისხის აგური.

დიდია წიაღისეულ სიმდიდრეთა როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. მაგრამ გერმანიას საკუთარი წიაღისეული სიმდიდრეები (ნახშირის გარდა) არ ყოფნის და მათი უდიდესი ნაწილი საზღვარგარეთიდან შემოაქვს. მიუხედავად ამისა, წიაღისეულთა ნაკლებობას გერმანიის ეკონომიკური განვითარებისათვის რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

4. გერმანიის კლიმატი

გერმანიის კლიმატის განმსაზღვრელი ფაქტორებია მისი ევროპის ზომიერ ზონაში და ატლანტის ოკეანის სამხრეთ სანაპიროზე მდებარეობა. მთლიანად ქვეყნის კლიმატი ოკეანურიდან კონტინენტალურზე გარდამავალი თვისებებით ხასიათდება და მიეკუთვნება ზომიერ და ზომიერად თბილ კლიმატს. მაგრამ ზემპერატურის, ნალექებისა და სხვა კლიმატური მაჩვენებლების ცვალებადობა ქვეყნის ცალკეული ნაწი-

ლების მიხედვით თვალსაჩინოა. მათზე ძირითადად დიდ გავლენას ახდენს რელიეფის ხასიათი და ატლანტის ოკეანედან დაშორება. ამ ფაქტორების გავლენის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ცალ-ცალკე განვიხილოთ ჩრდილოეთ გერმანიის დაბლობის, შუა გერმანიის მთიანეთის და სამხრეთის (ალპების) კლიმატი.

ჩრდილოეთ გერმანიის დაბლობის კლიმატზე განსაზღვრულ გავლენას ახდენს ატლანტიის ოკეანის ჰაერის მასივები, რომლებსაც ქვეყანაში შემოაქვთ სითბო და ნალექები. ასევე დიდია გოლფშტრიმის თბილი დინების გავლენა, რომელიც ჩრდილოეთის ზღვაში შემოდის. თბილი ჩრდილოეთის ზღვა ჩრდილო-დასავლეთ გერმანიის ჰაერის ტემპერატურას მაღლა სწევს. მაგრამ აღმოსავლეთით ატლანტის ოკეანის გავლენა უფრო ნაკლებია, რის გამოც ბალტიის ზღვა ცივია. ამიტომ ზამთარში ჩრდილო - აღმოსავლეთი გერმანია უფრო ცივია, ვიდრე ჩრდილო-დასავლეთი. მთლიანად ჩრდილოეთ გერმანიის დაბლობისათვის ტენიანი, ოკეანური ჰავაა დამახასიათებელი. მაგრამ ზღვისგან დაშორების ზრდასთან ერთად გარკვეული განსხვავებაც იგრძნობა. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 600-800 მმ-მდეა, მაგრამ ჰაერის მაღალი ტენიანობის პირობებში ნალექების ეს რაოდენობა ზედმეტიცაა. იგი ბევრ ადგილზე ნიადაგის დაჭაობებასაც იწვევს. ატლანტის ოკეანის გავლენა განსაკუთრებით დიდია ზამთარში, იანვრის საშუალო ტემპერატურა +2-მდეა. წელიწადში თოვლი საშუალოდ მხოლოდ 12-15 დღეს დევს. თუმცა, ამ დროს დიდად არ ცივა. ზაფხულში ატლანტის ოკეანის გავლენა მცირდება, სამაგიეროდ იზრდება მზის რადიაცია, მაგრამ ზაფხული მაინც გრილია. ივლისის საშუალო ტემპერატურა +15 -16 C° გრადუსია. დღეები უმე-

ტესად მოღრუბლული, წვიმიანი და ნისლიანია. მაგალითად, ჰამბურგში საშუალოდ წელიწადში 130-მდე დღე ნისლიანია.

შუა გერმანიის მთიანეთის კლიმატი ძირითადად განიცდის რელიეფის გავლენას. აქაურ ჰავაზე გავლენას ახდენს, როგორც მიწის ზედაპირის სიმაღლე ზღვის დონიდან, ასევე მთის კალთის მხარე. სამხრეთის კალთები ქარებისგან უფრო დაცულია და უფრო თბილია, ვიდრე დასავლეთის ან ჩრდილოეთის კალთები. ამასთან, მთების დასავლეთისა და ჩრდილოეთის კალთებზე ნალექებიც მეტია. მთლიანად შუა გერმანიის მთიანეთის ჰავა, განსაკუთრებით კი მისი ზედა იარუსების კლიმატი ხასიათდება ნალექების დიდი რაოდენობით 1000 -დან 1500მმ წელიწადში. ჰაერის ტემპერატურაც დაბალია. მიწა თითქმის სამი თვე თოვლითაა დაფარული, ხოლო უფრო მაღალ ადგილებში თოვლი 5 თვე დევს. იანვრის საშუალო ტემპერატურა -4C°. ზოგჯერ მინიმალური ტემპერატურა- 15°- მდე ეცემა. ზაფხული გრილია. ივლისის საშუალო ტემპერატურა +14 C°, ხოლო მაქსიმალური ტემპერატურა 18-20 C° აღწევს. ჰაერის ტემპერატურაზე დიდ გავლენას ახდენს ტერიტორიის ქარებისაგან დაცვის მდგომარეობა. ჩაღრმავებულ ადგილებში (ე.წ ქვაბულებში) და ჩრდილო-დასავლეთის ქარებისაგან დაცულ ხეობებში ზამთარი უფრო თბილია, ხოლო ზაფხული-მშრალი და ცხელი. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 500მმ ფარგლებშია, ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა ივლისში +20 გრადუსს აღწევს. შემოდგომაც რბილი და თბილია, რაც კარგ პირობებს ქმნის მევენახეობისა და მეხილეობის განვითარებისათვის. ამ მხრივ აღსანიშნავია ზემო რაინისა და ნეკარის ხეობები.

გერმანიის ყველაზე ცივი რეგიონია სამხრეთის მთი-

ანეთი, ბავარიის ალპები, რომლისათვისაც დამახასიათებელია ციცი, ალპური კლიმატი. აქ იანვრის საშუალო ტემპერატურა სიმაღლის მიხედვით-3-დან - 11-მდე მერყეობს. ზაფხული მოკლეა და გრილი. ივლისის საშუალო ტემპერატურა მხოლოდ +2 C°. ზამთარში ზოგჯერ ტემპერატურა -26 გრადუსამდე ეცემა, ზაფხულში კი მაქსიმალური ტემპერატურა +5C° შეადგენს. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 2000 მმ-ს აღწევს. 2500 მეტრზე მეტ სიმაღლეზე თოვლი მთლიანად დნობას ვერ ასწრებს და მაღალი მწვერვალები მთელი წლის განმავლობაში თოვლითაა დაფარული, საერთოდ კი მწვერვალების გამოკლებით ალპებში ბალახი და ბუჩქები კარგად ხარობს.

5. გერმანიის შიდა წყლები და წყლის რესურსები

გერმანია წყლის რესურსებით მდიდარია. ქვეყანაში დიდი რაოდენობითაა როგორც ზედაპირული, ისე მიწისქვეშა წყლები. წყლის რესურსების სიუხვე ძირითადად განპირობებულია ნალექების დიდი რაოდენობით. მდინარეთა უმრავლესობა ღრმა, განიერი და წყალუხვია. წყალდიდობა უფრო მეტად შემოდგომითა და გაზაფხულობით ხდება. ზამთარში მდინარეები სხვადასხვა ხანგრძლივობით იყინება.

გერმანიის მდინარეთა უმრავლესობა მიეკუთვნება ჩრდილოეთის ზღვის აუზს. ესენია: რაინი, ელბა, ვეზერი, ემსი თავიანთი შენაკადებით. მდინარეთა მეორე ჯგუფი ჩაედინება ბალტიის ზღვაში. ესენია: ოდერი, ტრავე, ვარნობი, ჰენე და სხვა პატარა მდინარეები. მდინარეთა მესამე ჯგუფს მიეკუთვნება მდინარე დუნაი თავისი შენაკადებით: ილერი, გიუნცი, ლეხი, ინი,

ალტმიული, ნაბი, იზარი რომლებიც შავი ზღვის აუ-ზის მდინარეებს წარმოადგენენ.

გერმანიის ყველაზე დიდი მდინარეა რ ა ი ნ ი (სიგრძე 1162 კმ, მათ შორის გერმანიის ტერიტორია-ზეა 865 კმ) რაინი სათავეს იღებს შვეიცარიის ალპებ-ში და ჩაედინება ბოდენის ტბაში, ხოლო ამ ტბიდან გამოსვლის შემდეგ მიემართება დასავლეთისაკენ, შვე-იცარიისა და გერმანიის საზღვრის გასწვრივ. ამ მო-ნაკვეთში ქ. ბაზელამდე ის ტიპიური მთის მდინარეა სწრაფი დინებითა და ჩანჩქერებით. მათ შორის ყვე-ლაზე დიდია შაფჰაუზენის ჩანჩქერი. ამ მონაკვეთზე მას მოძრაობაში მოყავს მრავალი ჰიდროელექტრო-სადგური. ქ. ბაზელიდან იგი სანაოსნოა, თავის გრძელ გზაზე მას ერთვის მდინარეები: ნეკარი,მაინი,ნაე, ლანი, აარი, ზიგე, რურიდა, მოზელი. სანაოსნო არხებით რა-ინი შეერთებულია დუნაისთან, ელსთან, რეზერთან, ელ-ბასთან და აგრეთვე საფრანგეთის მდინარეებთან (რონა და მარნასთან). რაინი ზღვასთან ახლოს, რამდენიმე ტოტად იშლება და ჩაედინება ჩრდილოეთის ზღვაში, ჰოლანდიის ტერიტორიაზე სადაც აგებულია მსოფ-ლიოს უდიდესი ნავსადგური როტერდამი. რაინი ქვეყნის ეკონომიკის "ძირითადი ღერძია" მას ეძახიან გერმა-ნიის "მთავარ სამრეწველო ქუჩას". მის ნაპირებზე განლაგებულია ქალაქები და სამრეწველო საწარმო-ები.

მდინარე ე ლ ბ ა – სიდიდით მეორე მდინარეა (სიგრძე გერმანიის ტერიტორიაზე 765 კმ). იგი სათა-ვეს იღებს ჩეხეთში და შენაკადებთან ერთად იკვებე-ბა წვიმისა და თოვლის დნობის წყლით. წყალდიდო-ბა იცის გაზაფხულზე, ხოლო წყალნაკლებობა – აგ-ვისტოში. წლის განმავლობაში წყლის ჩამონადენი დი-დი ცვალებადობით ხასიათდება. მისი შენაკადებია: მულდე, ზაალე (მარცხენა), შვარცე-ელსტერი და ჰა-

ფელი (მარჯვენა). იგი არხებით შეერთებულია სხვა მდინარეებთან. მასზე ჩრდილოეთის ზღვასთან ახლოს გაშენებულია გერმანიის უდიდესი ქალაქი-ნავსადგური ჰამბურგი.

მდინარე ვ ე ზ ე რ ი – (სიგრძე 440 კმ) სათავეს იღებს რაინის ფიქლოვანი მთებიდან. ზედა წელზე სწრაფი მდინარეა, ხოლო დაბლობში მდორეა და სანაოსნოა. მისი მთავარი შენაკადებია: ალერი და ლეინე. იგი სანაოსნო არხებით შეერთებულია ელბასთან და ემსთან. შესართავში ქმნის გრძელ ესტუარს, სადაც გაშენებულია ქალაქები ბრემენი და ბრემენ-ჰაფენი.

მდინარე ე მ ს ი – შედარებით პატარა და ნელი დინების, მაგრამ განიერი და ღრმა მდინარეა. სათავეს იღებს ტევტობურგის ტყიდან (ჩრდილო რაინ-ვესტფალია). იგი მიედინება დაჭაობებულ დაბლობში. შესართავში ქმნის ესტუარს. ემსი სანაოსნო არხებით შეერთებულია სხვა მდინარეებთან, და მას გარკვეული სანაოსნო მნიშვნელობა აქვს.

მდინარე ო დ ე რ ი – ერთ-ერთი უდიდესი მდინარეა ცენტრალურ ევროპაში. მასზე 160 კმ-ის სიგრძეზე გადის გერმანიის საზღვარი პოლონეთთან. იგი მიედინება დაბლობზე და მდორეა. მაგრამ ნაოსნობისათვის სხვა მდინარეებთან შედარებით ხელსაყრელი არ არის. იგი ბალტიის ზღვას შეცინის ყურეში ერთვის.

მდინარე დ უ ნ ა ი - ევროპაში სიგრძით მეორე მდინარეა (ვოლგის შემდეგ). (სიგრძე 2850 კმ. გერმანიის ტერიტორიაზე 647 კმ). იგი სათავეს იღებს გერმანიაში (შვარცვალდში), მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთით, ღებულობს 100-მდე შენაკადის წყალს და ერთვის შავ ზღვას. მდ. დუნაი გერმანიას აკავშირებს სამხრეთ ევროპის ქვეყნებთან (ავსტრია, უნგრეთი, იუ-

გოსლავია, რუმინეთი). ზედა წელში დუნაი მთის მდინარეა და ნაოსნობისათვის თითქმის არ გამოიყენება (დაცურავენ მხოლოდ პატარა ნავები). მდ. დუნაიზე რეგენობურგთან და პასპუსთან აგებულია წყალსაცავები და ჰიდროელექტროსადგურები. გერმანიის ტერიტორიაზე დუნაის ერთვის მდინარეები: ინნი, იზარი, ლეხი, ილერი. რომლებიც სათავეს ღებულობენ ალპებში და ძირითადად იკვებებიან თოვლის დნობის წყლით.

ტ ბ ე ბ ი. გერმანიის ტერიტორიაზე ძალიან ბევრი ტბაა. მაგრამ მათი უმრავლესობა სიდიდით პატარაა და თანაც ისინი ძირითადად თავმოყრილია ალპებსა და ჩრდილოეთ გერმანიის დაბლობის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე ვხვდებით მხოლოდ ცალკეულ პატარა სიდიდის ტბებს. ტბების უმრავლესობა მყინვარული წარმოშობისაა.

გერმანიის ყველაზე დიდი ტბაა – ბ ო დ ე ნ ი ს ტბა, რომელიც სამი ქვეყნის - გერმანიის, ავსტრიისა და შვეიცარიის საზღვარზე მდებარეობს. მაგრამ ტბის ნახევარზე მეტი გერმანიის ტერიტორიაზეა. ტბის სარკის ფართობია 540 კვ. კმ-ი. აქედან გერმანიაზე მოდის 300 კვ. კმ. ტბის საშუალო სიღრმეა 90 მეტრი, მაგრამ ზოგიერთ ადგილებში მისი სიღრმე 250 მეტრსაც აღემატება. იგი მდებარეობს ზღვის დონიდან 395 მეტრ სიმაღლეზე. ამ ტბაში ჩაედინება და მისგან გამოედინება მდინარე რაინი. ალპებისა და ბავარიის სხვა უმთავრესი ტბებია: ხიმი (ფართი 81,1 კვ.კმ), ვიური (ფართი 57,2კმ), ამერი და სხვა. ჩრდილო-აღმოსავლეთ გერმანიაში შედარებით დიდი ტბებია: გროსერ-პლენერი (ფართი 29 კმ), შალი (ფართი 23 კმ), ზელენეტერი. (ფართი 22 კმ), ბევრი ტბებია ასევე ჰოლანდიის საზღვართან ახლოს: ბორტანგერის, შვარცის, რე-

ნეის და სხვა ტბები.

გარდა ბუნებრივი ტბებისა გერმანიაში ბევრ ადგილზე ვხვდებით ხელოვნურ წ ყ ა ლ ს ა ც ა ვ ე ბ ს, რომლებიც შექმნილია სხვადასხვა მიზნით: წყალმომარაგებისათვის, ჰიდროელექტროენერგიის წარმოებისათვის, თევზის მოშენებისათვის, მორწყვისათვის და ა.შ.

გერმანიაში ბევრია გუბეები და ჭაობები, რომელთა უმრავლესობა თავმოყრილია ჩრდილოეთ გერმანიის დაბლობებზე, განსაკუთრებით მდინარეების: ემსის, ვეზერისა და ელბის აუზებში, აგრეთვე შლეზვიგ-ჰოლშტაინის დასავლეთ ნაწილში. ყველაზე დიდი ჭაობებია: ბაურტანგერ-მორი და ტეიფელს-მორი (ბრემენთან ახლოს). ჭაობების დაშრობის სამუშაოები დღემდე გრძელდება.

მ ი წ ი ს ქ ვ ე შ ა წყლებით განსაკუთრებით მდიდარია ჩრდილო გერმანიის დაბლობი და ბავარიის ზეგანი. ისინი გამოიყენება მჭიდროდ დასახლებული რეგიონების წყალმომარაგებისათვის, ასევე მორწყვისათვის. მიწისქვეშა წყლები განსაკუთრებით გამოიყენება იმ რაიონებში, სადაც ზედაპირული წყლების ნაკლებობაა.

გერმანიაში დიდი რაოდენობითაა აგრეთვე სხვადასხვა ფიზიკური თვისებებისა და ქიმიური შედგენილობის მ ი ნ ე რ ა ლ უ რ ი წ ყ ლ ე ბ ი. მინერალური წყლებით განსაკუთრებით მდიდარია შუა გერმანია, სადაც ბევრია სამკურნალო თვისებების მქონე სხვადასხვა ტემპერატურისა და შედგენილობის მქონე მინერალური წყლები, რომელთა ბაზაზე მოქმედებაშია სხვადასხვა დანიშნულების კურორტები და სამკურნალო დაწესებულებები.

აღსანიშნავია, რომ გერმანიაში შიდა წყლებს მრავალმხრივი გამოყენება აქვს. ისინი გამოიყენება სა-

ნაოსნოდ, ქალაქებისა და სოფლების წყალმომარაგებისათვის, ელექტროენერგიის საწარმოებლად, თევზის მოშენებისათვის, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებელი ადგილების მოსაწყობად, ირიგაციისათვის და ა.შ. წყლის რესურსები ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების საფუძველია.

6. მცენარეთა და ცხოველთა სამყარო. ნიადაგები. მიწის გამოყენება.

დროთა განმავლობაში გერმანიის მცენარეულობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ადრე გერმანიის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ტყით იყო დაფარული. მაგრამ მოსახლეობის ზრდისა და ურბანიზაციის შედეგად ტყეების დიდი ნაწილი გაიკაფა. ამჟამად ტყეებს მთელი ტერიტორიის დაახლოებით 28% უკავია. ყველაზე უფრო ტყიანია მთები და ხეობები. აღსანიშნავია ისიც, რომ ტყის მასივები მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. ტყეების გაკაფვასთან ერთად მიმდინარეობს ხელოვნური ტყეების გაშენება და ბუნებრივი ტყეების გაკულტურებაც.

ამჟამად გერმანიაში უფრო მეტად გავრცელებულია წიწვოვანი ჯიშის ტყეები. მათი დიდი ნაწილი ხელოვნურადაა გაშენებული. ხოლო წიწვოვანთა ბუნებრივ ტყეებს უფრო მეტად მთების ზედა სარტყლები უკავიათ. ასევე სხვადასხვა მთაში წიწვოვანი ტყეები სხვადასხვა სიმაღლიდან იწყება. ბავარიის ალპებში –1200 მ-დან, თიურინგიის და ფრანკონიის ტყეებში -700 მ-დან, ჰარცში – 600 მ-დან და გრძელდება ტყეთა ზედა სარტყლამდე. მაღალ ადგილებში – 1500-1600 მ-დან სითბოს ნაკლებობისა და ცივი ქარების

გავლენით ტყე იცვლება ბუჩქებითა და ბალახებით. ბავარიის ალპებში წიწვოვანი ტყეები ვრცელდება 1600 მ. სიმაღლემდე. ხოლო უფრო მაღლა მხოლოდ სუბალპიური დაბალი ბუჩქნარები და ბალახები ხარობს. ნამდვილი ალპური საძოვრები გერმანიის ალპებში არ არის. რაც შეეხება ბავარიის ზეგანს, აქ ჭარბობს შერეული და წიწვოვანი ტყეები. ტყეთა განსხვავებული სახეობებია რაინის, ვეზერის, ელბისა და დუნაის ხეობებში.

მცენარეთა საფარი მნიშვნელოვნად შეიცვალა ჩრდილოეთ გერმანიის დაბლობზეც. ადრე აქ ყველაზე გავრცელებული ჯიშები იყო მუხა და წიფელა. ამჟამად ჩრდილოეთ გერმანიის დაბლობი თითქმის უტყეოა. მხოლოდ ადგილ-ადგილ შეხვდებით ბუნებრივ თუ ხელოვნურად გაშენებულ წიწვოვანთა ტყეებს. ჭაობებში ხარობს წალამი, ხოლო ვარგისი მიწები დამუშავებულია და გადაქცეულია ნათესებად და ბაღებად. აქ ტერიტორიის 75% დაკავებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურებით, მდელოებითა და საძოვრებით.

მეორე მსოფლიო ომის წლებში, როცა ტყის მეურნეობა მოშლილი იყო, ტყეებში მომრავლდა მავნე მწერები და მღრღნელები, რომლებმაც დიდი ზიანი მიაყენეს მას. ამიტომ შემდგომ წლებში მეტყევეობის განვითარების პროგრამა ითვალისწინებდა ტყის მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას და სასარგებლო მწერებისა და ფრინველების დაცვას, მათ გამრავლებაზე ხელისშეწყობას.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ცხოველთა სამყარომაც. იგი გამოიწვია ქვეყნის ლანდშაფტში მიმდინარე ისეთმა პროცესებმა როგორიცაა: ტყეების გაჩეხვა. მინდვრების დამუშავება, ჭაობების ამოშრობა, ქალაქების, სოფლებისა და გზების მშენებლო-

ბა და ა.შ. ტყეებში მინიმუმამდე შემცირდა ან თით-ქმის გაქრა ისეთი ცხოველები, როგორიცაა: დომბა, ფოცხვერი, დათვი, მგელი, ცხენი და ირემი. ამასთან, ახალი გარემო პირობებში გამოჩნდნენ ცხოველთა ახალი სახეები. ტყის შეცვლამ კულტურული ლან-დშაფტით და ბაღებით ისეთი ცხოველების მომრავ-ლება გამოიწვია როგორიცაა: თაგვი, ზაზუნა, გარეუ-ლი ინდაური, ტოროლა, მწყერი. ზოგიერთი ცხოველი და ფრინველი შემოიყვანა თვითონ ადამიანმა და მო-ამრავლა. მაგალითად: ხოხობი, ბოცვერი და სხვა.

მთებში ადრე არსებული ცხოველებიდან დღემდე შემორჩა ირემი, შველი, არჩვი, გარეული თხა, გარეული ღორი, ნაცარა კურდღელი, ალპების მთის თხა, ალპე-ბის კურდღელი, ზაზუნა და სხვა.

გერმანია უფრო მდიდარია ფრინველთა ფაუნით. ფრინველები ბინადრობენ როგორც ტყეებში, ისე ბუჩ-ქნარებსა და მინდვრებში: გუგული, სკვინჩა, მოლაღუ-რი, ტყის ტოროლა, ტყის ბულბული, შავი შაშვი, კაკაჩა. მდინარეების, ტბებისა და წყალსაცავების ნაპირებ-ზე შეხვდებით ყანჩას, მელოტას, იხვსა და თოლიას. ამ ფრინველებიდან ბევრი სასარგებლოა, რადგან ისი-ნი ჭამენ მავნე მწერებსა და მღრღნელებს. შავი კო-დალა ასუფთავებს წიწვოვან ტყეებს ლაფიჭამიებისა და მატლებისაგან. ტყეებისათვის დიდი სარგებლობა მოაქვს გუგულს, ბუზიჭერიას, ყაბყაბს, კოდალას, ჭრე-ლას და ა.შ. ხოლო ჭაობის ფრინველებიდან ამ მხრივ აღსანიშნავია ლაინი, ძერა, კაკაჩა, მელოტა, ყარყატი. სასარგებლო ფრინველთა გამრავლებაზე ხელშეწყო-ბის მიზნით ტყეებსა და მინდვრებში კეთდება ხე-ლოვნური ბუდეები. ხდება მათთვის დამატებითი საკ-ვების დაყრა.

გერმანია მდიდარია თევზთა ფაუნით, რომელთა ნა-წილი მოშენებულია ადამიანის მიერ. ყველაზე მე-

ტად გავრცელებულია კობრის ოჯახი, კარჩხანა, ჭანარი, კაპარჭინა, ქორჭილა. არის სხვა სახეობის თევზებიც: კალმახი, გველთევზა, ქარიყლაპია და ა.შ.

გერმანია ნიადაგის მრავალი სახეობით გამოირჩევა. სხვადასხვა რელიეფის, ჰავისა და მცენარეული საფარის არსებობამ ნიადაგის დიდი მრავალფეროვნება განაპირობა. ჭარბი დანესტიანებისა და ზომიერი ჰავის პირობებში, ჩრდილო გერმანიის დაბლობზე ისეთი ნიადაგები განვითარდა, როგორიცაა ეწერი, ჭაობის წითელმიწა, ყვითელმიწა, ყომრალი ნიადაგები, ხოლო მაღლობებზე მთა-მდელოს ნიადაგები. ნიადაგების საფარზე დიდ გავლენას ახდენს ტერიტორიის ვერტიკალური ზონალობა.

გერმანიაში ნიადაგის ყველაზე გავრცელებული სახეობაა ტყის 'შავი ნეშომპალა-კარბონატული და ყომრალი ნიადაგები. დიდ მდინარეთა ჭალებში გავრცელებულია ალუვიური ნიადაგები. რომლებიც ერთიმეორისაგან განსხვავდებიან მექანიკური და ქიმიური შემადგენლობით და სხვა თვისებებით, მაგრამ ეს ნიადაგები მაღალი ნაყოფიერებით ხასიათდებიან. ფერდობების დატერასების გზით შექმნილია ხელოვნური მაღალნაყოფიერი ნიადაგები. მთა-მდელოს ნიადაგების ზემოთ რიგ ადგილებში გვხვდება შიშველი კლდეები და მწვერვალები, სადაც მცენარეები არ ხარობენ.

საერთოდ, გერმანიის ნიადაგების დიდი ნაწილი ბუნებრივი თვალსაზრისით უფრო მეტად დაბალნაყოფიერია, მაგრამ ადამიანის მზრუნველობის შედეგად იგი დიდ მოსავალს იძლევა. ყველა მიწა ათვისებულია და მას პატრონი ჰყავს. აღსანიშნავია, ისიც რომ ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა მიწის გამოყენების გაუმჯობესებას და ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლებას.

7. ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება. ბუნების დაცვა

გერმანიის რელიეფი, ჰავა, წყლები, ნიადაგები, მცენარეთა და ცხოველთა სამყარო, წიაღისეულ სიმდიდრეებთან ერთად შეადგენენ ქვეყნის ბუნებრივ რესურსებს. მათ უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის. გერმანიის რელიეფის, ჰავისა და ნიადაგების მრავალფეროვნება ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებას. სოფლის მეურნეობა და არსებული წიაღისეული სიმდიდრეები კი მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ მრეწველობის განვითარებას. მდინარეები და ტბები ქვეყნის ენერგეტიკის, ქალაქებისა და სოფლების წყალმომარაგების, ნაოსნობის, თევზის მოშენების, სპორტისა და დასვენების განვითარებისა და ორგანიზაციის საშუალებას იძლევა.

მაგრამ გერმანიაში ბუნებრივი რესურსები შეზღუდული რაოდენობითაა. ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მათი რაციონალური გამოყენება, რომელიც გულისხმობს ნაკლები რესურსების დახარჯვით, მეტი სარგებლის მიღებას, თანაც ისე რომ ნაკლები ზიანი მოუვიდეს ბუნებას.

ამჟამად ბუნების დაცვა, გარემოს გაჭუჭყიანებისა და ეკოლოგიური კრიზისის თავიდან აცილება ყველა ქვეყნის ერთ-ერთ მწვავე პრობლემას წარმოადგენს. ფაბრიკა-ქარხნებისა და სატრანსპორტო საშუალებათა სიმრავლე იწვევს ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ზრდას, წყლისა და ნიადაგის დაჭუჭყიანებას. ფაბრიკა-ქარხნები განსაკუთრებით ნახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურები, რომლებიც ძალიან ბევრია გერმანიაში, დიდი რაოდენობით გამოყოფენ და ჰაერში უშვებენ ნაცარს და სხვა-

დასხვა მავნე ნივთიერებებს, რომლებიც აჭუჭყიანებენ არამარტო გერმანიას, არამედ მოსაზღვრე ქვეყნებსაც. ამიტომ გარემოს დაცვას გერმანიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

აღსანიშნავია, რომ ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება უშუალო კავშირშია გარემოს დაცვასთან. ნედლეულის მოპოვებისა და გადამუშავების ტექნოლოგიების სრულყოფა და განვითარება, უნარჩენო ტექნოლოგიაზე გადასვლა ბუნების დაცვის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა. მოძველებული და არასრულყოფილი ტექნოლოგიების პირობებში დიდი რაოდენობით რჩება სხვადასხვა სახის ნარჩენები, რომლებიც იკავებენ და აჭუჭყიანებენ გარემოს. ამიტომ აუცილებელია პროდუქციის წარმოების ნარჩენების მეორადი გადამუშავება. შეიძლება ითქვას, რომ ეს მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა გადაჭრას მოითხოვს.

ამჟამად ეკოლოგიური პრობლემისადმი ყურადღება სულ უფრო და უფრო იზრდება. საინფორმაციო საშუალებებში ატეხილმა განგაშმა გარემოში მიმდინარე ცვლილებების შესახებ, წყლისა და ნიადაგის გაბინძურებაზე, ავარიებზე ატომურ ელექტროსადგურებში და ქიმიურ ქარხნებში, ოზონის ხვრელის ზრდაზე, ტყის მასივების შემცირებაზე და მათ მძიმე შედეგებზე, ბევრი სასიკეთო შედეგი გამოიღო. თბოელექტროსადგურები და ქარხნები აღიჭურვა გამონაბოლქვის საწინააღმდეგო უახლესი დანადგარებით, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად შემცირდა გოგირდის ორჟანგის, აზოტის ჟანგის, ქლორის და სხვა გამონაბოლქვი. აიკრძალა დაბალი ხარისხის საწვავის გამოყენება ავტომანქანებში. ავტომანქანები აღიჭურვა სამმაგი კატალიზატორებით, რის შედეგადაც შემცირდა მავნე ნივთიერებათა გამონაბოლქვი. აღსანიშნავია, რომ გერ-

მანიაში და მთელი ევროკავშირის დონეზე გადაწყდა და აიკრძალა იმ ნივთიერებათა წარმოება და გამოყენება, რომლებიც ხელს უწყობენ კლიმატური კატასტროფის მომტანი "თბური ეფექტის" გაძლიერებას და რომლებიც არღვევენ ატმოსფეროში ოზონის დამცველ ფენას. მნიშვნელოვნად გაძლიერდა მუშაობა ატომური რეაქტორების უსაფრთხოების ამაღლების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში გერმანიასა და მთელს ევროკავშირში მრავალი კანონი გამოიცა, რომლებიც ატმოსფეროს დაცვასა და ნარჩენების მოშორებას ეხება. დაინერგა ნარჩენების მეორადი გადამუშავების ტექნოლოგია. მწარმოებლები და სავაჭრო ორგანიზაციები შესაფუთ მასალებსა და მოხმარებისათვის უვარგის საყოფაცხოვრებო საგნებს უკან ღებულობენ უფასოდ. შეიქმნა მრავალი ორგანიზაცია, რომელთა მიზანია ბუნების დაცვის პრობლემების მოგვარება. ბუნების დაცვის საკითხებზე მსჯელობენ პოლიტიკური პარტიები და არასამთავრობო ორგანიზაციები. იცვლება მოქალაქეთა დამოკიდებულება გარემოს დაცვაზე. მოქალაქეები სულ უფრო მეტად ცდილობენ ბუნების შესანარჩუნებლად გამოასწორონ ცხოვრებისა და მოხმარების მოძველებული წესები და ჩვევები. მაგრამ სპეციალისტების აზრით გარემოს დაცვაზე დღემდე მიღებული ზომები საკმარისი არ არის და საჭიროა უფრო მეტი და ეფექტური ღონისძიებების გატარება.

თავი II.

გერმანიის მოსახლეობა

1. მოსახლეობის რაოდენობა, დინამიკა. სქესობრივი და ასაკობრივი სტრუქტურა

ძველი გერმანელი ტომების მასობრივი დასახლება დღევანდელი გერმანიის ტერიტორიაზე ძირითადად მოსახლეობის დიდი გადასახლების სახელწოდებით ცნობილ პერიოდში (IV-VIII ს.) დამთავრდა. თუმცა, გერმანელთა მიგრაციული პროცესები შემდგომ წლებშიაც გრძელდებოდა. ამასთან, გერმანელთა რაოდენობა ეპიდემიებისა და ხშირი ომების შედეგად ზოგჯერ არა თუ იზრდებოდა, არამედ მცირდებოდა კიდეც. დასავლეთ ევროპაში, მათ შორის გერმანიაში მოსახლეობის შედარებით სტაბილური ზრდა XVI საუკუნიდან იწყება. მაგრამ XIX საუკუნემდე მოსახლეობის რაოდენობისა და შედგენილობის შესახებ ზუსტი მონაცემები არ მოიპოვება. მოსახლეობის აღწერები პრიმიტიულად ხდებოდა. შედარებით სრულყოფილი აღწერები მხოლოდ XIX საუკუნიდან იწყება. 1800 წელს გერმანიაში 24,3 მილიონი კაცი ცხოვრობდა, ხოლო 1900 წელს – 45,7 მილიონი კაცი. მე-19 საუკუნეში გერმანიაში მოსახლეობა, მიუხედავად დიდი ემიგრაციისა, თითქმის 2-ჯერ გაიზარდა. ამ პერიოდში გერმანიიდან ემიგრაციაში წავიდა 5 მილიონზე მეტი კაცი. მოსახლეობის ემიგრაციის მიხედვით გერმანია მხოლოდ დიდ ბრიტანეთს ჩამორჩებოდა. მოსახლეობის ზრდა შობადობის მაღალი დონით (35-37 ბავშვი, ყოველ 1000 მცხოვრებზე), იყო განპირობებული. მოსახლეობის ბუნებრივ ზრდაზე დადებითად, მოქმედებდა აგრეთვე სიკვდილიანობის შემცირება

(ყოველ 1000 მცხოვრებზე 24-20 კაცამდე). მოსახლეობის ბუნებრივი ზრდა 1000 მცხოვრებზე საშუალოდ 13-14 კაცს აღწევდა.

მოსახლეობის ბუნებრივი ზრდა მე-19 საუკუნეში და XX ს. დასაწყისში შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება (ყოველწლიურად საშუალოდ 1000 მცხოვრებზე).

	1801-1880 წ.წ.	1881-1900 წ.წ.	1901-1910 წ.წ.
შობადობა	36,6	36,1	33,0
სიკვდილიანობა	24,9	22,3	18,7
ბუნებრივი ზრდა	11,7	13,8	14,3

როგორც მონაცემებიდან ჩანს, სიკვდილიანობა უფრო მეტად შემცირდა, ვიდრე შობადობა. ამის გამო მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის ტემპი საკმაოდ მაღალი დარჩა და თანაც გაიზარდა. მოსახლეობის ზრდა ძირითადად ეკონომიკურმა აღმავლობამ და ქვეყანაში ჯანდაცვისა და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესებამ გამოიწვია.

მაგრამ XX საუკუნეში გერმანიაში მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის ტემპები შემცირდა. მასზე დიდი გავლენა იქონია ორმა მსოფლიო ომმა. საომარმა მოქმედებებმა მილიონობით ადამიანთა სიცოცხლე შეიწირა. მარტო მეორე მსოფლიო ომში 10 მილიონზე მეტი გერმანელი დაიღუპა, მათ შორის 3,2 მილიონი სამხედრო მოსამსახურე. 6 მილიონამდე ადამიანი ინვალიდი და შრომისუუნარო გახდა. ომის წლებში შემცირდა შობადობა და გაიზარდა სიკვდილიანობა, შეიცვალა მოსახლეობის სქესობრივი და ასაკობრივი სტრუქტურა, რამაც გავლენა იქონია მოსახლეობის ბუნებრივ მატებაზე.

გერმანიაში მოსახლეობის დინამიკა XX საუკუნეში შემდეგ სურათს იძლევა:

წლები	მოსახლეობა სულ მლნ კაცი	ზრდა % -ით
1900 წ.	45,7	100,0
1913 წ.	54,7	119,4
1939 წ.	62,3	136,3
1950 წ.	67,0	146,6
1980 წ.	78,5	171,5
1990 წ.	79,0	172,8
2000 წ.	82,0	179,5

მეოცე საუკუნეში მოსახლეობა 79,5% გაიზარდა, მაგრამ მოსახლეობის ასეთი ზრდა ძირითადად მიგრაციით იყო გამოწვეული. მოსახლეობის ზრდაზე უწინარეს ყოვლისა, დიდი გავლენა იქონია გერმანიაში სხვა ქვეყნებიდან გერმანელთა გადმოსახლებამ. მარტო მეორე მსოფლიო ომისშემდგომ წლებში ორივე გერმანულ სახელმწიფოში გადმოსახლდა 13 მლნ-ზე მეტი გერმანელი. ასევე გაიზარდა უცხოელთა რაოდენობაც, რომელმაც 7 მლნ კაცს გადააჭარბა. მოსახლეობის იმიგრაციის პარალელურად მიმდინარეობდა ემიგრაციაც. 1946-1955 წლებში გერმანიიდან სხვა ქვეყნებში გადასახლდა 1,5 მლნ-ზე მეტი კაცი. მაგრამ 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა, სამუშაო ადგილები გაიზარდა და მუშახელზე მოთხოვნილება გადიდდა. ამის გამო გერმანელთა ემიგრაცია თითქმის შეწყდა. ხოლო მუშახელის იმიგრაცია გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ 1960 წლიდან გერმანია ატარებს აქტიურ იმიგრაციულ პოლიტიკას. გერმანელი მეწარმეები დაინტერესებული არიან უცხოეთიდან მუშახელის შემოყვანით, რადგან მათი შრომის ანაზღაურება უფრო დაბალია, ვიდრე ადგილობრივი მოსახლეობი-

სა. ამის გამო გერმანიაში იმიგრანტთა რაოდენობა იზრდება, რაც მოსახლეობის საერთო რაოდენობის ზრდას იწვევს. თუმცა, ბოლო წლებში იმიგრაცია შემცირდა და იმიგრანტების რაოდენობა გამყარდა.

ამჟამად გერმანია მსოფლიოში გამოირჩევა მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის მეტად დაბალი დონით. შობადობის კოეფიციენტი 1000 მცხოვრებზე შეადგენს 10,5 ბავშვს, ხოლო სიკვდილიანობა 10,8 კაცს. მაგრამ გაიზარდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, რომელიც 75 წელს აღწევს, მათ შორის კაცებისა – 72 წელს, ხოლო ქალებისა – 78 წელს. მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის კოეფიციენტი 60 – იან წლებში 5% აღწევდა, ამჟამად იგი უარყოფითია (დაახლოებით – 3%)

აღსანიშნავია ისიც, რომ მეორე მსოფლიო ომმა მნიშვნელოვნად შეცვალა გერმანიის მოსახლეობის ასაკობრივი და სქესობრივი სტრუქტურა. მოსახლეობის 1946 წ. აღწერით მამაკაცები შეადგენდა მთელი მოსახლეობის მხოლოდ 44%. ამასთან, განსაკუთრებით შემცირებული იყო 20-50 წლის მამაკაცთა რაოდენობა. 1946 წელს 14-35 წლის 100 მამაკაცზე მოდიოდა ამავე ასაკის 170 ქალი. ეს მაშინ როდესაც 1939 წელს გერმანიაში 100 მამაკაცზე მოდიოდა 104 ქალი. ომისშემდგომ წლებში მამაკაცებსა და ქალებს შორის თანაფარდობა თანდათანობით შეიცვალა. ამჟამად 50 წლამდე მამაკაცები მეტია ამავე ასაკის ქალებზე, მაგრამ 60 წლის ასაკის ზევით ქალები მნიშვნელოვნად სჭარბობენ მამაკაცებს. 100 მამაკაცზე მოდის დაახლოებით 105 ქალი. რაც შეეხება მოსახლეობის ასაკობრივ სრუქტურას, მასზე გარდა მეორე მსოფლიო ომისა, დიდ გავლენას ახდენს შობადობის შემცირება. სწორედ შობადობის შემცირებისა გამო მცირდება ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობის ხვედრითი

წონა, ხოლო იზრდება მოხუცების (65 წელზე ზევით) ხვედრითი წონა. მას კი ქვეყნის მოსახლეობა "დაბერებამდე" მიჰყავს.

გერმანიის მოსახლეობის საშუალო ასაკის ზრდა სერიოზულ ზეგავლენას ახდენს მომუშავე და სხვის კმაყოფაზე მყოფი მოსახლეობის შეფარდებაზე. როგორც ცნობილია, პროდუქციას მთელი მოსახლეობა მოიხმარს. მაშინ როდესაც მას აწარმოებს მხოლოდ შრომისუნარიანი მოსახლეობა, უფრო სწორად მომუშავენი. აქტიური მოსახლეობის შემცირება ქვეყანას გარკვეულ პრობლემებს შეუქმნის, თუ არ გაიზრდება შრომის ნაყოფიერება.

მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ქორწინებათა და განქორწინებათა რაოდენობა. გერმანიაში ქორწინებათა რაოდენობა ყოველ 1000 მცხოვრებზე შეადგენს 6,2-ს, ხოლო განქორწინებათა რაოდენობა -3 –ს. ეს იმაზე მიგვითითებს, რომ ოჯახები შედარებით არა მდგრადია. ამასთან, გერმანიაში ბევრია ე.წ. "არასრული ოჯახები", ოფიციალურ ქორწინებაში არასოდეს მყოფი, ცალკე მცხოვრები, შვილებიანი ქალების ოჯახები. ასეთ ოჯახებში იზრდება 16 წლამდე ასაკის ბავშვების დაახლოებით 9%.

გერმანელთა ოჯახების უმრავლესობა ერთი ან ორ შვილიანია, ხოლო ოჯახების 1/3 – ზე მეტი უშვილოა. 2000 წლისათვის ითვლებოდა 20 მლნ ოჯახური წყვილი, აქედან 8,5 მლნ უშვილო ოყო. შედარებით უფრო მეტშვილიანია კათოლიკური ოჯახები. აგრეთვე მუსულმან-იმიგრანტთა (განსაკუთრებით თურქული) ოჯახები. თუ ადრე 1960 –იან წლებში გერმანიაში საშუალოდ წელიწადში 1,5 მილიონამდე ბავშვი იბადებოდა, ამჟამად ახალშობილთა რაოდენობა წელიწადში 700 ათასამდე შემცირდა. შობადობაზე განმსაზღვრელ გავ-

ლენას ახდენენ: მოსახლეობის სტრუქტურა სქესისა და ასაკის მიხედვით, ქორწინების ასაკის გადაწევა, მეუღლეთა განათლებისა და დასაქმების დონის ზრდა, ეთნიკური და რელიგიური ფაქტორები. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს ზემოქმედება დემოგრაფიულ პროცესებზე მნიშვნელოვნად გაიზარდა. ქალები თვითეულ ბავშვზე ღებულობენ, როგორც ერთჯერად, ასევე ყოველთვიურ დახმარებას. მშობიარობაზე შემოღებულია 17 კვირიანი (11 კვირა ბავშვის დაბადებამდე და 6 კვირა დაბადების შემდეგ) შვებულება ხელფასის 100% - იანი ანაზღაურებით.

საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვანი სოციალური და დემოგრაფიული მაჩვენებელია ოჯახების (საოჯახო მეურნეობათა) რაოდენობა, სიდიდე და შემადგენლობა. ბოლო პერიოდში ოჯახების (ცალკეუ ბინებში მცხოვრებ მოქალაქეთა) რაოდენობა უფრო მეტად იზრდება, ვიდრე მთელი მოსახლეობა. მაგრამ მცირდება საოჯახო მეურნეობათა საშუალო სიდიდე. ოჯახთა საშუალო სიდიდის შემცირებაზე გავლენას ახდენს არა მარტო მშობიარობის შემცირება, არამედ აგრეთვე შვილების ქორწინებამდე ოჯახიდან წასვლა. ამასთან, მშობლებიდან უფრო მეტად და უფრო ადრე გოგონები მიდიან. 21-22 წლის გოგონათა უმრავლესობა მშობლებიდან განცალკევებულად ცხოვრობს. თუმცა, ისინი ჯერ კიდევ ოფიციალურად დაქორწინებულები არ არიან. უკვე 25 წლის ასაკიდან მათი მშობლებთან ცხოვრება მხოლოდ გამონაკლისებია. ეს შეეხება განსაკუთრებით დაქორწინებული შვილების მშობლებთან დარჩენას. ახალგაზრდა მშობლებს მიაჩნიათ, რომ "მოხუცებს" ან არ სურთ ბავშვების აღზრდაში მონაწილეობის მიღება, ან ის რომ "ბებიები აფუჭებენ შვილიშვილებს". მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ძველ და ახალ თაო-

ბებს შორის დაპირისპირება იყოს. როგორც ძველს, ისე ახალ თაობას უფრო მეტად აინტერესებთ თავისუფლება და თავის ჭკუაზე ცხოვრება.

ამჟამად გერმანიის მოსახლეობის რაოდენობაზე განმსაზღვრელ გავლენას ახდენს მიგრაციული პროცესები. (ემიგრაცია, იმიგრაცია) გერმანიაში იმიგრაცია მეტია ემიგრაციაზე. ემიგრაციაში უფრო მეტად მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები მიდიან, რომელთა იმიგრაციით დაინტერესებული ქვეყანა მათ შრომის უფრო მაღალ ანაზღაურებას აძლევს. აღსანიშნავია, რომ გერმანელი ემიგრანტები მე-19 საუკუნეში საქართველოშიც გამოჩნდნენ.

2. გერმანელი კოლონისტები საქართველოში

მე-19 საუკუნეში გერმანიიდან სხვადსხვა ქვეყანაში გადასახლდა 5 მილიონზე მეტი გერმანელი, მათ შორის მეფის რუსეთში 300 ათასზე მეტი. 1815 წ. რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ს, რომელიც ევროპაში მოგზაურობდა, ვიუტემბერგელმა და ბადენელმა გერმანელებმა თხოვეს კავკასიაში დასახლების ნებართვა. თანხმობის მიღების შემდეგ, 1817 წლიდან იწყება საქართველოს ტერიტორიაზე გერმანელთა ჯგუფ-ჯგუფად დასახლება და გერმანული კოლონიების შექმნა. წარმოიშვა გერმანული დასახლებები: მარიენფელდი – სართიჭალასთან ახლოს (31 ოჯახი 137 კაცი), პეტერსდორფი – მარიენფელდის კოლონიასთან ახლოს, რომელიც შემდეგ შეუერთდა ამ უკანასკნელს (31 ოჯახი 148 კაცი). 1818 წ. გერმანელთა 23 ოჯახი (99კაცი), დასახლდა ალექსანდერსდორფში – დიდუბეში, ხოლო 40 ოჯახი (200 კაცი) – კუკიაზე, 65 ოჯახი (307კაცი) დასახლდა ელიზაბეტში (ასურეთში),

102 ოჯახი (305 კაცი) – ეკატერინენფელდში (ლუქსემ-ბურგი, ბოლნისთან ახლოს). 1842 წელს საქართველო-ში კიდევ ჩამოსახლდა გერმანელთა 10 ოჯახი (42 კაცი), რომლებიც მთავრობამ დაასახლა აბასთუმანში, კოლონიას უწოდა – ფრაიდენტალი.

რუსეთის მთავრობას სურდა საქართველოში გერ-მანელი და აგრეთვე სხვა ეროვნებათა კოლონისტე-ბის სახით დასაყრდენი გაეჩინა და თანაც ისინი გა-მოეყენებინა აქაური ბუნებრივი რესურსების ათვისე-ბისათვის. მთავრობამ კოლონისტებს გამოუყო საუკე-თესო მიწები, გაუწია ფინანსური დახმარება და მნიშ-ვნელოვანი პრივილეგიებიც მისცა. გაანთავისუფლა გადასახადებისაგან 10 წლის განმავლობაში. ამას-თან, მეფის მთავრობა საქართველოში გერმანელთა ჩამოსახლებას პროპაგანდისტული მიზნითაც იყენებ-და, რომ გერმანელთა ჩამოსახლების მიზანი იყო ად-გილობრივი მოსახლეობის სამეურნეო და კულტურუ-ლი დონის ამაღლებისათვის ხელისშეწყობა. მაგრამ სინამდვილეში ჩამოსახლებული გერმანელები რელი-გიურ ფანატიზმში ჩაფლული სექტანტები აღმოჩნდნენ. საქართველოში დასახლება მათ იერუსალიმში გადა-სახლებისათვის უნდოდათ. ამ მიზნით, 1843 წელს აქა-ურმა გერმანელებმა თავიანთი წარმომადგენლები პა-ლესტინაში მიავლინეს გადასახლების შესაძლებლო-ბათა გამოსარკვევად. მაგრამ მალე გაირკვა, რომ მა-თი გადასახლება პალესტინაში თითქმის შეუძლებე-ლი იყო. სწორედ ამის შემდეგ, 1850-იანი წლებიდან იწყება გერმანელ კოლონისტთა სამეურნეო აღმავ-ლობა. მოიმატა გერმანელ მოსახლეთა რაოდენობა-მაც. 1849 წელს ჩატარებული აღწერის მიხედვით სა-ქართველოში გერმანელთა რაოდენობა 2912 კაცს შე-ადგენდა, 1873 წლისათვის გერმანელთა რაოდენობა 6255 კაცამდე გაიზარდა. 1886 წ. საქართველოში მათი

რაოდენობა 9164 კაცს, 1897წ. - 16239 კაცს, ხოლო 1926 წ. – 25327 კაცს უდრიდა. სსრ კავშირზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმის შემდეგ, 1941 წ. საქართველოში მცხოვრები გერმანელები საბჭოთა მთავრობამ ყაზახეთში გადაასახლა.

3. მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება. ურბანიზაცია

გერმანია ევროპაში ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული ქვეყანაა. საშუალოდ 1 კვ. კმ-ზე 229 კაცი ცხოვრობს. მაგრამ მოსახლეობა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უთანაბროდაა განაწილებული. ყველაზე მჭიდროდაა დასახლებული მიწა-ქალაქები: ბერლინი, სადაც მოსახლეობის სიმჭიდროვე 1კვ.კმ –ზე 4 ათას კაცს აღემატება, ჰამბურგი – 2249 კაცი, ბრემენი 1700 კაცი.

მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვით გამოირჩევა აგრეთვე მიწები: ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალია – 520 კაცი, ზაარლანდი – 425 კაცი. ნაკლებად დასახლებული მიწებია: წინა პომერანია – 80 კაცი, ბრანდენბურგი- 87 კაცი. საერთოდ კი დასავლეთი გერმანია უფრო მჭიდროდაა დასახლებული, ვიდრე აღმოსავლეთი გერმანია.

მრეწველობისა და მომსახურების დარგების განვითარების შედეგად გერმანიაში სწრაფად იზრდება ქალაქების მოსახლეობა და მცირდება სოფლის მოსახლეობა. თუ 1939 წელს ქალაქების მოსახლეობა შეადგენდა ქვეყნის მთელი მოსახლეობის 70%, ამჟამად ქალაქებში ცხოვრობს მთელი მოსახლეობის 90%-ზე მეტი. ამასთან, ამჟამად მოსახლეობის თითქმის ერთიმესამედი ცხოვრობს დიდ ქალაქებში. (რომლებ-

შიც მოსახლეობის რაოდენობა 100 ათას კაცს აღემატება). ქვეყნის უდიდესი ქალაქებია: ბერლინი – 3,5 მლნ მცხოვრებლით, ჰამბურგი – 1,7 მლნ, მიუნხენი – 1,2 მლნ, კიოლნი – 966 ათასი. ფრანკფურტი მაინზე – 650 ათასი მაცხოვრებლით. მაგრამ ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ცხოვრობს პატარა და საშუალო სიდიდის ქალაქებში (რომლებშიაც მცხოვრებთა რაოდენობა 2 ათასიდან – 100 ათასამდეა) ხოლო დაახლოებით 6,6 მლნ კაცი ცხოვრობს სასოფლო თემებში (გერმანიაში ქალაქად ითვლება დასახლება, სადაც 2 ათასზე მეტი კაცი ცხოვრობს). მოსახლეობის მომატების შედეგად ბევრი სასოფლო დასახლება ქალაქად გადაკეთდა. ეს კი თავის მხრივ იწვევს ქალაქის მოსახლეობის ზრდასა და ხვედრითი წონის ამაღლებასაც. ქალაქების ტერიტორიის გაფართოების შედეგად მიმდინარეობს მეზობელი ქალაქების ერთმანეთთან შეზრდა, იქმნება კონურბაციები, ქალაქი-კონგლომერატები, აგლომერაციები. მათ შორის ყველაზე დიდია რაინ – რურის აგლომერაცია 4 მილიონი მოსახლოებით, აგრეთვე დიუსელდორფის აგლომერაცია – 3 მილიონი მოსახლოებით, ფრანქფურტ - მაინის აგლომერაცია – 2,5 მილიონი მოსახლოებით, შტუტგარტის აგლომერაცია – 2 მილიონი მოსახლოებით და ა.შ.

გერმანია საქალაქო მშენებლობისა და კულტურის ძველი ქვეყანაა. მის ტერიტორიაზე ქალაქები აღმოცენდნენ ჯერ კიდევ რომის იმპერიის პერიოდში. ხოლო შუა საუკუნეებში მნიშვნელოვან სავაჭრო გზებთან წარმოიქმნა სავაჭრო ცენტრები და ციხე –სიმაგრეები. გერმანიის ბევრი ქალაქი ადრე იყო სამეფოების, საჰერცოგოებისა და სათავადოთა დედაქალაქები. ისინი გამოირჩევიან კულტურულ-ისტორიული ღირშესანიშნაობებით. ცენტრში აღმართულია სასახლე,

რატუშა, ტაძრები, ბირჟისა და სავაჭრო დაწესებულებათა შენობები. ბევრ ქალაქში დღემდე შემორჩენილია სავაჭრო მოედნები, რომლებიც გარშემორტყმულია მაღაზიებითა და სახელოსნოებით.

კაპიტალიზმის განვითარებამ და ფაბრიკა - ქარხნების მშენებლობამ ახალი იერი შესძინა ძველ ქალაქებს – მაღალსართულიან სამეურნეო და საცხოვრებელ სახლები, ფართო ქუჩები და სატრანსპორტო-საკომუნიკაციო საშუალებები. აშენდა ახალი თანამედროვე ქალაქები, მაგრამ მათთვისაც საქალაქო ცხოვრების მაღალ დონესთან ერთად დამახასიათებელია ნაციონალური ტრადიციები და გერმანული ყოფა-ცხოვრების წესები.

სოფლის მოსახლეობა ცხოვრობს სხვადასხვა დაგეგმარების დასახლებაში. უფრო გავრცელებულია ხუტორული დასახლებები. თუმცა, განაშენიანობის ფორმას უფრო მეტად განსაზღვრავს რელიეფი და მაცხოვრებელთა სამეურნეო საქმიანობა. შეხვდებით აგრეთვე წრიული დაგეგმარების სოფლებსაც, სადაც საცხოვრებელი სახლები გაშენებულია მოედნის (მინდვრის) გარშემო. მთიან ადგილებში, სადაც ძირითადად მეცხოველეობაა განვითარებული, ჭარბობს ცალკეული ფერმების პატარა დასახლებები. ბავარიისა და შვარცვალდის მთიან რაიონებში გავრცელებულია ალპური ტიპის სახლები, უფრო მეტად ორსართულიანი სახლები, სადაც ერთი სახურავის ქვეშ არის საცხოვრებელი და სამეურნეო სათავსოები. ასევე ბევრია ნახევრად სასოფლო ტიპის დასახლებები, სადაც სოფლის მეურნეობის მუშაკებთან ერთად ცხოვრობენ მრეწველობაში და სხვადასხვა ქალაქურ საქმიანობაში მომუშავე პირები.

უნდა აღინიშნოს, რომ გერმანული სოფელი განსახლების ფორმით და კეთილმოწყობით დიდად არ

ჩამორჩება ქალაქებს. იცვლება სოფლის მოსახლეობის სოციალური შედგენილობაც. სოფელში სულ უფრო და უფრო იზრდება მრეწველობაში და მომსახურეობის დარგებში დასაქმებულთა რაოდენობა. ასევე ქალაქებთან ახლომდებარე სოფლებში შეხვდებით დიდგვაროვან არისტოკრატიის მწვანეში ჩაფლულ სასახლეებს. გარეუბნებში ქალაქელთა გადასახლება გრძელდება, რომელმაც ერთგვარად შეზღუდა ურბანიზაციის ზრდა.

აღსანიშნავია, რომ მეორე მსოფლიო ომისშემდგომი გერმანიის ეკონომიკურმა და კულტურულმა განვითარებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა მოსახლეობის ტერიტორიულ განლაგებაში. გარდა იმისა, რომ გაიზარდა ქალაქების მოსახლეობის რაოდენობა და შემცირდა სოფლის მოსახლეობის რაოდენობა, მოხდა რეგიონებს (მიწებს) შორის მოსახლეობის გადანაწილებაც. მნიშვნელოვნად გაძლიერდა შიდა მიგრაცია. ქვეყნის შიგნით საშუალოდ ყოველწლიურად დაახლოებით 3 მილიონამდე კაცი იცვლის თავის საცხოვრებელ ადგილს. მოსახლეობის ასეთი გადაადგილების ძირითადი მიზეზებია: რეგიონების (მიწების) უთანაბრო განვითარება, უკეთესი სამუშაოს ძებნა, უფრო უზრუნველყოფილი ცხოვრებისაკენ ლტოლვა,ოჯახური მდგომარეობა, განათლების მიღება, უკეთეს ეკოლოგიურ ადგილებში გადასახლება. გერმანიაში მაღალგანვითარებულ რეგიონებთან (მიწებთან) ერთად დღემდე შემორჩა უფრო ნაკლებად განვითარებული რეგიონები, მჭიდროდ დასახლებულ მიწებთან ერთად ნაკლებად დასახლებული მიწები. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა ბავარიასა და ჰესენში გადასახლებაზე, რომლებსაც აქვთ აქტიური მიგრაციული სალდო. მიგრანტებს ამ მიწებში იზიდავს უფრო მეტად უკეთესი ეკოლოგიური პირობები. აღსანიშნავია, რომ

მჭიდროდ დასახლებულ მიწებს მიგრაციის უარყოფითი ბალანსი აქვს. გერმანიის გაერთიანების შემდეგ მიმდინარეობდა მოსახლეობის აღმოსავლეთ გერმანიიდან დასავლეთის მიწებში გადასახლება, მაგრამ ბოლო წლებში ეს პროცესი შემცირდა და პირიქით ხდება.

მოსახლეობის შიგა მიგრაციაზე დიდ გავლენას ახდენს საბინაო პირობები. გერმანიაში ოჯახების ნახევარზე მეტი დაქირავებულ ბინებში ცხოვრობს, ხოლო კერძო საკუთრებაში საცხოვრებლის არმქონე ოჯახებისათვის ბინის ფაქტორი მიგრაციას არ აფერხებს. მაგრამ ბოლო წლებში ბევრი გერმანელის ოცნებაა შეიძინოს საკუთარი სახლი ან ბინა. სახელმწიფო კი ეხმარება მათ.

4. მოსახლეობის დასაქმება, სოციალური და პროფესიული შედგენილობა

ქვეყნის მთელი მოსახლეობა სამი თაობისაგან შედგება: ბავშვები და მოზარდები, რომლებსაც სამუშაო ასაკისათვის არ მიუღწევიათ (16 წლამდე), სამუშაო ასაკის მოსახლეობა (16 წლიდან-65 წლამდე) და ამ ასაკს გადაცილებული მოსახლეობა. სამუშაო ასაკის მოსახლეობას თუ გამოვაკლებთ ავადმყოფებსა და ინვალიდებს მივიღებთ შრომით რესურსებს, ანუ ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას. ამ კატეგორიას უნდა მოვაკუთვნოთ აგრეთვე მოზარდები და საპენსიო ასაკის ადამიანები, რომლებიც მუშაობენ.

შრომისუნარიანი მოსახლეობა მთელი მოსახლეობის ყველაზე აქტიური და თანაც მრავალრიცხოვანი ნაწილია. გერმანიაში მასზე მოდის მთელი მოსახლეობის ნახევარზე მეტი. მაგრამ ყველა შრომისუ-

ნარიანი მოსახლეობა დასაქმებული არ არის. მათი ნაწილი არ მუშაობს. შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმებაზე გავლენას ახდენს ეკონომიკის განვითარება, მისი დარგობრივი სტრუქტურა, საწარმოთა ტერიტორიული განლაგება, სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა და სხვა.

აღსანიშნავია, რომ გერმანიაში ეკონომიკის განვითარებისა და მოსახლეობის ზრდის შედეგად იზრდებოდა დასაქმებულთა რაოდენობა, ასევე იცვლებოდა მომუშავეთა განაწილება ეკონომიკის დარგების მიხედვით. 2000 წლისათვის ქვეყანაში დასაქმებულთა რაოდენობამ 38,5 მლნ კაცს მიაღწია. ნაცვლად 1950 წ. 29,9 მლნ კაცისა. თუ ადრე გერმანიის შრომითი რესურსების ნახევარზე მეტი მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში იყო დასაქმებული, მეორე მსოფლიო ომისშემდგომ წლებში მომუშავეთა განაწილება ეკონომიკის დარგების მიხედვით მნიშვნელოვნად შეიცვალა. 1939 წელს მრეწველობაში (მშენებლობის ჩათვლით) ჩაბმული იყო მომუშავეთა 48%, ხოლო სოფლის მეურნეობაში 9%, 2000 წლისათვის შესაბამისი მაჩვენებლები 39% და 6%-მდე შემცირდა. სამაგიეროდ გაიზარდა მომსახურების დარგებში დასაქმებულთა რაოდენობა. მაგრამ, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის გარკვეული ნაწილი უმუშევარია. თუმცა, ბოლო წლებში უმუშევართა საერთო რაოდენობა შემცირდა. 2000 წ. უმუშევართა საშუალო რაოდენობა 3,89 მლნ კაცს შეადგენდა, ხოლო უმუშევრობის დონე 2001 წლის დასაწყისისათვის 9,3% აღწევდა. აღსანიშნავია, რომ ორი გერმანული სახელმწიფოს გაერთიანების შემდეგ უმუშევართა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, ძირითადად აღმოსავლეთი გერმანიის ხარჯზე. აღმოსავლეთ გერმანიაში (ყოფილი გდრ) მნიშვნელოვნად შემცირდა სამუშაო ადგილები სოცია-

ლისტური ეკონომიკის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანასთან დაკავშირებით. 1992 წელს ახალ მიწებში (ყოფილი გდრ) აღრიცხული იყო 1,5 მლნ-ზე მეტი უმუშევარი (17,4%), მაშინ როდესაც გდრ უმუშევრობა საერთოდ არ იყო. მაგრამ უმუშევართა რაოდენობა ახალ მიწებში, თანდათანობით შემცირდა და ამჟამად იგი საერთო ნორმის ფარგლებშია (დაახლოებით 9%)

შრომისუნარიანი მოსახლეობის ცალკეული კატეგორიებიდან ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით უმუშევრები ყველაზე მეტია 25 წლამდე ახალგაზრდებში (დაახლოებით 15%) ასევე უმუშევარი ქალები გაცილებით მეტია უმუშევარ მამაკაცებზე. თუმცა, ბოლო წლებში მომუშავე ქალთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ასევე შეიცვალა მომუშავე ქალების სამუშაო ადგილებიც. თუ მე-20- საუკუნის დასაწყისში ქალების უმრავლესობა დასაქმებული იყო ოჯახებში მოსამსახურედ, შემდგომ წლებში ამ სამუშაოზე ადგილობრივი ქალების რაოდენობა შემცირდა. 1980 წლიდან ძალაში შევიდა კანონი "სამუშაო ადგილზე კაცების და ქალების გათანაბრების შესახებ". სამუშაოზე მიღების დროს ქალები სარგებლობენ იგივე უფლებებით, როგორც მამაკაცები. მაგრამ დისკრიმინაცია შრომის ანაზღაურებაში დღემდე შემორჩა. ბევრგან ერთი და იგივე სამუშაოს შესრულებაზე ქალები უფრო ნაკლებ ხელფასს ღებულობენ, ვიდრე მამაკაცები. ამჟამად გერმანიაში 15-65 წლების ქალთა დიდი უმრავლესობა (60%) დასაქმებულია. ქალები ძირითადად მუშაობენ განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და მომსახურების დარგებში, აგრეთვე საფეიქრო, სამკერვალო, კვებისა და პოლიგრაფიული მრეწველობის დარგებში. სოფლის მეურნეობაში კი- ქალთა შრომა ნაკლებად გამოიყენება. მაგრამ საკმაოდ ბევრია მმართველობის ორგანოებში მომუ-

შავე ქალები. მეორეს მხრივ, ქალების დასაქმების ზრდამ მთელი რიგი სოციალური და დემოგრაფიული პროცესების გამწვავება გამოიწვია: შემცირდა შობადობა, გაიზარდა განქორწინებათა რაოდენობა და ა.შ.

ქვეყანაში უმუშევრობის შემცირების მიზნით დიდი ღონისძიებები ტარდება. მოქმედებაშია დასაქმების სხვადასხვა პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებენ ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, მცირე ბიზნესზე ხელისშეწყობას, გადასახადების შემცირებას. აღსანიშნავია ისიც, რომ უმუშევრებს სურთ სამუშაოდ სხვაგან წასვლა, მაგრამ მათ აკავებთ ოჯახი და ადგილობრივი კავშირურთიერთობები, აგრეთვე ისიც რომ მათ ახალ სპეციალობათა კვალიფიკაცია არა აქვთ.

გერმანიის მთელი მოსახლეობა სოციალური თვალსაზრისით რამდენიმე ჯგუფად და ქვეჯგუფად იყოფა. უფრო გავრცელებულია მოსახლეობის სამ ჯგუფად დაყოფა. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება კორპორაციისა და მსხვილ საწარმოთა მესაკუთრეები, კომპანიებისა და მსხვილი ბანკების დირექტორები, სახელმწიფო აპარატის უმაღლესი მოსამსახურეები, ეკლესიის მამამთავრები. მოსახლეობის ეს ჯგუფი ქმნის საზოგადოების "ელიტას". ისინი ოჯახის წევრებთან ერთად შეადგენენ მთელი მოსახლეობის დაახლოებით 5%. მეორე ჯგუფს მიეკუთვნება საზოგადოების საშუალო ფენა. საშუალო და წვრილ საწარმოთა მესაკუთრეები და მაღალკვალიფიკაციური სპეციალისტები, აგრეთვე სახელმწიფო მოხელეები. ისინი თავიანთი ოჯახის წევრებთან ერთად შეადგენენ მთელი მოსახლეობის 25%. მესამე ჯგუფს მიეკუთვნება მოსახლეობის დანარჩენი ჯგუფები: დაქირავებული მუშა-მოსამსახურეები, გლეხები, ხელოსნები და სხვა წვრილი მწარმოებლები, უმუშევრები და სხვები. ეს ჯგუ-

ფები თავიანთი ოჯახების წევრებთან ერთად შეადგენენ მთელი მოსახლეობის 70%.

საქმიანობისა და შემოსავალთა წყაროს მიხედვით მოსახლეობას ორ დიდ ჯგუფად ყოფენ; პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ყოველნაირი მესაკუთრეები, რომლებიც შემოსავალს ღებულობენ მოგების, რენტის, დივიდენტისა და პროცენტის სახით. ამ ჯგუფს მიეკუთვნება აგრეთვე წვრილი მეწარმეები, რომლებიც ოჯახის წევრთა შრომას იყენებენ. მეორე ჯგუფს მიეკუთვნება დაქირავებული შრომის მთელი არმია დაწყებული დირექტორებიდან და დამთავრებული არაკვალიფიკაციური მუშებით. ამ ჯგუფში შედის დაქირავებული მუშაკები, რომლებიც ხელფასს ღებულობენ. დაქირავებულ მუშაკებზე მოდის მომუშავეთა 90%, მეწარმეებზე 3%, ინდმეურნეობებზე 7%.

მნიშვნელოვნად იცვლება დასაქმებულთა პროფესიული სტრუქტურა. მასზე განმსაზღვრელ გავლენას ახდენს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია. განუხრელად იზრდება წამყვანი პროფესიების სპეციალისტთა რაოდენობა: მენეჯერები, ინჟინრები, მეცნიერები, ბუღალტრები, მომსახურების სფეროს მაღალკვალიფიკაციური მუშაკები. მცირდება სოფლის მეურნეობის მუშაკები, მეშახტეები, მეტალურგები, მქსოველები და სხვათა რაოდენობა. გერმანიაში ყველაზე გავრცელებული პროფესიები და სპეციალობებია: მანქანათმშენებლები, ელექტრიკოსები, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სპეციალისტები, ფინანსისტები, ბუღალტრები, პოლიგრაფისტები, ხელოვნების მუშაკები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ გერმანიაში მაღალია ეკონომიკურ სპეციალობათა მუშაკების ხვედრითი წონა.

5. მოსახლეობის ეთნიკური და რელიგიური შედგენილობა.

გერმანიის მოსახლეობა ეთნიკური თვალსაზრისით ერთგვაროვანია. მთელი მოსახლეობის 94% გერმანელები შეადგენენ. მაგრამ გერმანელების გარდა ქვეყანაში უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ ეროვნული უმცირესობები: სლაური წარმოშობის სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები, დანიელები, ბელგიელები, ფრანგები, ჩეხები, ლატვიელები, ებრაელები და სხვები. ვაიმარის ბურჟუაზიული რესპუბლიკის პერიოდში ყველა ნაციონალურ უმცირესობას თვითგამორკვევის უფლება მიეცა. 1925 წ. გერმანიაში ცხოვრობდა 2,5 მილიონზე მეტი არა გერმანელი, მათ შორის 500 ათასზე მეტი ებრაელი. მაგრამ ფაშიზმის პერიოდში ეროვნული უმცირესობები მნიშვნელოვნად შეიზღუდა. განსაკუთრებით მკაცრი ზომები იქნა მიღებული ებრაელების მიმართ. ამის გამო ებრაელთა ერთი ნაწილი ემიგრაციაში წავიდა, ნაწილი – საკონცენტრაციო ბანაკებში იქნა დამწყვდეული, ხოლო მნიშვნელოვანი ნაწილი დახვრეტილ იქნა. ყოველივე ამის შედეგად, 1946 წლის აღწერით გერმანიაში ცხოვრობდა მხოლოდ 7 ათასამდე ებრაელი. ფაშიზმმა გერმანია ეროვნული თვალსაზრისით ერთგვაროვანი ქვეყანა გახადა.

გერმანელი ერის ჩამოყალიბებაში მონაწილეობა მიიღეს გერმანელმა და არაგერმანელმა ტომებმა. გერმანელი ტომების ურთიერთშერწყმის, აგრეთვე სხვა ხალხებთან მათი ასიმილაციის პროცესი დაიწყო უძველესი დროიდან და გაგრძელდა XIX საუკუნემდე. გერმანელთა ეროვნულ კონსოლიდაციას დიდი ხნის განმავლობაში აფერხებდა ფეოდალური დაქუცმაცებულობა და ქვეყნის ეკონომიკური გათიშულობა. მაგ-

რამ XIX საუკუნეში კაპიტალიზმის განვითარებამ და უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ გაჩაღებულმა განმანთავისუფლებელმა ბრძოლამ გამოიწვია ეროვნული თვითშეგნების ზრდა, რამაც თავის მხრივ დააჩქარა გერმანელთა გაერთიანება. XIX საუკუნის 70 –იანი წლების დასაწყისში დამთავრდა გერმანელი ერის ჩამოყალიბების პროცესი.

გერმანელი ერის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა ერთიანი გერმანული სალიტერატურო ენის შექმნამ. ამ საქმეში კი დიდი როლი ითამაშა მარტინ ლუთერის მიერ გერმანულ ენაზე ბიბლიის თარგმნამ. სწორედ ეს თარგმანი გახდა გერმანული სალიტერატურო ენის წყარო და მისი შემდგომი განვითარების საფუძველი.

1949 წელს გერმანიის ტერიტორიაზე ორი სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოს შექმნის ბაზაზე ამ ქვეყნების მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება სხვადასხვა გზით წარიმართა. მას შედეგად მოჰყვა ორი გერმანელი ერის ჩამოყალიბება და განსხვავებული პოლიტიკური ცნებებისა და სიტყვების წარმოშობა. გერმანიის გაერთიანების შემდეგ ორად გათიშული გერმანელი ერი ერთიანი გახდა.

რ ე ლ ი გ ი უ რ ი კ უ ლ ტ უ რ ა. რელიგიური რწმენის მიხედვით გერმანიის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ქრისტიანია. მათ შორის 28 მილიონზე მეტი პროტესტანტი – ლუთერიანელია, ხოლო 27 მილიონი კათოლიკეა. ასევე ბევრია ქრისტიანობის სხვადასხვა სექტების მიმდევრები, არიან ათეისტებიც და სხვა რელიგიების მიმდევრებიც.

გერმანიაში არსებობს რწმენისა და სინდისის თავისუფლება. ეკლესია სახელმწიფოსაგან გამოყოფილია და არ იმყოფება სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ. ეკ-

ლესიას მინიჭებული აქვს დამოუკიდებელი, საჯარო სამართლის საზოგადოებრივი გაერთიანების სტატუსი. ეკლესიას და სახელმწიფოს შორის დამოკიდებულება პარტნიორობის საფუძველზე ხდება. მათ შორის ურთიერთობები დარეგულირებულია კონსტიტუციითა და ცალკეული კანონებით. მართალია, სახელმწიფო ეკლესიას გადასახადს ახდევინებს, მაგრამ მისი დიდი ნაწილი მას არაპირდაპირი გზით უკან უბრუნდება.

როგორც ცნობილია, გერმანიაში რეფორმაციის შედეგად აღმოცენდა ახალი ეროვნული, პროტესტანტულ-ლუთერიანული მიმართულების ე ვ ა ნ გ ე ლ ი ს ტ უ რ ი ე კ ლ ე ს ი ა. ლუთერიანობა გერმანიაში ოფიციალურ სარწმუნოებად (კათოლიციზმის თანაბრად) აღიარებულ იქნა აუგსბურგის რელიგიური ზავით 1555 წელს. ევანგელისტურ ეკლესიას უფრო მეტი მიმდევრები ჰყავს დიდ ქალაქებში და ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის მიწებში. თავიდან მისი მრევლი უფრო მეტად მდიდარი ბურჟუაზიული ფენების წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ თანდათანობით იგი ყველა ფენის რელიგია გახდა.

გერმანიის ე ვ ა ნ გ ე ლ ი ს ტ უ რ ი ე კ ლ ე ს ი ა შედგება 24 დამოუკიდებელი ლუთერიანულ-უნიატური რეფორმირებული ეპარქიისაგან. ეპარქიათა საზღვრები არ ემთხვევა მიწათა საზღვრებს. ეკლესიის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა სინოდი, ხოლო ხელმძღვანელი ორგანოა-ევანგელისტური ეკლესიის საბჭო. ევანგელისტური ეკლესიის მმართველობის ცენტრალური ორგანოს (კონსისტორიის) ადგილსამყოფელია – ჰანოვერი. ევანგელისტური ეკლესია შედის ქრისტიანულ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში. ამასთან, იგი თანამშრომლობს რომის კათოლიკურ ეკლესიასთან.

კ ა თ ო ლ ი კ უ რ ი ე კ ლ ე ს ი ა იყოფა 27 საეპისკოპოსოდ, მათ შორის 7 არქისაეპისკოპოსოა.

გერმანიის გაერთიანების შემდეგ შეიქმნა ახალი საეპისკოპოსოები. ყოველწლიურად 2-ჯერ გაზაფხულზე და შემოდგომაზე ტარდება არქიეპისკოპოსთა, ეპისკოპოსთა და ვიკარების საერთო კრება, კონფერენცია, რომელიც იხილავს ეკლესიის საქმიანობის უმთავრეს საკითხებს. გერმანიის კათოლიკური ეკლესიის სამდივნოს ადგილსამყოფელია – ქალაქი ბონი.

გარდა ამ ორი ძირითადი ეკლესიისა გერმანიაში მოქმედებაშია სხვა ეკლესიები და რელიგიური საზოგადოებები. მათ შორისაა: ევანგელისტურ-მეთოდისტური ეკლესია, მართმადიდებლური ეკლესია და უამრავი პროტესტანტული სექტები: ბაპტისტები, „ხსნის არმია". აღსანიშნავია, აგრეთვე ებრაული, იუდაისტური-რელიგიური, მუსულმანთა ისლამისტური საზოგადოებები და სხვები.

აღსანიშნავია, რომ გერმანიაში ეკლესიების როლი და მოსახლეობაზე გავლენა იზრდება. ეკლესიებს გააჩნიათ სკოლები და კლუბები, ასოციაციები და კავშირები, თავშესაფრები და ხელმოკლებულთა სასადილოები. ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ მოსახლეობის რელიგიური სულისკვეთებით აღზრდის საკითხებს. მნიშვნელოვან საკითხებზე აკეთებენ წერილობით განცხადებებს, ატარებენ მორწმუნეთა საერთო კრებებს, კონფერენციებს და ა.შ. ეწევიან საერთაშორისო საქველმოქმედო საქმიანობასაც. კათოლიკების საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა საქველმოქმედო კავშირი „კარიტასი", ხოლო ევანგელისტების საქველმოქმედო საქმიანობას წარმართავს კავშირი „დიაკონური საქმე". ორივე ეკლესია ეწევა მორწმუნეებისაგან თანხების შეგროვებას და განვითარებად ქვეყნებზე დახმარებას.

თავი III.
გერმანიის ეკონომიკა და სოციალური სფერო

1. გერმანიის ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი

XIX საუკუნემდე გერმანია დასავლეთის ერთ-ერთი ჩამორჩენილი ქვეყანა იყო. მის ეკონომიკურ განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებდა ქვეყნის პოლიტიკური დაქუცმაცებულობა და ერთიანი სახელმწიფოს არ არსებობა. ქვეყანა დაყოფილი იყო წვრილ, განცალკევებულ, პოლიტიკურ ერთეულებად, რომლებიც ერთმანეთს ებრძოდნენ. პოლიტიკური ერთიანობის არ არსებობა, შინაგანი საბაჟო ბარიერები, ერთიანი ბაზისა და ფულადი სისტემის უქონლობა, ბატონყმური ექსპლუატაცია და სხვა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას ხელს უშლიდა. გერმანიის ეკონომიკურ ჩამორჩენილობაზე, დიდ გავლენას ახდენდა აგრეთვე საოკეანო, სავაჭრო გზებიდან დაშორება. გერმანიას ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვებზე გასასვლელი არ ჰქონდა, ეს გასასვლელები ჩაკეტილი ჰქონდათ ჰოლანდიასა და შვედებს. ამის გამო XIXს-ის II ნახევრამდე გერმანია ჩამორჩენილ აგრალურ ქვეყანად რჩებოდა. აღსანიშნავია, ისიც რომ ბატონყმობა გერმანიაში უფრო გვიან გაუქმდა, ვიდრე დასავლეთის სხვა ქვეყნებში. გერმანიაში ბურჟუაზიული რევოლუცია 1848 წელს მოხდა, მაგრამ იგი ფაქტიურად დაუსრულებელი დარჩა. ბატონყმობა გერმანიაში ორი წლის შემდეგ 1850 წ. გაუქმდა. მაგრამ კაპიტალიზმის განვითარება სოფლის მეურნეობაში ევოლუციური გზით წარიმართა.

XIXს.-ის 50-იან წლებიდან დაიწყო გერმანიის პოლიტიკური გაერთიანება პრუსიის მეთაურობით, რომელმაც თანდათანობით დაიპყრო და შემოიერთა გერმანული და არაგერმანული მიწები და ბოლოს 1871 წელს დაამარცხა საფრანგეთი, რომელსაც წაართვა რკინის მადნით მდიდარი საბადოები: ელზასი და ლოთარინგია.

გერმანიის გაერთიანების შედეგად შეიქმნა ერთიანი მმართველობა, ერთიანი ფულადი და ზომა –წონის სისტემა. გაუქმდა შინაგანი საბაჟო გადასახადები. დაწესდა ერთიანი სავაჭრო კანონმდებლობა. ყოველივე ამის შედეგად შეიქმნა ერთიანი საშინაო ბაზარი, რამაც დააჩქარა კაპიტალიზმის განვითარება. გაერთიანებული გერმანია გახდა უდიდესი სახელმწიფო 41 მილიონი მოსახლეობით, საკმაოდ მოზრდილი ტერიტორიითა და მდიდარი ბუნებრივი რესურსებით. ამასთან ერთად, ქვეყნის ინდუსტრიულ განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია საფრანგეთთან ომში გამარჯვებამ, რკინის მადნით მდიდარი ელზასისა და ლოთარინგიის მიტაცებამ და საფრანგეთიდან 5 მილიარდი ფრანკი (ოქროთი) კონტრიბუციის მიღებამ. სწორედ ეს უკანასკნელი გახდა გერმანიის ინდუსტრიალიზაციის მნიშვნელოვანი ფინანსური წყარო. მრეწველობის განვითარებას ხელს უწყობდა აგრეთვე დიდძალი თავისუფალი მუშახელის არსებობა. ელზასისა და ლოთარინგიის რკინის მადნის რაინისა და საარის ქვანახშირის აუზებთან შეერთების საფუძველზე მეტალურგიისა და ლითონდამუშავებული მრეწველობის განვითარებისათვის მძლავრი სანედლეულო ბაზა შეიქმნა. ამასთან, ახალი სამრეწველო საწარმოების მშენებლობაში გერმანიამ გამოიყენა სხვა ქვეყნების გამოცდილება. აქ ახალი საწარმოები აშენდა ტექნიკისა და ტექნოლოგიების უახლესი მიღწევე-

ბის საფუძველზე. ამიტომ გერმანიაში არ ყოფილა მოძველებული მოწყობილობათა პრობლემა, როგორც ეს იყო ინგლისსა და საფრანგეთში. სწორედ ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე გერმანიამ შრომის მაღალ ნაყოფიერებას მიაღწია.

	1870 წ.	1900 წ.	1913 წ.
ქვანახშირის მოპოვება	37,9	149,8	277,3
თუჯის წარმოება	1,6	8,5	19,3
ფოლადის გამოდნობა	0,25	6,6	18,3

მრეწველობის ცალკეულ დარგთა განვითარება XIX ს. დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში შემდეგ სურათს იძლევა (მლნ ტონობით.)

მძიმე მრეწველობის ზრდის დამაჩქარებელი ფაქტორი გახდა რკინიგზის მშენებლობა და ხელისუფლების მილიტარისტული პოლიტიკა. რკინიგზისათვის საჭირო იყო ლითონი, ქვანახშირი, ორთქმავალი, ვაგონები, სარემონტო ქარხნები და ა.შ. წარმოების განვითარებისათვის ასევე საჭირო გახდა პროდუქციის გასაღების ბაზრები და იაფი ნედლეულის წყაროები. მაგრამ კოლონიები გერმანიას არ გააჩნდა, რომლებიც ამ დროისათვის უკვე განაწილებული იყო. როგორც ამბობენ, გერმანია მაშინ მოვიდა სუფრასთან, როცა მაგიდასთან ყველა ადგილი დაკავებული იყო. ასეთ პირობებში, გერმანიამ დაიწყო ბრძოლა განაწილებული მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის. ამისათვის კი აუცილებელი იყო კარგად შეიარაღებული არმიისა და სამხედრო წარმოების შექმნა. მალე გერმანია სამხედრო წარმოების განვითარების მიხედვით მსოფლიოში პირველ ადგილზე აღმოჩნდა.

XX საუკუნის დასაწყისისათვის სამრეწველო წარ-

მოების განვითარების თვალსაზრისით გერმანიამ გაუსწრო ჯერ საფრანგეთს, შემდეგ ინგლისს და მსოფლიოში მეორე ადგილი დაიკავა აშშ-ს შემდეგ. მაგრამ მრეწველობისაგან განსხვავებით სოფლის მეურნეობის განვითარება ნელი ტემპით, ე.წ. "პრუსიული გზით" მიმდინარეობდა. სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებდა მემამულური მიწათმფლობელობის არსებობა. მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო იუნკერული მამულების დაქირავებულ შრომაზე გადაყვანა და ფერმერულ მეურნეობათა ორგანიზაცია.

მრეწველობის განვითარებამ, თავის მხრივ, გამოიწვია ვაჭრობის გაფართოება, საქონლის ექსპორტის ზრდა. ამ მიზნით გერმანიამ შექმნა მძლავრი სავაჭრო ფლოტი. მაგრამ საქონლისა და კაპიტალის საზღვარგარეთ გატანის პროცესში გერმანია დაუპირისპირდა ინგლისს, საფრანგეთს, აშშ-სა და რუსეთს. გერმანიამ აშკარად დაიწყო ბრძოლა უკვე განაწილებული მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის. განსაკუთრებით გამწვავდა გერმანიის ურთიერთობა საფრანგეთთან. საფრანგეთი, რომელმაც დაკარგა ელზასი და ლოთარინგია ცდილობდა მათი დაბრუნებას. გერმანიისა და მისი მოკავშირების დაპირისპირებას ანტანტასთან (ინგლისი-საფრანგეთი-რუსეთი) შედეგად მოყვა პირველი მსოფლიო ომი. ამ ომში გერმანია დამარცხდა. ქვეყანამ მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი და ადამიანთა დანაკარგი განიცადა. ომში 2 მილიონზე მეტი გერმანელი დაიღუპა. ომმა ქვეყნის მრეწველობისა და ფინანსების მოშლა გამოიწვია. პირველი მსოფლიო ომის შედეგად ქვეყანამ დაკარგა ტერიტორიის 13%, რკინის მადნის მოპოვების 75%, სავაჭრო ფლოტის 90%.

პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ეკო-

ნომიკის განვითარება დაჩქარდა. გერმანია დემოკრატიული რესპუბლიკა გახდა. ქვეყანამ მოკლე დროში შეძლო ომის შედეგად დანგრეული ეკონომიკის აღდგენა. 1924 წლიდან იწყება ეკონომიკის აღმავლობა. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა ფულის რეფორმამ და აშშ-დან მიღებულმა სესხებმა. 1924 წლიდან ძალაში შევიდა „დაუესის გეგმა", რომელიც ითვალისწინებდა უცხოური ინვესტიციების ბაზაზე გერმანიის ეკონომიკის აღმავლობას და მის საფუძველზე გამარჯვებული ქვეყნების წინაშე რეპარაციულ ვალდებულებათა შესრულებას. 1924-1929 წლებში, ამ გეგმის საფუძველზე გერმანიაში უცხოურმა კაპიტალდაბანდებებმა 30 მილიარდ მარკას გადააჭარბა. დაიწყო გერმანიის ეკონომიკის მძლავრი აღმავლობა, რომელიც ისტორიაში შევიდა „ოქროს 20-იანი წლების" სახელწოდებით. მაგრამ ეკონომიკის ზრდა მხოლოდ 4-5 წელიწადი გაგრძელდა. 1929წელს დაიწყო ეკონომიკური კრიზისი. 1929-1933წწ. მსოფლიო ეკონომიური კრიზისის შედეგად გერმანიის ეკონომიკა მნიშვნელოვნად დაზარალდა. თუმცა, უფრო ნაკლებად, ვიდრე აშშ-ს ეკონომიკა. 1929-1932 წლებში წარმოების მოცულობა 26%-ით შემცირდა, ხოლო აშშ-ში 44%-ით. უმუშევართა მაქსიმალურმა რაოდენობამ 1932 წლის თებერვალში მიაღწია და 6,13 მილიონი კაცი შეადგინა. შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლა გერმანიის მონოპოლისტურმა ბურჟუაზიამ დაიწყო ცენტრალიზებულ - ადმინისტრაციული მეთოდების გამოყენებითა და პოლიტიკური დიქტატურის დამყარების გზით. მძიმე ეკონომიური კრიზისის მძვინვარების პერიოდში, ფაშისტები ხელისუფლების სათავეში აღმოჩდნენ. ფაშისტებმა პირველ რიგში დაიწყეს თავისუფალი მეწარმეობის შეზღუდვა და ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება. ძირითადი ყურადღება გა-

დაიტანეს სამხედრო მრეწველობის განვითარებაზე. სახელმწიფო სახსრებით დაიწყეს ავტომაგისტრალების მშენებლობა, რამაც შეამცირა უმუშევრობა. ინფლაციის აღკვეთის მიზნით, დააწესეს კონტროლი ფასებზე და ხელფასზე, გადავიდნენ საბარათო სისტემაზე. ადმინისტრაციული რეგულირების გაძლიერების მიზნით სავალდებულო გახდა მეწარმეთა კარტელებში გაერთიანება. სახელმწიფო გახდა ჩამორთმეულ საწარმოთა მესაკუთრე. გატარებული რეფორმების შედეგად გერმანიის ეკონომიკური განვითარება დაჩქარდა. თუმცა, ეკონომიკის აღმავლობა ძირითადად სამხედრო და მასთან დაკავშირებული წარმოებების ხარჯზე ხდებოდა. ფაშისტებმა დაარღვიეს ვერსალის ხელშეკრულება და გააჩაღეს მეორე მსოფლიო ომი.

მეორე მსოფლიო ომი გერმანიისათვის და განსაკუთრებით მისი ეკონომიკისათვის კატასტროფული აღმოჩნდა. გერმანიის ეკონომიური პოტენციალის ნახევარი განადგურდა. დაბომბვების შედეგად საცხოვრებელი სახლების 40%-ზე მეტი დაინგრა. ომმა 10 მილიონზე მეტი გერმანელის სიცოცხლე შეიწირა. გერმანია გამარჯვებულმა ქვეყნებმა (სსრკ, აშშ, ინგლისი და საფრანგეთი) ოთხ საოკუპაციო ზონად დაყვეს. ამის შედეგად ქვეყანაში ერთიანი ეკონომიკური კავშირები დაირღვა. მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად ართულებდა პოლონეთიდან, ჩეხეთიდან და სსრ კავშირიდან ემიგრირებული 12 მილიონი გერმანელის დასახლება და მათთვის ცხოვრების პირობების შექმნა. ამასთან, მალე გაირკვა, რომ გერმანიის ერთიანობა და განვითარება სსრკ-სა და დასავლეთის მოკავშირეებს სხვადასხვაგვარად ესმოდათ. მზარდი კონფრონტაციის პირობებში გერმანიის ერთიანობის შენარჩუნება შეუძლებელი გახდა. 1949 წლის 23 მაისს დასავლეთის სახელმწიფოთა სა-

ოკუპაციო ზონების გაერთიანების საფუძველზე შეიქმნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა (გფრ), ხოლო ამავე წლის 7 ოქტომბერს სსრ კავშირის ზონაში შეიქმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა (გდრ).

ომისშემდგომ წლებში გერმანიის აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილების ეკონომიური განვითარება სხვადასხვა გზით წარიმართა. საბჭოთა ზონაში სამრეწველო საწარმოთა დიდი ნაწილი დემონტირებულ და გატანილ იქნა სსრკ-ში, მათ შორის კენისბერგის საავტომობილო ქარხანა-ქუთაისში. სსრკ-მა აღმოსავლეთი გერმანიიდან 30 მილიარდი დოლარის ღირებულების რეპარაცია მიიღო, ხოლო დასავლეთ გერმანიიდან ჩამორთმეული სამრეწველო მოწყობილობათა 1\4. საბჭოთა საოკუპაციო ზონაში ჩატარდა აგრარული რეფორმა. ჰიტლერელთა თანამზრახველებს მიწები ჩამოართვეს და გლეხებს დაურიგეს. რეფორმის დევიზი იყო „იუნკერების მიწა გლეხებს". მიწის რეფორმას სოფლის მეურნეობის სოციალისტურად მოწყობა მოჰყვა. სამრეწველო საწარმოთა დიდი ნაწილი სახელმწიფო საკუთრება გახდა. ამით გარკვეული წინაპირობები შეიქმნა საბჭოთა ზონის სოციალისტური გზით განვითარებისათვის.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ომის შედეგად აღმოსავლეთით გერმანია უფრო დაზარალდა. ამასთან, გდრ ტერიტორიის ინდუსტრიული განვითარების დონე დასავლეთ გერმანიასთან შედარებით უფრო დაბალი იყო. ხოლო აღმოსავლეთ გერმანიასა და დასავლეთ გერმანიას შორის ეკონომიკური კავშირების გაწყვეტამ გდრ-ის მეურნეობაში დისპროპორცია წარმოშვა. გდრ მოწყვეტილი აღმოჩნდა სათბობისა და ნედლეულის ბაზებს. მიუხედავად ამისა გდრ-ში მოკლე დროში შეიქმნა და განვითარდა მრეწველობის ახალი დარ-

გები. მალე გდრ სოციალისტურ ქვეყნებში მაღალ განვითარებული ქვეყანა გახდა.

სულ სხვანაირად წარიმართა ეკონომიკური განვითარება დასავლეთის ზონებში. დასავლეთის მოკავშირებმა ომის დამთავრების პირველივე წლებიდან მათი საოკუპაციო ზონები ერთიან ეკონომიკურ სივრცედ გადააქციეს და დაიწყეს მისი საბაზრო ეკონომიკის გზით განვითარება. ამ მიზნით 1948 წლის ივნისში ჩაატარეს ფულადი რეფორმა. ათი ძველი "რაიხის მარკა" ერთი ახალი "დოიჩე მარკით" შეიცვალა. დასავლეთ გერმანიის თვითეულმა მოქალაქემ 40 "დოიჩე მარკის" სასტარტო კაპიტალი მიიღო. ამასთან, ძველი ფულის ახალი ფულით გადაცვლა შეიზღუდა, რამაც გააჯანსაღა ფინანსური სისტემა. ფულის რეფორმამ ხელი შეუწყო წარმოების განვითერებას.

1950 წლიდან იწყება გფრ ეკონომიკური აღმავლობა, რასაც ხელი შეუწყო აშშ ფინანსურმა დახმარებებმა და კ. ადენაუერის მთავრობის სწორმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ. სწორედ ეკონომიკის მინისტრის ლუდვიგ ერჰარდის რეფორმები და ეკონომიკის ლიბერალიზაცია გახდა გერმანიის "ეკონომიკური სასწაულის" გასაღები. ჰიტლერის დროინდელი ეკონომიკური სისტემა სოციალური საბაზრო მეურნეობით შეიცვალა, რომელსაც საფუძვლად დაედო თავისუფალი საბაზრო მეურნეობა პლუს სახელმწიფო ფართო დამცავი სოციალური პოლიტიკა. "კეთილდღეობა ყველასათვის" ასეთი იყო ადენაუერის კაბინეტის დევიზი. ეკონომიკის რეგულირებისათვის ბუნდესტაგმა მიიღო უამრავი კანონი. 1950-1960 წ.წ. მთლიანი შიდა ეროვნული პროდუქტი 1,7- ჯერ გაიზარდა, ხოლო უმუშევრობა მინიმუმამდე შემცირდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსახლეობის შემოსავლები. ეკონომიკის ზრდის საფუძველი გახდა მრეწველობის უახლესი

დარგები: მანქანათმშენებლობა, საავტომობილო მრეწ-ველობა, ელექტროტექნიკური და ქიმიური მრეწველობა. მაგრამ მალე 12-15 წლის შემდეგ ერჰარდის რეფორმებით შექმნილმა პირობებმა მოითხოვეს შემდგომი მოდიფიკაცია, რადგან 1966 წელს გერმანია ომისშემდგომი პერიოდის პირველი ეკონომიკური კრიზისის წინაშე აღმოჩნდა. თუმცა, ეს კრიზისი არ იყო ღრმა და ხანგრძლივი. 1968 წლიდან კვლავ იწყება ეკონომიკური აღმავლობა. მაგრამ ეკონომიკურ ზრდას თან ახლდა ფასების ზრდა, ინფლაცია და ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტი. 1972 წ. დაიდო ხელშეკრულება ორ გერმანულ სახელმწიფოს შორის და დაიწყო გდრ ინტეგრაცია გფრ-თან, რომელსაც შემდეგ, 1990 წელს მოჰყვა გერმანიის გაერთიანება. ქვეყნის გაერთიანების შემდეგ დაიწყო აღმოსავლეთ გერმანიის საწარმოო აპარატის, ინფრასტრუქტურის, მეურნეობის ფორმების ძირეული გარდაქმნა. მისი საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანა. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკის ზრდა ახალ მიწებში მნიშვნელოვნად დაჩქარდა. მაგრამ შრომის ნაყოფიერებისა და ხელფასის დონე ახალ მიწებში ჯერ კიდევ ჩამორჩება გფრ ძველ მიწებს.

	1900წ.	1913წ.	1938წ.	1948წ.	1960წ.	1980წ.	1990წ.	2000წ.
მშპ მლრდ დოლარი	215	310	530	430	700	1455	1815	2160
ზრდა 1900=1	1.0	1.4	2.5	2.0	3.3	6.8	8.4	10.0

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის ეკონომიკური განვითარება მეორე მსოფლიო ომისშემდგომ წლებში უფრო ჩქარი ტემპით წარიმართა, ვიდრე XX საუკუნის პირველ ნახევარში. ასე მაგალითად, მშპ

1900-1950 წ.წ. 2-ჯერ, ხოლო 1951-2000 წ.წ. 5-ჯერ გაიზარდა. განსაკუთრებით სწრაფი ტემპებით განვითარდა მრეწველობა და მომსახურების დარგები. საწარმოების ზრდას ხელი შეუწყო ინტეგრაციული პროცესების განვითარებამ და „საერთო ბაზრის" შექმნამ.

გერმანიის ეკონომიკური განვითარების უმთავრესი მაჩვენებელია მთლიანი შიდა ეროვნული პროდუქტის წარმოების ზრდა, რომელიც XX საუკუნეში შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება:

2000 წელს წარმოებულ იქნა 2160 მილიარდი დოლარის მთლიანი შიდა ეროვნული პროდუქტი. მშპ წარმოების მიხედვით გერმანია მსოფლიოში მესამე ადგილზე აღმოჩნდა. ამჟამად გერმანიაზე მოდის მსოფლიოში წარმოებული მთლიანი პროდუქტის დაახლოებით 5%. აღსანიშნავია, რომ გერმანიის გაერთიანების შემდეგ მშპ წლიური ზრდის ტემპი რამდენადმე შემცირდა და შეადგინა 1,8 % ნაცვლად 1981-1900 წ.წ. 2,3 %. მაგრამ ბოლო წლებში მშპ წლიური ზრდის ტემპმა მოიმატა და ამჟამად შეადგენს დაახლოებით 2,2,%.

გერმანიის ეკონომიკის ზრდას ძირითადად განაპირობებს აქაური საქონლის მაღალი კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე და ექსპორტის მაღალი ხვედრითი წონა მშპ- ში (30%). ეკონომიკის ზრდას ხელი შეუწყო აგრეთვე მეწარმეობაზე გადასახადების შემცირების პოლიტიკამ, რასაც შრიოდერის მთავრობა ატარებს. მაგრამ ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტი დღემდე აღმოფხვრილი არ არის.

XX საუკუნის მეორე ნახევარი გერმანიაში მოსახლეობის ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებით აღინიშნა. მართალია, ინდუსტრიალიზაციამ და გლობალიზაციამ ადამიანებს კომფორტი მისცა, მაგრამ საზოგადოების დეჰუმანიზაცია გამოიწვია. დაითრგუნა ინდივიდუალობა. საწარმოების სტანდარტი-

ზაციას ყოფის გაერთგვაროვნება მოჰყვა, რასაც გერმანიაში ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. გერმანიაში ფართო გავრცელება ჰპოვა მოძრაობამ „მარადიული მშვიდობის", „საყოველთაო თანასწორობისა და საყოველთაო კეთილდღეობის" დამყარებისათვის. თუმცა, ისინი ჯერჯერობით, უფრო მეტად მოწოდებად დარჩა. ჯერჯერობით საზოგადოების ყველა ფენა სოციალურად დაცული არაა, ხოლო სიღარიბე დაძლეული არ არის, კეთილდღეობა კი – საყოველთაო არ გამხდარა.

XX საუკუნეში მოვლენები გერმანიის სასარგებლოდ არ განვითარებულა. XX საუკუნეში გერმანიამ განიცადა ორი უდიდესი სამხედრო-პოლიტიკური კრახი და ეკონომიკის ნგრევა, ნაცისტური რეჟიმი, ოკუპაცია, ქვეყნის ორ სახელმწიფოდ დაყოფა და ტერიტორიის დიდი ნაწილის დაკარგვა. მაგრამ XX საუკუნე გერმანიისათვის მაინც კარგად დამთავრდა. მოხდა ორი გერმანული სახელმწიფოს გაერთიანება. გერმანია კვლავ მსოფლიოს უდიდესი და წამყვანი ქვეყანა გახდა.

2. ეკონომიკის ზოგადი დახასიათება

გერმანია მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა. მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) წარმოების ოდენობისა და სამრეწველო პროდუქციის მოცულობის მიხედვით იგი მსოფლიოში მესამე ადგილზე იმყოფება. ამ მხრივ იგი ჩამორჩება მხოლოდ აშშ-სა და იაპონიას. მაგრამ გერმანიის პოზიციები მსოფლიო ბაზარზე მეტად მაღალია. საქონლის ექსპორტის ოდენობის მიხედვით გერმანია მსოფლიოში მეორე ადგილზეა (ჩამორჩება ხოლოდ აშშ-ს). აღსანიშნავია, რომ მას საზღვარგა-

რეთ დაახლოებით 30% მეტი პროდუქცია გააქვს, ვიდრე-იაპონიას. გერმანია ასევე ცნობილია მომსახურების ექსპორტითაც. იგი შედის მსოფლიოს წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნების („შვიდეული"+ რუსეთი, "დიდ რვიანი") ჯგუფში, რომლებიც თავიანთ ყოველწლიურ შეხვედრებში სხვა საკითხებთან ერთად განსაზღვრავენ მსოფლიოს ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს.

უკანასკნელ პერიოდში გერმანიის ეკონომიკამ მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები განიცადა. მომსახურების დარგების უფრო სწრაფი ზრდის შედეგად მათი ხვედრითი წონა მშპ-ის წარმოებაში მნიშვნელოვნად ამაღლდა, ხოლო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ხვედრითი წონა შემცირდა. 2000 წელს მომსახურების დარგებში იწარმოებოდა მთლიანი შიდა პროდუქტის 65%, მრეწველობაში -34%, ხოლო სოფლის მეურნეობაში -1%. მიუხედავად ამისა გერმანიის ეკონომიკის საფუძვლად მაინც მრეწველობა რჩება, რომელიც არის ეკონომიკის სხვა დარგების განვითარებისა და ქვეყნის ძლიერების საფუძველი.

წარმოებისა და განსაკუთრებით მრეწველობის განვითარებას თან ახლდა მისი კონცენტრაცია და მონოპოლიზაცია. ამჟამად გერმანიის ეკონომიკა მთლიანად მონოპოლიზებულია. სამრეწველო წარმოებისა და საგარეო ვაჭრობის 50%-ზე მეტი თავმოყრილია უმსხვილესი ტრანსნაციონალური და ნაციონალური კორპორაციების ხელში. მსოფლიოში ცნობილია უმსხვილესი გერმანული კორპორაციები და ფირმები: "დაიმლერ-ბენცი" (შტუტგარტი, ავტო და ავიამრეწველობა). „სიმენსი" (მიუხენი, ელექტრონიკა), "ფოლკსვაგენი". (ვოლფსბურგი – საავტომობილო ფირმა), „ფება" (დიუსელდორფი – ენერგეტიკა, ქიმიური მრეწველობა), „ხეხსტ" (ფრანქფურტი-ქიმიური და ფარმაკო-

ლოგიური მრეწველობა) ბმვ (მიუნხენი-საავტომობილო ფირმა) „ტისენი" (დიუსბურგი –ფოლადი, ჩარხები) „ბოში" (შტუტგარტი- ელექტრონიკა). უმსხვილესი ბანკები: „დოიჩე ბანკი", „დრეზდენ-ბანკი" და „კომერც-ბანკი", სადაზღვევო კომპანია „ალიანცი", მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მსხვილ კომპანიებში უცხოური კაპიტალის გავლენა დიდია. კომპანიების უმრავლესობა მრავალდარგიანია.

აღსანიშნავია, რომ გერმანიის ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციის დონე მეტად მაღალია. ამაზე მიგვითითებენ გერმანიის ტერიტორიაზე დიდძალი უცხოური კაპიტალდაბანდებები და ასევე გერმანიიდან საზღვარგარეთ კაპიტალის დიდი რაოდენობით გატანა. გერმანიიდან საზღვარგარეთ ინვესტიციების სახით გაედინება მთლიანი შიდა პროდუქტის 1%-ზე მეტი, რაც საკმაოდ მაღალია. საზღვარგარეთული ინვესტიციები ძირითადად ხმარდება ნავთობის მრეწველობას, ნედლეულის მოპოვებასა და ნაწილობრივ გადამამუშავებელ მრეწველობასაც.

გერმანიის ეკონომიკის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს აგრეთვე მისი დამოკიდებულება საგარეო კავშირებზე. მრეწველობა ძირითადად მუშაობს ექსპორტზე. ქვეყანაში წარმოებული სამრეწველო პროდუქციის ნახევარზე მეტი გადის საზღვარგარეთ. ასევე საზღვარგარეთიდან მას დიდი რაოდენობით შემოაქვს ნედლეული, ნავთობი, სხვადასხვა მადნეული, სოფლის მეურნეობის პროდუქცია და ა.შ.

გერმანიის ეკონომიკის შემდეგი თავისებურებაა სახელმწიფო სექტორის მაღალი ხვედრითი წონა. სახელმწიფო არის ქვეყნის დიდძალი კაპიტალისა და ფულადი რესურსების მფლობელი. სახელმწიფო სექტორში იწარმოება მთლიანი შიდა პროდუქციის დაახლოებით 14%. სახელმწიფო საწარმოთა ორი ფორ-

მა არსებობს: სახელმწიფო კორპორაციები და შერეული-სახელმწიფო და კერძო კაპიტალის აქციონერული კომპანიები. სახელმწიფო სექტორი ძირითადად კონცენტრირებულია: ენერგეტიკაში, ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობაში, ფერად მეტალურგიაში, ვაჭრობასა და მომსახურების სფეროებში. ამჟამადაც მიმდინარეობს კერძო კომპანიათა აქციების სახელმწიფო შესყიდვები და პირიქით.

აღსანიშნავია, რომ გერმანია მსოფლიოში გამოირჩევა შედარებით ნაკლები სამხედრო ხარჯებით და ამ ხარჯების მთლიან შიდა პროდუქტში დაბალი ხვედრითი წონით. სამხედრო ხარჯების ხვედრითი წონა მთლიან შიდა პროდუქტში 1,5% შეადგენს, მაშინ როდესაც ანალოგიური მაჩვენებელი დიდ ბრიტანეთში-2,5%, აშშ -3%, საფრანგეთში 2,2%. ეკონომიკის მილიტარიზაციის დაბალი დონე კი დადებითად მოქმედებს სამოქალაქო დარგების განვითარებაზე.

გერმანია მსოფლიოში ცნობილია უახლესი ტექნოლოგიების პროდუქციის წარმოებითა და ექსპორტით. გერმანიაში თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია 10-15 წლით უფრო გვიან დაიწყო, ვიდრე აშშ-ში. ამის გამო გერმანიამ თანამედროვე ეკონომიკის შექმნაში ფართოდ გამოიყენა აშშ-სა და სხვა ქვეყნების გამოცდილება, ამჟამად გერმანიას გააჩნია უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიების თანამედროვე საწარმოები, რომელთა პროდუქცია მსოფლიო ბაზარზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობს.

გერმანიის ეკონომიკის განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულა "საერთო ბაზრისა" და შემდეგ ევროპის კავშირის შექმნამ. გერმანია თავისი ეკონომიკური პოტენციალით მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ევროკავშირზე და ამ გაერთიანებიდან იგი დიდ სარგებლობასაც ღებულობს. საბაჟო ბარიერების მოხ-

სნის შედეგად გერმანული პროდუქცია დასავლეთ ევროპის ბაზარზე უფრო პოპულარული გახდა. გერმანული პროდუქციის მაღალკონკურენტუნარია-ნობა კი არის გერმანიის ეკონომიკის შემდგომი განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორი.

გერმანიის ეკონომიკის ერთ-ერთი თავისებურებაა აგრეთვე ხელოსნური წარმოების განვითარების მაღალი დონე. უკანასკნელი მონაცემებით ხელოსნურ საწარმოებში დასაქმებულია 6 მილიონზე მეტი ადამიანი. ხელოსნური საწარმოები განსაკუთრებით პოპულარულია ახალ მიწებში, სადაც 2000 წლისათვის ითვლებოდა 110 ათასზე მეტი ხელოსნური საწარმო. ხელოსნურ საწარმოების უმრავლესობა კოოპერირებულია მსხვილ საწარმოებთან, რომლებსაც ისინი აწვდიან ცალკეულ მაკომფლექტებელ ნაწილებსა და დეტალებს, რომელთა სერიული წარმოება არ ხდება. გარდა ამისა, ხელოსნური საწარმოები ასრულებენ სარემონტო და ტექნიკური მომსახურების სამუშაოებს. ხოლო მოსახლეობის კვების პროდუქტებით (პურფუნთუშეული, საკონდიტრო ნაწარმი, ხორც-პროდუქტები) მომარაგება ძირითადად ხელოსნური საწარმოებიდან ხდება. საცხოვრებელი სახლების შიდა სამუშაოები უმთავრესად ხელოსნური შრომით სრულდება. ხელოსნურ საწარმოები წარმოადგენენ აგრეთვე სხვადასხვა პროფესიის მუშათა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების დაწესებულებებსაც. სახელმწიფო ყოველმხრივ ხელს უწყობს ხელოსნური წარმოების განვითარებას: უწევს საინფორმაციო-საკომუნიკაციო მომსახურებას, აძლევს შეღავათიან კრედიტს და ა.შ. ხელოსანთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით დაწესებულია პროფესიების მიხედვით გამოცდილების ჩაბარება და ოსტატის წოდების მინიჭება. თავის მხრივ ხელოსნური საწარმოები ქალაქში

ან სასოფლო ოლქში, გაერთიანებული არიან ხელოსანთა ამქრებში, ხოლო მიწების ფარგლებში მოქმედებენ ხელოსნურ ამქართა კავშირები და პალატები.

ხელოსნური საწარმოები და ფირმები მოქმედებენ ეკონომიკის ყველა დარგში: მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობასა და მომსახურების სფეროში. ისინი სპეციალიზებული არიან რომელიმე სახეობის პროდუქციის წარმოების მიხედვით. ხშირად მათ პროდუქციის წარმოება მრავალდარგოვან საწარმოებთან შედარებით უფრო იაფი უჯდებათ. ისინი უფრო მობილურები არიან და საწარმოო პროცესებში ცვლილებების შეტანა არსებული პირობების მიხედვით უფრო სწრაფად შეუძლია.

აღსანიშნავია, რომ გერმანიის აღმავლობის მნიშვნელოვანი წყაროა მოსახლეობის სყიდვითუნარიანობის ზრდა და საშინაო ბაზრის გაფართოება. განსაკუთრებით იზრდება მოსახლეობის დანახარჯები მაღალი ხარისხისა და ხანგრძლივი სარგებლობის საქონელზე, ავტომანქანისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენაზე, საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე, დასვენება-გართობაზე. საშინაო ბაზრის ზრდას იწვევს აგრეთვე დასაქმებულთა რაოდენობის გადიდება. მარტო 1990-2000 წლებში დასაქმებულთა რაოდენობა 37 მილიონიდან 38,5 მილიონამდე გაიზარდა. შემცირდა უმუშევართა რაოდენობაც. სახელმწიფო ინვესტიციებისა და სოციალური ხარჯების ზრდის შედეგად გაიზარდა მთლიანი შიდა პროდუქტის სახელმწიფო მოხმარება, რომელიც ამჟამად მშპ დაახლოებით 20 % შეადგენს.

3. მრეწველობა და მისი დარგები

მრეწველობა გერმანიის ეკონომიკის საფუძველია. ძირითადად მასზეა დამოკიდებული მთელი ეკონომიკის განვითარება, ქვეყნის თავდაცვითუნარიანობის განმტკიცება და მოსახლეობის მატერიალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. მრეწველობაში დასაქმებულია 12 მილიონზე მეტი კაცი და იწარმოება მშპ-ს ერთმესამედზე მეტი. მრეწველობა ეწევა სხვადასხვა სახეობის ნედლეულის მოპოვებასა და გადამუშავებას და შესაბამისად მომპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობად იყოფა. მაგრამ მომპოვებელი მრეწველობის ხვედრითი წონა თანდათანობით მცირდება, ხოლო გადამამუშავებელი მრეწველობის ხვედრითი წონა იზრდება. ამჟამად გადამამუშავებელ მრეწველობაზე მოდის მთელი სამრეწველო პროდუქციის 80%-ზე მეტი.

გერმანიაში მრეწველობა ადგილობრივი ნედლეულთან ერთად საზღვარგარეთიდან შემოტანილი ნედლეულის ბაზაზე ვითარდება. წარმოებული სამრეწველო პროდუქციის უდიდესი ნაწილი კი- ექსპორტში გადის. მისთვის დამახასიათებელია ერთის მხრივ, მრეწველობის თანამედროვე დარგების სწრაფი განვითარება და მეორეს მხრივ, ძველი ტრადიციული დარგების განვითარების ჩამორჩენა. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ელექტრონიკა, საავტომობილო მრეწველობა, ზუსტი მანქანათმშენებლობა, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა. მეორე ჯგუფს მიეკუთვნება: ქვანახშირისა და მურა ნახშირის მოპოვება, მეტალურგია, საფეიქრო მრეწვლობა. უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით დაჩქარდა უახლესი ტექნოლოგიების დარგების განვითარება. ამჟამად ამ დარგებზე მოდის მთელი სამრეწველო პროდუქციის ნახევარზე მეტი.

მრეწველობაში საწარმოო პროცესების კონცენტრაციამ და ცენტრალიზაციამ გამოიწვია მსხვილი მონოპოლისტური გაერთიანებების ჩამოყალიბება. მრეწველობის ზოგიერთ დარგში პროდუქციის წარმოების 90%-ზე მეტი უმსხვილეს კორპორაციებშია თავმოყრილი. ასეთი დარგებია საავტომობილო მრეწველობა, თვითმფრინავმშენებ-ლობა, ელექტროენერგიის წარმოება და გადაცემა, სამხედრო მრეწველობა, ნავთობქიმიური მრეწველობა.

დიდი ცვლილებები ხდება მრეწველობის განლაგების თვალსაზრისითაც. სამრეწველო საწარმოთა ძირითადი ნაწილი თავმოყრილია ინდუსტრიულ ცენტრებში, კონურბაციებში, რომლებიც ეკონომიკურად და კულტურულად მაღალგანვითარებულ რეგიონებს წარმოადგენენ. მაგრამ ამასთან ერთად კიდევ შემორჩა ე,წ. ჩამორჩენილი რეგიონები, სადაც მრეწველობა სუსტადაა განვითარებული. ასევე არის ე.წ. დეპრესირებული რაიონები, სადაც მოხდა შახტების დახურვა და ქვანახშირის მოპოვების შემცირება. ქვანახშირის მოპოვების შემცირების ძირითადი მიზეზი კი გახდა მისი შეცვლა უფრო იაფი ნავთობითა და გაზით. მისი მოპოვების დაქვეითეითებამ კი უმუშევრობის გაზრდა გამოიწვია. მთავრობამ შეიმუშავა ახალი რეგიონალური პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკურად ჩამორჩენილ რაიონებისადმი დახმარების გაწევას, ამ რაიონებში ახალი სამრეწველო საწარმოების მშენებლობას. ინვესტიციების მოზიდვის მიზნით დაწესებულია შეღავათები. კომპანიები, რომლებიც ჩამორჩენილ რაიონებში განლაგებულ საწარმოებს აამუშავებენ, ღებულობენ სხვადასხვა დახმარებას: შეღავათიან არენდას, სახელმწიფო შეკვეთებს ყველაზე ხელსაყრელი პირობებით და ა.შ. დიდ ქალაქებში ახალ საწარმოთა მშენებლობის შეზღუდ-

ვის მიზნით გამკაცრებულია საგადასახადო რეჟიმი, მოხსნილია ყოველგვარი შეღავათები.

	1900წ.	1913წ.	1929წ.	1950წ.	1970წ.	1980წ.	1990წ.	2000წ.
მშპ მლრდ. დოლარი	29.0	51.0	59.0	93.0	420.0	510.0	575.0	625.0
დინამიკა 1900=1	1.0	1.8	2.0	2.3	14.5	17.6	19.8	21.6

გერმანიის სამრეწველო წარმოების განვითარება XX საუკუნეში შემდეგ სურათს იძლევა (შესადარი ფასები)

სამრეწველო წარმოების მოცულობა XX საუკუნეში 21,6 ჯერ გაიზარდა, წარმოების ზრდა ძირითადად ახალი და უახლესი სამრეწველო პროდუქციის ხარჯზე მოხდა. თუმცა, გაიზარდა აგრეთვე ძველი ტრადიციული პროდუქციის: თუჯის, ფოლადის, საფეიქრო ნაწარმის, ფეხსაცმლის წარმოებაც, გარდა ქვანახშირის მოპოვებისა, რომელიც არა თუ გაიზარდა, პირიქით შემცირდა.

გერმანიის მრეწველობის ძირითადი დარგებია: ენერგეტიკა, შავი და ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ქიმიური მრეწველობა, მსუბუქი მრეწველობა, კვების მრეწველობა, ხე - ტყის მრეწველობა, საშენ მასალათა მრეწველობა, პოლიგრაფიული მრეწველობა და სხვა.

ე ნ ე რ გ ე ტ ი კ ა - აერთიანებს სათბობის მომპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობას და ელექტროენერგიის წარმოებასა და მომხმარებელზე მიწოდებას. სათბობის მომპოვებელი დარგები ეწევიან ქვანახშირის, ნავთობის, ბუნებრივი აირის, ტორფის, საწვავის ფოქლების, შეშის და სხვათა მოპოვებას.

ქ ვ ა ნ ა ხ შ ი რ ი ს მოპოვება მრეწველობის უძველესი დარგია. მისი ძირითადი საბადოები თავმოყრილია დასავლეთ გერმანიაში. ყველაზე დიდი საბადოებია: რურის, საარისა და აჰენის. ხოლო მურა ნახშირის მოპოვება წარმოებს აღმოსავლეთ გერმანიაში და სხვაგანაც, მაგდენბურგის, ქვემო ლაზურის, ზემო ბავარიის და სხვა აუზებში. ქვანახშირით და მურა ნახშირით ქვეყნის მოთხოვნილება მთლიანად დაკმაყოფილებულია. ამასთან, ქვანახშირი საზღვარგარეთაც გააქვთ. ქვანახშირის საბადოთა გარშემო შექმნილია სამრეწველო კომპლექსები. მაგრამ დროთა განმავლობაში ნახშირს გამოუჩნდა კონკურენტები: ნავთობი და ბუნებრივი აირი, აგრეთვე ჰიდროენერგია, რომლებიც უფრო იაფია და გამოსაყენებლადაც უფრო ადვილია. ამის გამო ქვანახშირის მოპოვება თანდათანობით შემცირდა. ხოლო მურა ნახშირის მოპოვება, რომელიც უფრო მეტად ღია წესით წარმოებს გაიზარდა. ამის გამო ნახშირი რჩება გერმანიაში ენერგიის ძირითად წყაროდ. იგი გამოიყენება მეტალურგიაში კოქსის სახით, ხოლო ქვანახშირის ნარჩენები და მურა ნახშირი-საწვავად თბოენერგეტიკაში, აგრეთვე ხელოვნური აირის საწარმოებლად.

ნ ა ვ თ ო ბ ი ს მოპოვება რამდენადმე გაიზარდა, მაგრამ ამჟამად მისი მოპოვება 10 მლნ ტონას არ აღემატება, მაშინ როდესაც ქვეყნის მოთხოვნილება ნავთობზე 150 მლნ ტონას აღემატება. ამიტომ გერმანიას ნავთობი ძირითადად საზღვარგარეთიდან შემოაქვს. ნავთობის უდიდესი მომწოდებლები არიან: ლიბია, საუდის არაბეთი, ალჟირი და სხვა ქვეყნები. ნავთობი მომხმარებლებს ძირითადად ნავთობსადენებით მიეწოდება ჩრდილოეთის ზღვისა და ხმელთაშუა ზღვის პორტებიდან, აგრეთვე რუსეთიდან. გერმანიაში მოქმედებაშია მძლავრი ნავთობგადამამუშავებელი ქარ-

ხნები, რომლებიც განლაგებულია პორტებთან და ქვეყნის შიგნით მოხმარების რაიონებში: ჰამბურგში, რურში, ბავარიაში, და სხვაგან. ნავთობგადამამუშავებელი ქარხნებს ძირითადად ამერიკული და ბრიტანული ნავთობკომპანიები აკონტროლებენ.

ა ი რ ი ს – მოპოვება ბოლო წლებში გაიზარდა, ძირითადად ჩრდილო- დასავლეთში და ბავარიაში, აგრეთვე ჩრდილოეთის ზღვაში. მაგრამ გერმანიას საკუთარი ბუნებრივი აირი არ ჰყოფნის და მისი 90% საზღვარგარეთიდან შემოაქვს: ჰოლანდიიდან, ნორვეგიიდან და რუსეთიდან. მძლავრი აირსადენები გაყვანილია ჰოლანდიის ქალაქ გრონინჰენიდან და ჩრდილოეთის ზღვიდან. გარდა ბუნებრივი აირისა გერმანიაში დიდი რაოდენობით მოიხმარება აგრეთვე ხელოვნური აირი, რომელსაც ქვანახშირიდან ღებულობენ. აღსანიშნავია, რომ გერმანიაში აირის მოხმარება განუხრელად იზრდება, რადგან იგი ეკოლოგიურად უფრო სუფთაა და თანაც იაფია.

ე ლ ე ქ ტ რ ო ე ნ ე რ გ ე ტ ი კ ა. – ელექტროენერგიის წარმოებისა და მოხმარების მიხედვით გერმანია ევროპაში პირველ ადგილზე იმყოფება. იგი ელექტროენერგიით მთლიანად უზრუნველყოფილია. ქვეყანაში გამომუშავებული ელექტროენერგის 80%-ზე მეტი თბოელექტროსადგუ-რებში იწარმოება. დანარჩენი ატომურ ელექტროსადგურებსა და ჰიდროელექტროსადგუ-რებში. ელექტროენერგიის საწარმოებლად გამოიყენება აგრეთვე ქარის ენერგია, მზის ენერგია და ა.შ. პირველი ატომური ელექტროსადგური გერმანიაში ამუშავდა 1961 წ. ბავარიაში. მომდევნო წლებში ატომური ელექტროსადგურების მშენებლობა მნიშვნელოვნად დაჩქარდა. ამჟამად მოქმედებაშია 30-მდე ატომური ელექტროსადგური. თბოელექ-ტრო-სადგურებთან შედარებით ატომური ელექტრო-

სადგურიები ელექტროენერგიის უფრო სუფთა წყაროა. მაგრამ ჯერ კიდევ დღის წესრიგში დგას მისი უსაფრთხოების დონის ამაღლების საკითხები. აღსანიშნავია, რომ სპეციალისტების აზრით გერმანული ატომური რეაქტორები უსაფრთხოებისა და საიმედობის უფრო მაღალი დონით გამოირჩევიან, ვიდრე რუსეთისა და სხვა ქვეყნების ატომური რეაქტორები. მიუხედავად ამისა ატომური ელექტროსადგურები იწვევენ ტერიტორიის "თბურ გაჭუჭყიანებას", ასევე დიდ სირთულეს წარმოადგენს რადიაციული ნარჩენების უტილიზაცია და "დამარხვა". ჰიდროელექტროსადგურები შედარებით მცირე სიმძლავრისაა. მათი უმრავლესობა თავმოყრილია სამხრეთ გერმანიაში, უფრო მეტად ბავარიაში. ელექტროსადგურები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზებით. შექმნილია გერმანიის ერთიანი ენერგეტიკული სისტემა, რომელიც შეერთებულია მეზობელი ქვეყნების ენერგოსისტემებთან და წარმოებს ელექტროენერგიის გაცვლა.

შ ა ვ ი მ ე ტ ა ლ უ რ გ ი ა – მრეწველობის უძველესი და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. ლითონის წარმოების მიხედვით გერმანია მსოფლიოში მეორე ადგილზე იმყოფება, ჩამორჩება მხოლოდ აშშ-ს. ფოლადის წლიური წარმოება დაახლოებით 50 მილიონ ტონას აღწევს. მაგრამ აქაური მეტალურგიული ქარხნები ძირითადად საზღვარგარეთიდან შემოტანილ რკინის მადანზე მუშაობენ და უმაღლესი ხარისხის ლეგილირებულ, უჟანგავ ფოლადს აწარმოებენ. უმაღლესი ხარისხის ფოლადისა და ფოლადის ნაწარმთა წარმოება კი - თავმოყრილია უმსხვილესი კომპანიების: "ტისენის", "კრუპის" "ფიეშის" და სხვათა ხელში. შავი მეტალურგიის ქარხნები ძირითადად თავმოყრილია რაინ-ვესტფალის რეგიონში. შავი მეტალურგიის

უდიდესი ცენტრებია: რაიჰაუზენი, დუისბურგი, ობერ-ჰაუზენი, ჰესენი, დორტმუნდი, აგრეთვე საარის რაიონ-ში ფიოლკლიჰენი და ნაინკირჰენი. მეტალურგიული ქარხნები მუშაობენ აგრეთვე ბავარიაშიც.

ფ ე რ ა დ ი მ ე ტ ა ლ უ რ გ ი ა ძირითადად მუშაობს შემოტანილ ნედლეულზე და მისი ქარხნები ძირითადად თავმოყრილია პორტებთან ახლოს, ხოლო ადგილობრივ ნედლეულზე მომუშავე ქარხნები საშუ-ალო და მცირე სიდიდისა არიან, მოქმედებენ შიდა რეგიონებში: რურში, ჰარცში, რაინისპირეთში.

ბოლო წლებში განსაკუთრებით გაიზარდა ალუმი-ნის წარმოება, რადგან მოთხოვნილება ალუმინზე, სა-ავიაციო, საავტომობილო და ელექტროტექნიკური მრეწ-ველობის განვითარების შედეგად განუხრელად იზ-რდება. ალუმინის წარმოებისათვის საჭირო ნედლეუ-ლი (ბოქსიტები) კი -შემოაქვთ საბერძნეთიდან, იუ-გოსლავიიდან და აფრიკიდან. ხოლო ალუმინის ქარ-ხნები განლაგებულია იაფი ელექტროენერგიის წყა-როებთან ახლოს: ბავარიაში და ბადენ-ვიუტემბერგში, აგრეთვე იაფი მურა ნახშირზე მომუშავე თბოელექ-ტროსადგურებთან ახლოს.

მ ა ნ ქ ა ნ ა თ მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა – გერმანიის მრეწველობის ყველაზე დიდი და წამყვანი დარგია. ამ დარგში დასაქმებულია 7 მლნ-ზე მეტი მუშა - მოსამსახურე. ქვეყანაში განვითარებულია მანქანათ-მშენებლობის ყველა დარგი. მაგრამ მათ შორის ყვე-ლაზე დიდია სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა, რომელიც უშვებს სხვადასხვა სახის ავტომანქანებს, საჰაერო და საზღვაო ლაინერებს, თბომავლებსა და ელმავლებს, რკინიგზის ვაგონებს და გადაადგილე-ბის სხვა საშუალებებს.

ა ვ ტ ო მ ა ნ ქ ა ნ ე ბ ი ს წარმოება გერმანიის მრეწველობის უძველესი დარგია. პირველი ავტომან-

ქანა გერმანიაში გამოშვებულ იქნა 1886 წელს ფირმა "დაიმლერ-ბენცის" მიერ. ამჟამად ავტომანქანების წარმოების ოდენობის მიხედვით გერმანია მსოფლიოში მესამე ადგილზე იმყოფება (აშშ-სა და იაპონიას შემდეგ). ქვეყანაში ყოველწლიურად იწარმოება 5 მილიონზე მეტი ავტომანქანა. ავტომანქანების წარმოება მთლიანად თავმოყრილია უმსხვილესი კორპორაციების ხელში. მათ შორის ყველაზე მსხვილია "ფოლკსვაგენი". მეორე მსოფლიოს ომისშემდგომ წლებში ამ კორპორაციამ დაიწყო ე.წ. "ხოჭოს" გამოშვება, რომელიც თავისი მაჩვენებლებით ყველაზე კონკურენტუნარიანი აღმოჩნდა. ეს კონცერნი უშვებს ყოველწლიურად 2 მილიონამდე სხვადასხვა ტიპის ავტომანქანებს. "ფოლკსვაგენის" სათავო ქარხანა განლაგებულია ქ. ვოლფსბურგში, ხოლო მისი ფილიალები ჰანოვერში, ბრაუნშვიგში და კასელში. საზღვარგარეთ ექსპორტისათვის კი სპეციალურად აშენებულ იქნა საამწყობო ქარხანა ემდენში. კორპორაცია "დაიმლერ-ბენცი" შეიქმნა ორი ფირმის "დაიმლერისა" და "ბენცის" გაერთიანების საფუძველზე. იგი უშვებს მსოფლიოში ერთ-ერთი ძვირადღირებული "მერსედესის" მარკის ავტომანქანებს. ამ კორპორაციის სათავო ქარხანა მდებარეობას ქ. შტუტგარტში, ხოლო მისი ფილიალები, როლებიც ძირითადად უშვებენ სატვირთო ავტომანქანებსა და ავტობუსებს განლაგებულია შტუტგარტის გარეუბნებში.

საავტომობილო მრეწველობის ამ ორი გიგანტის გარდა გერმანიაში ავტომობილებს აწარმოებენ ამერიკულ-გერმანული კონცერნები, რომელიც ეკუთვნის " ფორდსა" და " ჯენერალ მოტორს". ფირმა "ფორდმა" ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე ქ. კელნში აამუშავა ავტოქარხანა და დაიწყო ფორდის მარკის ავტომანქანების წარმოება. ხოლო "ჯენერალ მოტორ-

სმა" ომისშემდგომ წლებში ააშენა ორი ქარხანა. ერთი ქ. ფრანკფურტის გარეუბანში, ხოლო მორე - ბოჰუმში. ეს ქარხნები უშვებენ "'ოპელის" სხვადასხვა მარკის ავტომანქანებს. დღეისათვის შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის საშინაო ბაზარი, აგრეთვე ევროკავშირის ბაზარი ავტომანქანებით მთლიანად გაჯერებულია და საავტომობილო კორპორაციებს შორის კონკურენციული ბრძოლა წარმოებს. ჯანსაღი კონკურენცია კი ხელს უწყობს ავტომანქანების შემდგომ სრულყოფასა და გაიაფებას. რაც შეეხება ყოფილი გდრ-ის საავტომობილო ქარხანას, იგი როგორც მოძველებული ქარხანა გაჩერდა. მაგრამ ამჟამად აღმოსავლეთ გერმანიაში (საქსონიასა და თიურინგიაში) აშენდა ახალი საავტომობილო ქარხნები, რომლებიც მალე წელიწადში 350 ათას ავტომანქანას გამოუშვებენ.

გ ე მ თ მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა – მრეწველობის უძველესი დარგია. ამჟამად გერმანია საზღვაო და სამდინარო გემების წარმოების მიხედვით მსოფლიოში მესამე ადგილზე იმყოფება. აქაური გემთმშენებლობის ქარხნები აწარმოებენ მძლავრ ტანკერებსა და კონტეინერმზიდავებს, სამგზავრო ლაინერებსა და თევზსაჭერ გემებს, ასევე სამხედრო დანიშნულების გემებს. ე.წ. რაინის გემები მსოფლიოში საუკეთესოა შიდა საწყლო გზებისათვის. გემთმშენებლობის ცენტრებია: ჰამბურგი, ბრემენი, ვილგელმსჰაფენი, კილი. ხოლო უმსხვილესი კომპანიებია: "ბლომი და ფოსი", "დოიჩე ვერფტ", "ჰოვალდტი", "ვულკანი".

თ ვ ი თ მ ფ რ ი ნ ა ვ თ მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა - მანქანათმშემებლობის ერთ-ერთი სწრაფად განვითარებადი დარგია. ბოლო წლებში გერმანიამ საავიაციო და სარაკეტო მრეწველობის განვითარებაში მნიშვნელოვან წარმატებეს მიაღწია, რასაც ხელი შეუწყო

სამეცნიერო- კვლევითი მუშაობის გაძლიერებამ. ბავარიაში და სხვაგანაც შექმნილია სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები და გამოსაცდელი ბაზები. ამ სამუშაოებს სათავეში უდგანან ცნობილი კონცერნი „მესერშმიტი-ბელკოვ-ბლომი" და ფირმა—"დიონისე". საავიაციო მრეწველობის უდიდესი ცენტრებია: ნიუნბერგი, ჰამბურგი, ფრანკფურტი და მათი გარეუბნები. ქვეყანაში იწარმოება 20-ზე მეტი ტიპის სამოქალაქო და სამხედრო თვითმფრინავი, აგრეთვე რაკეტები და ჭურვები. გერმანია ასევე სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობს „აერობუსის" ტიპის თვითმფრინავისა და რაკეტა-მატარებლის „არიანას" წარმოებაში.

სწრაფად ვითარდება ელექტროტექნიკური მრეწველობა და ელექტრონიკა. ამ დარგის ცნობილი კომპანიები და ფირმებია: "სიმენსი", "ფება", "ბოში", "გრუნდიგი", "აერ-ტელეფუნკენი". ელექტრო ტექნიკური მრეწველობის ტრადიციული რაიონებია სამხრეთ-დასავლეთი და სამხრეთი, სადაც თავმოყრილია ამ დარგის ცნობილი კომპანიების სათავო ქარხანები, ოფისები და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები. მსოფლიოში ცნობილია გერმანული წარმოების ელექტროძრავები, გენერატორები, ტურბინები, ტრანსფორმატორები, ატომური რეაქტორები. აღსანიშნავია, რომ გერმანული ატომური რეაქტორები გამოირჩევიან საიმედობისა და უსაფრთხოების მაღალი დონით. ხელისუფლება ხელს უწყობს ამ დარგების განვითარებას. ექსპორტის მოცულობის მიხედვითაც ელექტროტექნიკა ერთ-ერთი წამყვანი დარგია.

ქიმიური მრეწველობა — გერმანიის მრეწველობის ერთ-ერთი უდიდესი და მაღალგანვითარებული დარგია. ამ დარგს სათავეში უდგანან მსოფლიოში უდიდესი ქიმიური გიგანტები: „ბაიერი", „ბას-

ფი", და „ჰეპსტი". მაგრამ ამ დარგში ძალიან ბევრია საშუალო და წვრილი სპეციალიზებული ფირმებიც. ქიმიური მრეწველობა უშვებს: სხვადასხვა სახის სინთეთიკურ მასალებს, პლასმასებს, სასუქებს, ჰერბიციდებს, სინთეზურ კაუჩუკს, ქიმიურ ბოჭკოს, საღებავებს, სარეცხ საშუალებებს, პარფიუმერიას, ფარმაცევტულ პრეპარატებს, სხვადასხვა ქიმიკატებს და ა.შ. ქიმიური ქარხნები მუშაობენ ადგილობრივ და შემოტანილ ნედლეულზე. ამჟამად მათი ძირითადი ნედლეულია ნავთობი და ბუნებრივი აირი, რომლებსაც ისინი ნავთობსადენებითა და გაზსადენებით ღებულობენ. ქიმიური მრეწველობის ძირითადი ცენტრებია: რური, კელნი, ლუდვიგჰაფენი, ჰესტი, ჰამბურგი, ჰანოვერი, კასელი, აგრეთვე ბავარიის ქალაქები.

ს ა ფ ე ი ქ რ ო მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა —გერმანიის მრეწველობის ძველი, ტრადიციული დარგია. ადრე ეს დარგი ძირითადად ადგილობრივი მატყლის ბაზაზე ვითარდებოდა. ამჟამად კი — ბამბა და მატყლი ძირითადად საზღვარგარეთიდან შემოაქვთ. თუმცა, ქსოვილების წარმოებაში იზრდება ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოს გამოყენება, რომლებსაც ადგილობრივი ქიმიური ქარხნები აწარმოებენ. ამჟამად ქსოვილების წარმოება დიდ ტექნიკური და ტექნოლოგიურ ცვლილებებს განიცდის. მიმდინარეობს ამ დარგის მოდერნიზაცია და ინტენსიფიკაცია.

ქვეყნის დიდ ქალაქებში თავმოყრილია ს ა მ კ ე რ ვ ა ლ ო მრეწველობა, რომელიც უშვებს უამრავი სახეობისა და ასორტიმენტის შეკერილ ნაწარმს, რომელზედაც დიდი მოთხოვნილებაა. დიდი ყურადღება ეძცევა აგრეთვე ადგილობრივი, ტრადიციული ტანსაცმლის შეკერვასაც.

ტ ყ ა ვ — ფ ე ხ ს ა ც მ ლ ი ს წარმოება —მსუბუქი მრეწველობის მნიშვნელოვანი დარგია. ფეხ-

საცმელზე და ტყავის სხვა ნაწარმზე მოთხოვნილება განუხრელად იზრდება. ვითარდება ხელოვნური ტყავის წარმოებაც. მაგრამ გერმანიაში ამ დარგის განვითარებას მნიშვნელოვნად ზღუდავს უფრო იაფი და მოდური იტალიური ფეხსაცმლის იმპორტი. ტყავ-ფეხსაცმლის უდიდესი ფაბრიკები მუშაობენ ქალაქებში: ოფენბახში, ჰანოვერში, შტუდგარტში და სხვაგან.

კ ვ ე ბ ი ს მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა - გერმანიის მრეწველობის ერთ-ერთი მაღალგანვითარებული და მრავალდარგოვანი წარმოებაა. მარცვლეულის რაიონებში და პორტებთან ახლოს მუშაობენ საფქვავი კომბინატები. ხოლო შაქრის წარმოება უფრო მეტად სწარმოებს ქვემო საქსონიაში, ჩრდილოეთ რაინ-ვესთფალიაში, ბავარიაში. გერმანია საფრანგეთთან ერთად ევროპაში შაქრის უდიდესი მწარმოებელია. ქვეყნის ტრადიციული დარგია-ლუდის წარმოება. გერმანიაში იწარმოება ოთხასამდე დასახელების ლუდი. ლუდის ქარხნები კი განლაგებულია თითქმის ყველა ქალაქში. ხოლო ლუდის მოხმარების მიხედვით გერმანია მსოფლიოში პირველ ადგილზეა. აქ საშუალოდ წელიწადში მოსახლეობის ერთ სულზე 150 ლიტრი ლუდი მოიხმარება. გერმანელებისათვის ლუდის დარბაზები- შეხვედრებისა და საუბრების საყვარელი ადგილია. მსოფლიოში ცნობილია აგრეთვე რაინისა და მოზელის ყურძნის ღვინოები. მოზელის ველს - "ღვინის გზას" უწოდებენ. კვების მრეწველობის სხვა დარგებიდან აღსანიშნავია საკონსერვო მრეწველობა, მაკარონის წარმოება, მინერალური წყლების ჩამოსხმა და სხვა. მთლიანად გერმანია მსოფლიოში ცნობილია მაღალხარისხიანი კვების პროდუქტების წარმოებით.

პოლიგრაფიული მრეწველობის ზრდასთან დაკავშირებით მოთხოვნილება ქაღალდზე სულ უფრო და

უფრო იზრდება. ამიტომ ქვეყანაში ქ ა ღ ა ლ -დ ი ს ა და ც ე ლ უ ლ ო ზ ი ს წარმოებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. მაგრამ მოთხოვნილება ქაღალდზე იმდენად დიდია, რომ მისი იმპორტიც ხდება.

პ ო ლ ი გ რ ა ფ ი უ ლ ი მ რ ე წ ვ ე ლ ობ ა - უძველესი, ტრადიციული დარგია. როგორც ცნობილია, წიგნების ბეჭდვა პირველად გერმანიაში დაიწყო. გერმანელმა ინჟინერმა და გამომგონებელმა იოჰან გუტენბერგმა პირველად მსოფლიოში გამოიგონა და დაამზადა საბეჭდი და შრიფტის ჩამოსასხმელი დაზგა, შეიმუშავა შრიფტისათვის საჭირო ლითონის შედგენილობა და საბეჭდი საღებავების რეცეპტურა. 1445 წელს მან პირველი წიგნი დაბეჭდა. მისი პირველი ნაბეჭდი პროდუქცია იყო "ფრაგმენტი განკითხვის დღისა".

ამჟამად კი გერმანია მსოფლიოში ცნობილია თავისი დღევანდელი პოლიგრაფიული მრეწველობით, წიგნისა და ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვის მაღალი კულტურით. პოლიგრაფიული მრეწველობის უდიდესი ცენტრებია: ფრანკფურტი, ჰამბურგი, მიუნხენი, შტუტგარტი, კელნი.

გერმანიაში დიდი ყურადღება ექცევა ს ა შ ე ნ ი მ ა ს ა ლ ე ბ ი ს წარმოების განვითარებას. ეს დარგი ძირითადად ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე ვითარდება. საშენ მასალებზე კი მოთხოვნილება განუხრელად იზრდება. საშენი მასალებიდან აღსანიშნავია ცემენტის, კირის, აგურის, სამშენებლო ბლოკების, ქვა-ღორღისა და მოსაპირკეთებელი მასალების წარმოება. ასევე დიდი ყურადღება ექცევა მინისა და დეკორაციული შუშის, ფაიფურისა და ფაიანსის წარმოებას. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით განვითარებულია ჩრდილო-აღმოსავლეთ ბავარიაში, სადაც მოიპოვება ფაიფურისათვის საჭირო უმაღლესი ხა-

რისხის ნედლეული-კაოლინი. აქვე აწარმოებენ აგრეთვე შუშისა და ფაიანსის მხატვრულ ნაკეთობებსაც.

გერმანიაში მოქმედი ყველა მსხვილი და საშუალო საწარმო კანონის საფუძველზე გაერთიანებულია სამრეწველო-სავაჭრო პალატაში. პალატები კი იცავენ მასში გაერთიანებული საწარმოების ინტერესებს მმართველობის ადგილობრივი, სამხარეო და ფედერალურ ორგანოებში, აგრეთვე ევროპულ კომისიაში ქ. ბრიუსელში. ამავე დროს ისინი ასრულებენ საკონსულტაციო და საინფორმაციო ფუნქციებსაც.

4. სოფლის მეურნეობა და მისი დარგები

სოფლის მეურნეობა გერმანიის ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი დარგია, რომელიც ქვეყანას კვების პროდუქტებითა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით ამარაგებს. უკანასკნელ პერიოდში გერმანიის სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა. განხორციელდა საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, ელექტროფიკაცია და ქიმიზაცია. გაიზარდა სასოფლო- სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა და ცხოველთა პროდუქტიულობა. მიუხედავად ამისა, ქვეყანა საკუთარი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით მაინც უზრუნველყოფილი არაა. ადგილობრივი წარმოება მთლიანად მხოლოდ ზოგიერთ პროდუქტებზე უზრუნველყოფს მოთხოვნილებებს (ქერზე, შვრიაზე, კარტოფილზე, ბოსტნეულზე, ღორისა და ფრინველის ხორცზე და რძეზე) ხოლო სხვა პროდუქტებზე მოთხოვნილებათა გარკვეული ნაწილი იმპორტით იფარება. ასეთებია: შაქარი, ხორბალი, საქონლისა და ხბოს ხორცი, ხილი და სხვა.

გერმანიის მთელი ტერიტორიის დაახლოებით ნახევარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მოდის, სულ 36 მილიონამდე ჰა მიწა. აქედან ნახევარზე მეტი საძოვრებს უკავია, უფრო მეტად მთიანი რაიონების მიწები, ხოლო დაბლობები ძირითადად ნათესი კულტურებითა და მრავალწლიანი ნარგავებითაა დაკავებული. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რაოდენობა, როგორც გლეხურ მეურნეობის, ისე ფერმების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა. ფერმერთა ერთი ნაწილი უფრო შემოსავლიან დარგებში (მრეწველობა, მომსახურების დარგები) გადავიდნენ. ამასთან, სასოფლო-სამეურნეო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის შედეგად მოთხოვნილება მუშახელზე მცირდება. მაგრამ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა და მომუშავეთა რაოდენობის შემცირებას წინ უძღვოდა შრომის ნაყოფიერების ზრდა. სპეციალისტების გაანგარიშებით თუ 1950 წ. სოფლის მეურნეობის ერთ მუშაკს 10 კაცის გამოკვება შეეძლო 2000 წლისათვის შესაბამისმა მაჩვენებელმა 100 კაცს გადააჭარბა. მიუხედავად ამისა, სოფლის მეურნეობის მუშაკთა შემოსავლების ზრდა ჩამორჩება სხვა დარგების მუშაკთა შემოსავლების ზრდას.

გერმანიაში, განსაკუთრებით ძველ მიწებში გავრცელებულია ოჯახური ფერმები, რომლებიც 10-15-მდე ჰექტარ მიწას ამუშავებენ. ამასთან ფერმერები გარდა სოფლის მეურნეობის სამუშაოებისა სხვა საქმიანობასაც ეწევიან და აქედან დამატებით შემოსავალს ღებულობენ. მსხვილი ფერმები, რომლებიც დაქირავებულ მუშებს იყენებენ, ძირითადად სპეციალიზებული არიან რომელიმე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მიხედვით და თვითონვე ეწევიან პროდუქციის პირველად გადამუშავებას. ფერმერთა ერთ

ნაწილს მიწა იჯარით აქვს აღებული, ხოლო მეორე ნაწილი საკუთარი მიწის ნაკვეთის დამუშავებას ეწევა. ფერმებში მთელი საწარმოო პროცესები მექანიზებული და ავტომატიზებულია. მიწის დამუშავებისა და ცხოველთა შენახვა-მოვლის კულტურა მეტად მაღალია. გერმანია ერთ ჰექტარ მიწის ნაკვეთზე ტექნიკის ოდენობის მიხედვით მსოფლიოში პირველ ადგილზე იმყოფება. მიუხედავად ამისა, უმეტესი ფერმების რენტაბელურობა დაბალია, რასაც განაპირობებს ევროკავშირის ქვეყნებში ერთიანი ფასების არსებობა. გერმანიაში ძალიან ბევრი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე საფრანგეთში, იტალიაში და ევროკავშირის ბევრ სხვა ქვეყნებში. ამის გამო ფერმა გაკოტრებამდე მიდის და სახელმწიფოსაგან შველას ითხოვს.

აღმოსავლეთ გერმანიაში (ახალ მიწებში) განხორციელდა მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები და სახელმწიფო მამულები გარდაიქმნა საოჯახო ფერმებად და სპეციალიზებულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებად. აქაურმა ფერმებმა და საწარმოებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს, რასაც ხელს უწყობს უკეთესი ნიადაგობრივი პირობები და სახელმწიფოს ფინანსური დახმარებები.

აღსანიშნავია, რომ გერმანიის ბუნებრივი პირობები უფრო ხელსაყრელია მეცხოველეობის განვითარებისათვის, ვიდრე მიწათმოქმედებისათვის. სწორედ ამის გამო მეცხოველეობა იძლევა მთელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 65%-ზე მეტს. ქვეყანაში განვითარებულია მეცხოველეობის ყველა დარგი: მესაქონლეობა, მეღორეობა, მეცხვარეობა, მეფრინველეობა და სხვა.

მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ა – მეცხოველეობის

ძირითადი დარგია. გერმანია მსოფლიოში ცნობილია მაღალი პროდუქტიულობის საქონლით. მოშენებულია მეხორცეობისა და მერძეველობის მიმართულების ჯიშები. მეხორცეობის ჯიშის საქონელი უფრო მეტად მოშენებულია მთიან ზონებში. ხოლო ჩრდილოეთში, ზღვისპირეთში ჭარბობს მერძეობის მიმართულება. საშუალო წლიური წველადობა ერთ ფუთზე 4 ათას ლიტრს აღემატება. მესაქონლეობაში ჭარბობს წვრილი საოჯახო ფერმები 40-მდე სული საქონლით.

მ ე ღ ო რ ე ო ბ ა – განვითარებულია ყველა რეგიონში, მაგრამ უფრო მეტად ქალაქების გარეუბნებში, სადაც ღორის საკვებად გამოიყენება კვების პროდუქტების გადამუშავების ნარჩენები. ღორის სულადობის მიხედვით გერმანია ევროპაში პირველ ადგილზე იმყოფება. ღორის ხორცი გერმანელებისათვის საყვარელი და პოპულარული საკვებია. ღორის სულადობის დაახლოებით 80% მოდის გლეხურ მეურნეობაზე და წვრილ ფერმებზე, რომლებსაც ჰყავთ 600-მდე ცხოველი. დანარჩენი მოდის მსხვილ ფერმებზე, რომლებიც ამავე დროს ეწევიან ღორის ხორცის გადამუშავებასაც.

მ ე ც ხ ვ ა რ ე ო ბ ა – განვითარებულია უფრო მეტად მთიან რაიონებში. მოშენებულია სახორცე და სამატყლე ჯიშის ცხვრები. მაგრამ ბოლო წლებში ცხვრის სულადობა არა თუ იზრდება, პირიქით მცირდება, რადგან მეცხვარეობა უმეტეს ფერმებში რენტაბელური არაა.

მ ე ფ რ ი ნ ვ ე ლ ე ო ბ ა – მაღალგანვითარებული დარგია. ფრინველის ხორცითა და კვერცხით ქვეყანა მთლიანად უზრუნველყოფილია. მათი ნაწილი სხვა ქვეყნებში გააქვთ. მეფრინველეობა ვითარდება როგორც გლეხურ მეურნეობებში და წვრილ ფერმებში, ასევე მსხვილ ფაბრიკებში, სადაც მთელი

საწარმოო პროცესები მთლიანად მექანიზებული და ავტომატიზებულია. მოშენებულია სახორცე და საკვერცხე ჯიშის ქათმები.

მ ე ც ხ ო ვ ე ლ ე ო ბ ი ს განვითარება თავის მხრივ დამოკიდებულია საკვები ბაზის გაფართოებაზე, საკვები კულტურების მოსავლის გაზრდაზე, საძოვრებისა და სათიბეების გაუმჯობესებაზე.

მ ე მ ც ე ნ ა რ ე ო ბ ა. - გერმანიის საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე, სადაც მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებია, შესაძლებელია ბევრი სახეობის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანა.

სათესი ფართობების ნახევარზე მეტი მოდის მარცვლეულ კულტურებზე: ხორბლის, ჭვავის, სიმინდის, სვრიისა და ქერის ნათესებზე. აქედან წამყვანი კულტურაა ხ ო რ ბ ა ლ ი. მისი ნათესები ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა, მოსავლიანობაც ამაღლდა. ხორბალი თითქმის ყველგან ითესება. მისი მოსავლიანობა ზოგიერთ რაიონებში 50 ცენტნერს აღწევს, უფრო მეტად კი 25-30 ცენტნერის ფარგლენშია. მიუხედავად ამისა, გერმანიას საკუთარი ხორბალი არ ჰყოფნის და ის საზღვარგარეთიდან (საფრანგეთი, კანადა, ავსტრალია) შემოაქვს. ხორბლის გარდა მოყავთ აგრეთვე ჭვავი, ქერი, სიმინდი, რომლებიც ცხოველების საკვებად გამოიყენება.

გერმანელებისათვის საყვარელი ლუდის წარმოების ზრდასთან დაკავშირებით, მის ნედლეულზე ქერისა და სვიაზე მოთხოვნილება იზრდება. შესაბამისად ქერისა და სვიის ნათესი ფართობები დიდდება. ლუდის მოხარშვისათვის საჭირო ქერის და სვიის ჯიშები მოჰყავთ ბავარიასა და ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთში. ამ რაიონებში შეხვდებით თავისებურ ტალავერებში გაშლილ სვიის პლანტაციებს. გერმანია სვიის უდიდესი მწარმოებელია მსოფლიოში.

გერმანიის ბევრ რაიონში განსაკუთრებით ჩრდილოეთ გერმანიის სამხრეთ ზოლში და ბავარიის პლატოზე მოყავთ შ ა ქ რ ი ს ჭ ა რ ხ ა ლ ი, როლის ნათესი ფართობები იზრდება. სახელმწიფო ყოველმხრივ ხელს უწყობს და მხარს უჭერს მეჭარხლეობის განვითარებას. ამის გამო გერმანია დასავლეთ ევროპაში ჭარხლის შაქრის წარმოების მიხედვით პირველ ადგილზე იმყოფება. გერმანიის შაქრის ქარხნები ყოველწლიურად 2 მილიონ ტონაზე მეტ შაქარს აწარმოებენ.

ტექნიკური კულტურებიდან აღსანიშნავია აგრეთვე თ ა მ ბ ა ქ ო. იგი ძირითადად მოჰყავთ მშრალი და თბილი კლიმატის რაიონებში: რაინის, მოზელის, მაინის დაბლობში, აგრეთვე ბავარიის პლატოზე.

გერმანიის მიწათმოქმედების მნიშვნელოვანი დარგია კ ა რ ტ ო ფ ი ლ ი ს ა და ბ ო ს ტ ნ ე უ ლ ბ ა ხ ჩ ე უ ლ ი ს წარმოება. მეკარტოფილეობა განვითარებულია ყველგან, მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ქვემო საქსონია და მთის რაიონები. ბოსტნეული კულტურების მოყვანა კი უფრო პოპულარულია ქალაქების საგარეუბნო მეურნეობებში.

დიდი ყურადღება ექცევა მ ე ხ ი ლ ე ო ბ ი ს ა და მ ე ვ ე ნ ა ხ ე ო ბ ი ს განვითარებასაც. მეხილეობა-მევენახეობა თითქმის ყველგანაა განვითარებული. გარდა მაღალმთიანი ზონისა. შედარებით თბილ და მშრალ რაიონებში მეტად პოპულარულია მებაღეობა. კარგად ხარობს ვაშლის, მსხლის, ატმის, ქლიავის და ბლის ჯიშები. მევენახეობის ძირითადი რაიონებია რაინლანდ-ჰფალცი და ბადენ-ვიუტემბერგი.

მინდვრის კულტურათა შორის დიდი მნიშვნელობა აქვს საკვები კულტურების მოყვანას, ვინაიდან მოთხოვნილება პირუტყვის საკვებზე მეტად დიდია. ითე-

სება მრავალწლიანი და ერთწლიანია ბალახები, საკვები ძირხვენები, სასილოსე სიმინდი და ა.შ.

უკანასკნელ პერიოდში გერმანიაში პოპულარული გახდა ე.წ. ა ლ ტ ე რ ნ ა ტ უ ლ ი ს ო ფ ლ ი ს მ ე უ რ ნ ე ო ბ ა – მიწის დამუშავებისა და ცხოველთა მოშენების მაქსიმალურად ბუნებრივი პირობების ტექნოლოგიის შენარჩუნება და ყოველგვარი მინერალურ სასუქებზე და შხამქიმიკატებზე უარის თქმა. მაგრამ ბუნებრივი ტექნოლოგიის პირობებში მოსავლიანობა და პროდუქტიულობა მცირდება, პროდუქცია კი – ძვირდება. მიუხედავად ამისა, ძვირადღირებული პროდუქციასაც უკვე მყიდველები გამოუჩნდნენ. იზრდება იმ მომხმარებელთა რიცხვი, რომლებიც მზად არან ბუნებრივად მოყვანილ პროდუქციაზე უფრო მეტი გადაიხადონ. ამგვარად, შეიქმნა ბუნებრივი პროდუქციების ბაზარი, რაც განაპირობებს ალტერნატიულ სოფლის მეურნეობათა განვითარებას.

აღსანიშნავია, რომ XX ს.-ში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება მნიშვნელოვნად გაიზარდა. სოფლის-მეურნეობის პროდუქციის დინამიკა შემდეგი მონაცემებით ხასიათდება (მლრდ დოლარებში, 2000 წ. ფასებში)

	1900 წ.	1913 წ.	1929 წ.	1938 წ.	1950 წ.	1960 წ.	1980 წ.	1990 წ.	2000 წ.
პროდუქცია	16.0	19.0	20.0	21.5	23.0	29.0	40.5	46.5	52.5
ზრდა %-ით	100.0	118.0	125.0	134.4	143.8	181.3	253.1	290.6	328.1

სოფლის-მეურნეობის პროდუქციის წარმოება XX ს.-ში 3,3 ჯერ გაიზარდა, მისმა ზრდის ტემპმა ომისშემდგომ წლებში რამდენადმე მოიმატა, მაგრამ სოფლის-მეურნეობის განვითარება მნიშვნელოვნად ჩამორ-

ჩება მრეწველობის ზრდას, რომელიც ამ პერიოდში 21,6-ჯერ გაიზარდა.

5. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა – გერმანიის ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. მათზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის მთელი ეკონომიკის განვითარება და მოსახლეობის კეთილდღეობა. ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში დასაქმებულია მომუშავეთა საერთო რაოდენობის 8% და იწარმოება მთლიანი შიდა პროდუქტის 9%-ზე მეტი. ქვეყანაში შექმნილია და მოქმედებს ერთიანი სატრანსპორტო ქსელი, რომელიც მოიცავს ტრანსპორტის ყველა სახეობას: რკინიგზას, საზღვაო და სამდინარო, საჰაერო, მილსადენ და ავტოტრანსპორტს. მაგრამ ტრანსპორტის განვითარებამ მთელი რიგი რთული პრობლემებიც წარმოშვა. ესენია: საავტომობილო საცობები, გადატვირთული სარკინიგზო და საჰაერო მაგისტრალები, ეკოლოგიური, ენერგიის დაზოგვის აუცილებლობის პრობლემები და ა.შ. ამიტომ ეს პრობლემები გათვალისწინებულ უნდა იქნას ტრანსპორტისა და მისი ცალკეული დარგის დაგეგმვის დროს.

გერმანიის სატრანსპორტო სისტემაში დიდ როლს ასრულებს რ კ ი ნ ი გ ზ ი ს ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება, როგორც შინაგანი ასევე საგარეო ეკონომიკური კავშირები. რკინიგზა გერმანიის ტრანსპორტის უძველესი დარგია. აქ სარკინიგზო მშენებლობა XIX ს. 30 წლებიდან დაიწყო. პირველი რკინიგზა გერმანიაში გაყვანილ იქნა 1838 წ, (ბერლინი-პოტსდამის ხაზი), ხოლო

ამავე საუკუნის 60-იანი წლებისათვის რკინიგზამ გერმანიის ყველა დიდი ქალაქი ერთმანეთთან დააკავშირა. 1865 წელს ქვეყანაში რკინიგზის ხაზების საერთო სიგრძემ 14,5 ათას კმ. მიაღწია. გერმანიის გაერთიანების შემდეგ რკინიგზების მშენებლობა მნიშვნელოვნად დაჩქარდა. მთავრობა მას სამხედრო მნიშვნელობასაც აძლევდა. თავიდან რკინიგზების მშენებლობას კერძო კომპანიები აწარმოებდნენ. მაგრამ შემდეგ ბისმარკის მთავრობამ გადაწყვიტა რკინიგზა გადასულიყო სახელმწიფო საკუთრებაში. ამ მიზნით მან დაიწყო რკინიგზის ძირითადი მაგისტრალების სახელმწიფო შესყიდვები. 1914 წლისათვის ქვეყნის ყველა ძირითადი მაგისტრალი სახელმწიფოს ხელში იყო, სულ 63,6 ათასი კილომეტრი. ფაშიზმის წლებში რკინიგზების გამტარუნარიანობის გაზრდის მიზნით დიდი ყურადღება ექცეოდა პარალელური ხაზების გაყვანას. მეორე მსოფლიო ომისშემდგომ წლებში დაიწყო რკინიგზის ცალკეული ხაზების პრივატიზაცია. 1994 წელს განხორციელდა სტრუქტურული რეფორმა. ამ რეფორმით ორი სახელმწიფო რკინიგზა: "გერმანიის ფედერალური რკინიგზა" (დასავლეთი) და " გერმანიის სახელმწიფო რკინიგზა" (აღმოსავლეთი) გაერთიანდა ერთ სააქციო საზოგადოებაში "გერმანიის რკინიგზები" და მოხდა მათი პრივატიზაცია.

გერმანიის რკინიგზის მთელი ხაზების დაახლოებით 40% ელექტროფიცირებულია. ბევრი მაგისტრალი გადაყვანილია ჩქაროსნულ მოძრაობაზე. ჩქარი მატარებლები საათში 250 კმ სიჩქარეს ანვითარებენ. გათვალისწინებულია უფრო ჩქაროსნული მაგისტრალის ბერლინი – ჰამბურგის მშენებლობა, სადაც მატარებელი "ტრანსრაპიდი" იმოძრავებს საათში 500 კმ-ის სიჩქარით. გერმანელები რკინიგზას ეკოლოგიურად უფრო სუფთა ტრანსპორტად მიიჩნევენ და მის

შემდგომ სრულყოფასა და რეკონსტრუქციას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. რკინიგზა ფართოდ გამოიყენება მგზავრთა საგარეუბნეო გადაყვანაში. ამისათვის შექმნილია ჩქაროსნული საგარეუბნო მაგისტრალები, რომლებიც კოორდინირებულია მეტროსა და ტრამვაის ხაზებთან. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიაში რკინიგზაზე მგზავრთა გადაყვანის ტარიფები მაღალია.

რკინიგზის ხვედრითი წილი ქვეყნის საერთო ტვირთბრუნვასა და მგზავრთა გადაყვანაში მცირდება. ომამდე მასზე მოდიოდა ქვეყნის მთელი შიდა ტვირთბრუნვის 40%-ზე მეტი, რაც დღეისათვის 25%-მდე შემცირდა. მიუხედავად ამისა, რკინიგზა რჩება უმაღლესი სერვისისა და მომსახურების ტრანსპორტად. გათვალისწინებულია მისი, როგორც ეკოლოგიურად უფრო სუფთა ტრანსპორტის როლის ზრდა.

გერმანიაში შიდა სატვირთო გადაზიდვებსა და მგზავრთა გადაყვანაში პირველ ადგილზეა ა ვ ტ ო ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი. მასზე მოდის მთელი შიდა ტვირთბრუნვისა და მგზავრთა გადაყვანის ნახევარზე მეტი. ამჟამად ქვეყანაში 50 მლნ-ზე მეტი ავტომანქანა ითვლება. აქედან 45 მლნ-მდე მსუბუქი ავტომანქანა. ავტომანქანა გერმანელთა უმთავრესი სატრანსპორტო საშუალებაა. საავტომობილო გზების საერთო სიგრძე 235 ათას კმ-ს აღემატება. ამ მხრივ გერმანია მხოლოდ აშშ-ს ჩამორჩება. მიმდინარეობს ძველი გზების რეკონსტრუქცია და ახალი თანამედროვე ავტომაგისტრალების მშენებლობა, განსაკუთრებით ახალ მიწებში. ეკოლოგიისა და ხმაურისაგან ქალაქების დაცვის მიზნით შენდება გვერდითი ავლის გზები. ავტომაგისტრალებზე შემოღებულია სიჩქარის შეზღუდვა და ტრანსპორტის ნაკადთა ელექტრონული მართვის სისტემა. გადატვირთულ მაგისტრალებზე ტრან-

სპორტის ნაკადის შემცირების მიზნით დაწესებულია საგზაო გადასახადი. მიუხედავად ამისა, ავტოსაგზაო შემთხვევები მაინც ბევრია.

ავტომობილიზაციის ზრდას თან ახლავს გარემოს დაბინძურება, დეფიციტური საწვავის მოხმარების ზრდა. ამიტომ გარემოს ნაკლებად გამჭუჭყიანებელ ავტომანქანებზე შემოღებულია საგადასახადო შეღავათები. ასევე დიდი ყურადღება ექცევა უფრო ეკონომიური ავტომანქანების შექმნასა და წარმოებას.

ს ა მ დ ი ნ ა რ ო ტრანსპორტის განვითარებას დიდი ყურადღება ექცევა. სამდინარო გზების საერთო სიგრძე 5200 კმ-ს აღემატება. ქვეყნის ყველა დიდი მდინარე სანაოსნოა. მაგრამ ქვეყნის შიდა სამდინარო გადაზიდვების თითქმის ნახევარი მდინარე რაინზე მოდის, სადაც ყველაზე დიდი პორტია – დუისბურგი, შემდეგ მოდის კიოლნი, დიუსელდორფი, მანჰაიმი და სხვა. მნიშვნელოვანი სამდინარო მაგისტრალებია აგრეთვე მდინარეები: ელბა, ვეზერი, ოდერი, ემსი, დუნაი. მდინარეები ერთმანეთთან შეერთებულია სანაოსნო არხებით. ყველაზე მნიშვნელოვანი არხებია: შუა გერმანიის არხი, რაინ-ხერნე, დორტმუნდ – ემსი და სხვები. მდინარეები და არხები აღჭურვილია ნაოსნობისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებებით. სამდინარო გზები გამოიყენება აგრეთვე სხვა ქვეყნებთან მიმოსვლისათვისაც. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს მდინარეებს დუნაისა და რაინს. 1992 წ. დასრულდა რაინ-მაინც-დუნაის არხის მშენებლობა, რომელმაც ჩრდილოეთის ზღვა შავ ზღვასთან დააკავშირა.

ს ა ზ ღ ვ ა ო ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი ს განვითარებას დიდი ყურადღება ექცევა. სწორედ ძირითადად მის მეშვეობით ხორციელდება საგარეო, ექსპორტ-იმპორტის ტვირთბრუნვა. ამჟამად გერმანიას

გააჩნია უდიდესი საზღვაო-სავაჭრო ფლოტი, რომელიც ფაქტიურად მეორე მსოფლიო ომისშემდგომ წლებში შეიქმნა. მის შემადგენლობაშია 750-ზე მეტი თანამედროვე გემი, რომელთა საერთო წყალწყვა 5,8 მილიონ ტონას შეადგენს. გემების უმრავლესობა 10 წელზე ნაკლები ხნისაა. გემები გამოირჩევიან დიდი ტვირთამწეობითა და მოძრაობის სიჩქარით. ძველი უნივერსალური გემები იცვლება სპეციალიზებული ტვირთმზიდავებით, ტანკერებითა და კონტეინერმზიდავებით. ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადაზიდვების ზრდასთან დაკავშირებით იზრდება ტანკერების რაოდენობა. აღსანიშნავია, რომ საზღვაო ტრანსპორტზე გადაზიდვების თვითღირებულება 15-ჯერ ნაკლებია რკინიგზასთან შედარებით.

საზღვაო გადაზიდვები ჩრდილოეთის ზღვისა და ბალტის ზღვის პორტებიდან ხორციელდება. უდიდესი საზღვაო პორტებია ჩრდილოეთის ზღვაზე: ჰამბურგი, ბრემენი, ბრემენჰაფენი და ვილჰელმჰაფენი, ხოლო ბალტის ზღვაზე როსტოკი და ლიუბეკი. პორტები აღჭურვილია უახლესი ტექნიკითა და ინფრასტრუქტურით. ისინი "ჩქაროსნული პორტების" სახელს ატარებენ. უმოკლეს დროში ასრულებენ დატვირთვისა და გადმოტვირთვის სამუშაოებს. ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვის პორტები მეზობელ ქვეყნებთან დაკავშირებულია საზღვაო-სარკინიგზო და საზღვაო-საავტომობილო პარონებით. 1895 წელს ექსპლოატაციაში შევიდა კილის არხი, რომელმაც ჩრდილოეთის ზღვა უმოკლესი მანძილით დააკავშირა ბალტის ზღვასთან. არხის სიგრძე 99 კმ-ია, სიღრმე 11-12 მეტრი, სიგანე ზედაპირზე 110მ. არხის ორივე ბოლოზე მოწყობილია რაბები, რომელთა მეშვეობით ხდება წყლის დონის დარეგულირება. არხის რამდენიმე ადგილზე შექმნილია ფართო აუზები გემების მობრუნებისათ-

ვის. უახლეს მომავალში განხორციელდება მთელი რიგი საზღვაო-სამდინარო სანაოსნო გზების გაღრმავება-გაფართოება.

დიდ აღმავლობას განიცდის ს ა ჰ ა ე რ ო ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი. იგი კონკურენციას უწევს საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტს. ამჟამად შორეულ მანძილებზე მგზავრები ძირითადად საჰაერო ტრანსპორტით მგზავრობენ. თვითმფრინავებს ყოველწლიურად 120 მლნ-ზე მეტი მგზავრი გადაჰყავს და 2 მლნ ტონაზე მეტი ტვირთი გადააქვს. ქვეყანაში 200-ზე მეტი აეროპორტია. მათი დიდი ნაწილი საერთაშორისო საავიაციო ხაზებს ემსახურება. უდიდესი აეროპორტებია: ფრანკფურტი - მაინზე, ბერლინი, კიოლნი, ბრემენი, დიუსელდორფი, ჰამბურგი, ერფურტი, დრეზდენი, მიუნხენი და სხვები. უდიდესი ავიაკომპანიაა "ლუფთჰანზა", რომელიც შერეული სახელმწიფო-კერძო ავიაკომპანიაა. მას გააჩნია 220-ზე მეტი საჰაერო ლაინერი და ყოველწლიურად გადაჰყავს 32 მლნ-ზე მეტი მგზავრი. სხვა ავიაკომპანიებიდან აღსანიშნავია "კონდორი", ლტუ, "ჰაპანგ-ლოიდი", "აეროლოიდი" და სხვები. გერმანიის აეროპორტებში დაფრინავენ საზღვარგარეთის 120-მდე ავიაკომპანიების თვითმფრინავები. გერმანია პირდაპირი საჰაერო ტრასებით დაკავშირებულია მსოფლიოს 100 ქვეყნის 300-ზე მეტ ქალაქთან. საერთაშორისო ტრასების გარდა იზრდება აგრეთვე შინაგანი ტრასების მნიშვნელობაც, რადგან მგზავრთა დიდი ნაწილი ქვეყნის შიგნით გადაადგილებისათვის საჰაერო ტრანსპორტს ირჩევს. დიდი ყურადღება ექცევა ფრენის უსაფრთხოებისა და ფრენის მართვის ტექნიკის გაუმჯობესებას.

მ ი ლ ს ა დ ე ნ ი ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი ს განვითარებას განაპირობებს ნავთობისა და გაზის მოხმარების ზრდა. მილსადენები ნავთობისა და გა-

ზის მომხმარებლებზე მოწოდების ყველაზე იაფი და უსაფრთხო საშუალებაა. გერმანიაში მაგისტრალური ნავთობსადენები და გაზსადენები ჩრდილოეთის საზღვაო პორტებიდან სამხრეთისაკენ, ხოლო რუსეთიდან ქვეყნის შუაგულისაკენ მიემართება, რომლებიდანაც შემდეგ მომხმარებლები ნავთობითა და გაზით მარაგდებიან.

დიდი ყურადღება ექცევა ტრანსპორტის ცალკეულ სახეობათა ერთმანეთთან დაკავშირებას და მათ ოპტიმალურ გამოყენებას. ტვირთების გრძელ მარშუტებზე გადაზიდვა რკინიგზით ხდება, ხოლო რეგიონის ფარგლებში-სატვირთო მანქანებით. დიდი აეროპორტები დაკავშირებულია საქალაქო ან საქალაქთაშორისო სარკინიგზო ქსელთან.

გერმანიის ეკონომიკის განვითარებაში უდიდეს როლს ასრულებს კ ა ვ შ ი რ გ ა ბ მ უ ლ ო ბ ა, რომელიც ეწევა ინფორმაციისა და მატერიალურ ფასეულობათა მიღება-გადაცემას: ფოსტის, ტელეგრაფის, ტელეფონის, რადიომაუწყებლობის, ტელევიზიის და სხვათა მეშვეობით. შესაბამისად არსებობს საფოსტო და ელექტროკავშირგაბმულობა.

გერმანიაში ს ა ფ ო ს ტ ო კ ა ვ შ ი რ ი 500 წლის წინათ წარმოიშვა. მაგრამ განვლილი წლების მანძილზე მისი როლი და ფუნქციები მნიშვნელოვნად გაიზარდა და გაფართოვდა. ამჟამად იგი ეწევა წერილობითი კორესპონდენციების, ამანათების, ბანდეროლების და სხვადასხვა მატერიალური ფასეულობების მიღებას, დამუშავებას, გაგზავნასა და დანიშნულების ადგილზე ჩაბარებას. გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩატარდა გერმანიის ფოსტის პრივატიზაცია. გერმანიის ფედერალური ფოსტა გადაკეთდა სააქციო საზოგადოებად, ამჟამად ამ საზოგადოებაში დასაქმებულია 300 ათასზე მეტი თანამშრო-

მელი, ხოლო მისი წლიური ბრუნვა 15 მილიარდ ევროს აღწევს. ყოველწლიურად იგი ეწევა 20 მილიარდამდე წერილისა და ამანათების დანიშნულების ადგილზე მიტანას, ასევე ტვირთების სხვა ქვეყნებში გაგზავნასაც.

ელექტრო კავშირგაბმულობის განვითარება XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო. თავიდან განხორციელდა ქვეყნის ტელეფონიზაცია სატელეფონო ქსელების შექმნის საფუძველზე. შემდგომში სატელეფონო ქსელების საშუალებით დაიწყო მონაცემების გადაცემა. განხორციელდა სატელეფონო ქსელების ციფროვიზაცია და მომსახურების ინტეგრაცია. ხოლო 2000 წლიდან დაიწყო ინტელექტუალური ქსელის შექმნა, კავშირგაბმულობისა და კომპიუტერული ტექნიკის ურთიერთშერწყმის საფუძველზე. ინტელექტუალური ქსელის საფუძველზე სწარმოებს საინფორმაციო მომსახურეობის გაწევა. სწორედ ინტელექრუალური ქსელის მეშვეობით კაცობრიობა ინდუსტრიული საზოგადოებიდან გადადის - ინფორმაციულში.

კავშირგაბმულობისა და გადამცემი ტექნიკის საშუალებათა განვითარებამ წარმოშვა ფიჭური (მობილური) კავშირი. მობილური კომუნიკაცია კავშირგაბმულობის მოხერხებული და პოპულარული ფორმა გახდა, რომელიც ყველა ქვეყანაში ვითარდება. დღეისათვის მობილური კავშირი გერმანიის მთელ ტერიტორიას მოიცავს. ასევე მობილური ტელეფონით შესაძლებელია სხვა ქვეყნების აბონენტებთან დაკავშირებაც. ამჟამად ყოველი მეორე გერმანელი მობილური ტელეფონით სარგებლობს. 2003 წლისათვის მობილური კავშირის აბონენტთა რაოდენობა 41 მილიონს შეადგენს.

გერმანიას გააჩნია რადიოტელეკომუნიკაციის უმაღ-

ლესი ინფრასტრუქტურა. სატელეფონო ქსელებით ხდება ინფორმაციათა გადაცემა-მიღება ფაქსისა და კომპიუტერის მეშვეობით. მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში კერძო ტელესაკომუნიკაციო ფირმებს გააჩნია ე.წ. "ჩქაროსნული ქსელები", რომლებშიაც ჩართული საწარმოები აწარმოებენ ინფორმაციათა გაცვლას და გადიან ინტერნეტში. შექმნილია ელექტრონული საფოსტო ყუთები, რომელთა მეშვეობით ხდება საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის ინფორმაციების გაცვლა, ხოლო კერძო პირები მას იყენებენ გართობისათვის. ელექტრონული საფოსტო ყუთიდან შეიძლება გაეცნოთ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს. მნიშვნელოვან სტატიებს, ეკონომიკურ ინფორმაციებს, ბიბლიოთეკებისა და არქივების კატალოგებს და ა.შ. მოქმედებაშია 250-მდე რადიოპროგრამა. საშუალოდ ყოველი ოჯახი ღებულობს 30-ზე მეტ ტელეპროგრამას. საშუალოდ დღეში ყოველი გერმანელი (14 წელზე ზევით) 5 საათამდე დროს ხარჯავს ჟურნალ-გაზეთების კითხვაზე, რადიოს მოსმენაზე და ტელევიზორის ყურებაზე. მოსახლეობის უმრავლესობა იყენებს ორი და მეტი ინფორმაციის წყაროს. ქვეყანაში მოქმედი რადიო-სატელევიზიო სადგურები აღჭურვილია უახლესი ტექნიკით და უზრუნველყოფენ გადაცემისა და მიღების უმაღლეს ხარისხს.

გერმანიაში ტელერადიო გადაცემებს ეწევა საზოგადოებრივი და კერძო ტელე-რადიო კომპანიები. მიწებს გააჩნიათ საკუთარი ტელერადიო სადგურები, საიდანაც სწარმოებს ტელერადიო გადაცემები. მიწებში მოქმედი ტელერადიო კომპანიები ეწევიან როგორც საკუთარი პროგრამების გადაცემებს, ასევე ფედერალური და სხვა კომპანიათა პროგრამების ტრანსლაციასაც. ამასთან, მოსახლეობას, თვითონ სპეციალური ანტენების აგრეთვე საკაბელო ქსელის მეშვეობით

შეუძლია მიიღოს მისთვის საინტერესო გადაცემები. შესაძლებელია აგრეთვე სხვა ქვეყნების ტელერადიო გადაცემების მიღებაც. ხოლო ფედერალური რადიოსადგური „გერმანიის ხმა" ეწევა რადიოგადაცემებს სხვა ქვეყნებისათვის.

6. საგარეო ეკონომიკური კავშირები

თანამედროვე პირობებში ქვეყნებს შორის საგარეო ეკონომიკური კავშირები სულ უფრო და უფრო იზრდება და ფართოვდება. ამჟამად ნებისმიერი ქვეყნის ნორმალური ეკონომიკური განვითარება წარმოუდგენელია სხვა ქვეყნებთან კავშირ-ურთიერთობების გარეშე. გერმანიისათვის კი საგარეო ეკონომიკურ კავშირებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. გერმანიის მრეწველობა ძირითადად საზღვარგარეთიდან შემოტანილი ნედლეულის გადამუშავებას ეწევა, ხოლო წარმოებული სამრეწველო პროდუქციის თითქმის ნახევარი საზღვარგარეთ გადის. იგი აგრეთვე კაპიტალისა და მომსახურების ექსპორტს ეწევა.

აღსანიშნავია ისიც, რომ გერმანიის საგარეო ეკონომიკური კავშირები იზრდება და ფართოვდება. დიდ აღმავლობას განიცდის საგარეო ეკონომიკური კავშირის ყველა ფორმა: საგარეო ვაჭრობა, კაპიტალის გატანა, მომსახურების ექსპორტი. თანდათანობით იცვლება საგარეო კავშირ-ურთიერთობათა გეოგრაფია და სტრუქტურა. თუ ადრე გერმანული საქონლისა და კაპიტალის ექსპორტის ქვეყნები, ასევე მათი ოდენობა ხშირად იცვლებოდა, უკანასკნელ პერიოდში ეს მაჩვენებლები უფრო მყარი გახდა. ამჟამად გერმანიიდან საქონლისა და კაპიტალის ექსპორტი ძირითადად ევროკავშირის ქვეყნებში და აშშ-ში სწარმოებს. თუ

ადრე გერმანიას ძირითადად ნედლეული და სურსათი შემოჰქონდა და მზა პროდუქცია გაჰქონდა. ამჟამად, ნახევარფაბრიკატები შემოაქვს და გააქვს კიდევაც.

ასევე გააქვს და შემოაქვს გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაც. მაგრამ მაინც გერმანიას უფრო მეტად ნედლეული შემოაქვს და უფრო მეტად მზა პროდუქცია გააქვს.

გერმანიის ექსპორტის ძირითადი საგნებია: ავტომანქანები, მანქანა-დანადგარები, ელექტროტექნიკა, ზუსტი ხელსაწყოები, საავიაციო და კოსმოსური ტექნიკა, საზღვაო და სამდინარე გემები, ლითონი,ქიმიური მრეწველობის პროდუქცია, კვებისა და თამბაქოს ნაწარმი, ქსოვილები, ტანსაცმელი. საქონლისა და მომსახურების ექსპორტის ოდენობის მიხედვით გერმანია მსოფლიოში მეორე ადგილზე იმყოფება. ამ მხრივ იგი ჩამორჩება მხოლოდ აშშ.

გერმანიაში იმპორტის ძირითადი საგნებია: რკინის მადანი, ფერადი ლითონები და ფერადი ლითონების მადანი, ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ბუნებრივი აირი, მარგანეცი, ბოქსიტები, კაუჩუკი, ხე-ტყე, ბამბა, შალი, ხორბალი, სიმინდი, მცენარეული ცხიმი, ხილი, ციტრუსები, ყურძენი, ზოგიერთი სახის მანქანა-იარაღები და მოწყობილობები, მაკომპლექტებელი ნაწილები და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ გერმანიას გაცილებით მეტი პროდუქცია გააქვს, ვიდრე შემოაქვს. ამის გამო მისი სავაჭრო ბალანსი დადებითია. მას ყველა ქვეყანასთან (გარდა იაპონიისა) დადებითი სავაჭრო ბალანსი აქვს. დადებითი სავაჭრო ბალანსისა გამო კი გერმანიაში მეტი ვალუტა შემოდის, ვიდრე ქვეყნიდან გადის. ეს მდგომარეობა კი ზოგჯერ გერმანიის კრიზიკის საგანი ხდება. მაგრამ გერმანიიდან მეტად მა-

ღალია ვალუტის "უხილავი" ექსპორტი. გერმანიიდან ვალუტა გააქვთ ტურისტებსა და საზღვარგარეთ დამსვენებლებს, იმიგრანტებს, რომლებიც გერმანიაში მუშაობენ და სამშობლოში ფულს აგზავნიან. დიდძალი ვალუტა ხმარდება აგრეთვე განვითარებად ქვეყნებზე დახმარებებს და ა.შ. ასე, რომ ექსპორტიდან მიღებული "ჭარბი" ვალუტა თუ სულ არა მისი ნაწილი მაინც გერმანიიდან გაედინება.

	1900 წ.	1950 წ.	1980 წ.	2000 წ.
საქონლის ექსპორტი მლრდ დოლარი	21.5	36.5	385.0	710.0
საქონლის ექსპორტის ზრდა	1.0	1.7	17.91	33.02
გერმანია % მსოფ. ექსპორტში	8.43	4.71	9.78	7.85
საქონლის ექსპორტის ხვედრითი წილი მშპ-ში %-ით	10.1	8.5	26.5	33.0

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა გერმანიის საგარეო ვაჭრობის მოცულობა. 2000 წლისათვის საქონლის ექსპორტმა 700 მილიარდ დოლარს გადააჭარბა, ხოლო საქონლის იმპორტმა-650 მილიარდ დოლარს. საქონლის ექსპორტის ზრდა 1900-2000 წლებში შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება (2000 წლის ფასებით)

გასულ საუკუნეში საქონლის ექსპორტი 33-ჯერ გაიზარდა, მაგრამ გერმანიის ხვედრითი წილი მსოფლიო ექსპორტში 8,4 %-იდან 7,8%-მდე შემცირდა, ხოლო საქონლის ექსპორტის ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში 10-დან 33%-მდე ამაღლდა. საქონლის ექსპორტის ზრდას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ევროპის კავშირის შექმნამ და "ცივი ომის" დამთავრებამ და ქვეყნებს შორის საგარეო ურთიერთობათა მოწესრიგებამ.

გერმანიის კაპიტალდაბანდებები და ინვესტიციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში იზრდება. აღსანიშნავია ისიც, რომ გერმანიამ მეორე მსოფლიო ომამდელი საზღვარგარეთული კაპიტალდაბანდებები დაკარგა. ამიტომ ომისშემდგომმა გერმანიამ საზღვარგარეთ კაპიტალდაბანდებები ნულიდან დაიწყო. საზღვარგარეთ კაპიტალი გააქვთ როგორც კერძო კომპანიებს, ასევე სახელმწიფოსაც – უმთავრესად სესხებისა და დახმარებების სახით. კაპიტალ დაბანდებები უცხოეთში ძირითადად გადამამუშავებელი მრეწველობის დარგებსა და ნავთობის მოპოვებას, აგრეთვე საბანკო და სადაზღვევო საქმეს ხმარდება. ამჟამად კაპიტალის ექსპორტის ნახევარზე მეტი განვითარებად ქვეყნების ეკონომიკას ხმარდება. კაპიტალის გატანის მიზანია გასაღების ბაზრების შენარჩუნება და ახლი ბაზრების დაპყრობა, მეტი მოგების მიღება. განვითარებად ქვეყნებში ნედლეული და მუშახელი უფრო იაფია და შესაბამისად მოგებაც მეტია. თუმცა, საზღვარგარეთ კაპიტალის გატანის რისკი საკმაოდ დიდია. რისკის შემცირება და საზღვარგარეთული ინვესტიციების დაცვა ძირითადად სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებათა საფუძველზე ხდება.

აღსანიშნავია, ისიც რომ გერმანიაში იზრდება უცხოური კაპიტალდაბანდებები, რომლებიც ხმარდება ტრანსნაციონალური და უცხოური კომპანიების საწარმოთა რეკონსტრუქცია-გაფართოებას. აგრეთვე სხვადასხვა აქციების შეძენას. მაგრამ მთლიანად კაპიტალის ექსპორტი მნიშვნელოვნად აღემატება კაპიტალის იმპორტს.

გერმანია მსოფლიოში ცნობილია აგრეთვე ომსახურების ექსპორტითაც. გერმანიაში ძალიან ბევრია საინჟინრო და საკონსულტაციო კომპანიები და ფირმები, რომლებიც უცხოეთის დაკვე-

თებზე მუშაობენ. ისინი ეწევიან, როგორც ინფრასტრუქტურის ობიექტების: აეროპორტების, საზღვაო პორტების, ხიდების, ასევე საწარმოო დანიშნულების ობიექტების, ნავთობისა და გაზგადამამუშავებელი კომპლექსების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, ატომური ელექტროსადგურების დაპროექტებას, საინჟინრო-სამშენებლო მომსახურებას და ა.შ. საკონსულტაციო ფირმები ეხმარებიან უცხოელ ექსპერტებს გერმანიასა და მესამე ქვეყნის ბაზრის შესწავლაში. ისინი აგროვებენ და ფლობენ ინფორმაციებს მსოფლიოში მიმდინარე პროცესების შესახებ. ამისათვის მათ ჰყავთ კვალიფიკაციური სპეციალისტები, აქვთ ლაბორატორიები და იყენებენ უახლეს საინფორმაციო ტექნოლოგიებს. გერმანული სარეკლამო-სააგენტო ფირმები და მათი ფილიალები მოქმედებენ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. მათ ყოველწლიურად ქვეყანაში დიდი შემოსავალი შემოაქვთ.

ტ უ რ ი ზ მ ი. გერმანიის საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში დიდ როლს ასრულებს საერთაშორისო ტურიზმი. გერმანია მსოფლიოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტურისტული რაიონია. ყოველწლიურად აქ 20 მილიონზე მეტი ტურისტი შემოდის. ამ მხრივ იგი ჩამორჩება მხოლოდ საფრანგეთს, ესპანეთს და იტალიას. მაგრამ ტურიზმს ქვეყანაში ყოველწლიურად 100 მილიარდ ევროზე მეტი შემოსავალი შემოაქვს. ტურიზმის სფეროში დასაქმებულია 2 მილიონამდე კაცი. ტურიზმის ძირითადი ნაკადები აშშ-დან, დასავლეთ ევროპის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდან შემოდის. გერმანიაში ტურისტებს უპირველეს ყოვლისა იზიდავს ისტორიული და არქიტექტურული ძეგლებისა და ლანდშაფტის სიმრავლე, ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვების სანაპიროები, კურორტები, ტბები და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბაზები, რო-

მანტიკული პეიზაჟები რაინის, მოზელის, დუნაის, ელბის ხეობებში, მუზეუმები, ტრადიციები, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურის მაღალი დონე, ეთნოგრაფიული მრავალფეროვნება, უნიკალური გეოგრაფიული მქონე კერძები, სახალხო ზეიმები. ასევე პოლიტიკური ფაქტორები, უსაფრთხოება, სასაზღვრო და საპასპორტო რეჟიმების სიმარტივე და სხვა. გერმანიაში 100-ზე მეტი ტურისტული მარშუტია. მათ შორის ცნობილია მარშუტები: "გერმანული ზღაპრული გზები." "გერმანული ღვინის გზა","რომანტიკული გზა" და ა.შ.

ტურიზმის განვითარების საქმეში დიდ როლი ასრულებს გერმანიის მოხერხებული სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა. იგი ტრანსპორტის ყველა თანამედროვე სახეობებით დაკავშირებულია სხვა ქვეყნებთან. გერმანია უმაღლეს დონეზე მოწყობილი აეროპორტებით და ავიაკავშირებით დაკავშირებულია მსოფლიოს ყველა წამყვან ქვეყანასთან. ხოლო ქვეყნის შიგნით მოქმედებაშია საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი საგზაო სისტემები და სატრანსპორტო მომსახურება, სასტუმროებისა და ტურისტულ-გამაჯანსაღებელი ბაზების ფართო ქსელი. ტურისტების მრავალმილიონიანი ნაკადის მომსახურებისათვის შექმნილია კვებისა და სხვადასხვა ტურისტული ინვენტარის წარმოების ინდუსტრია. დიდი ყურადღება ექცევა ცალკეული ადგილებისა და ტურისტული მარშუტების პროპაგანდასა და რეკლამას. ფართო ტირაჟით იბეჭდება სხვადასხვა სახის-ტიპის გზამკვლევები, ტურისტული რუქები და ბუკლეტები. ასევე დიდი ყურადღება ექცევა ტურიზმისათვის კვალიფიკაციური კადრების მომზადებას. ხოლო ტურიზმის მარკეტინგული მომსახურებას ეწევა ტურიზმის ცენტრალური ბიურო და მისი წარმომადგენლები საზღვარ-

გარეთ. ისინი რეკლამას უწევენ გერმანიაში მგზავრობას. ამ მიზნით გამოიყენება აგრეთვე ინტერნეტი.

7. გერმანია-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობები

გერმანია-საქართველოს შორის საგარეო ეკონომიკური კავშირურთიერთობებს დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გერმანელმა კაპიტალისტებმა საქართველოში მარგანეცის, ნავთობის, სპილენძისა და სხვათა მოპოვება და ექსპორტი დაიწყეს. გერმანია -საქართველოს ეკონომიკური კავშირები XX საუკუნეში უფრო გაფართოვდა და გაიზარდა. ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გერმანიასთან ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობები უფრო ცივილიზებული გახდა. გერმანიამ ერთ-ერთმა პირველმა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და მას ჰუმანიტარული დახმარებაც აღმოუჩინა. შემდგომ წლებში გერმანიამ საქართველოს სესხები გამოუყო და საგარეო ვაჭრობისათვის სათანადო პირობებიც შეუქმნა. ამჟამად საქართველო-გერმანიის ეკონომიკური ურთიერთობები ძირითადად საგარეო ვაჭრობის, პირდაპირი კაპიტალდაბანდებების და სესხების გამოყოფის, მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის, კადრების მომზადებისა და სხვადასხვა მიზნობრივ პროგრამებში მონაწილეობის ფორმებით ვითარდება.

საგარეო ვაჭრობა საქართველოსა და გერმანიას შორის იზრდება და ფართოვდება. ამჟამად ყოველწლიური საქონელ-ბრუნვის მოცულობა დაახლოებით 40 მილიონ ევროს აღწევს. საქართველოს გერმანიიდან შემოაქვს ძირითადად საყოფაცხოვრებო ტექნიკა,

მანქანა-დანადგარები, ავტომანქანები, საკვები პროდუქტები, ტანსაცმელი, ქიმიური პროდუქცია. საქართველოდან გერმანიაში გააქვთ: ფერადი ლითონები, მარგანეცი, მინერალური წყლები, ჩაი, სუვენირები, ღვინო, კონიაკი. მაგრამ გერმანიასთან საქონელბრუნვის გაზრდას მნიშვნელოვნად აფერხებს შემოტანილი საქონლის სანაცვლოდ საექსპორტო საქონლის ნაკლებობა. ჯერ ერთი, საქართველოში წარმოებული პროდუქციის უდიდესი ნაწილი დაბალი ხარისხისაა და არაკონკურენტუნარიანია და მეორე, ცოტა იწარმოება ისეთი საქონელი რომლითაც შეიძლება დაინტერესდეს გერმანია. ამ მხრივ პერსპექტივა აქვს ჩაის, ღვინოებს, შამპანურს, კონიაკს, მურაბებს და კონსერვებს, მინერალურ წყლებს, ფეროშენადნობებს, მარგანეცს, ფერად ლითონებს, სამკაულებს. სავაჭრო ურთიერთობების თვალსაზრისით გერმანია საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარტნიორია.

საქართველოს ეკონომიკაში იზრდება გერმანული ინვესტიციები და კაპიტალდაბანდებები. პირდაპირი ინვესტიციები ხმარდება სამრეწველო., სასოფლო და სატრანსპორტო საწარმოების რეკონსტრუქცია-გაფართოებას. გარდა ამისა ხდება გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნობრივი სესხების გამოყოფა. ასევე გერმანელი ბიზნესმენები ყიდულობენ აქციებსა და ფასიან ქაღალდებს. გერმანიის უდიდესმა საკრედიტო დაწესებულებამ „დოიჩე ბანკმა", თბილისში გახსნა თავისი წარმომადგენლობა. აღსანიშნავია გერმანული ფირმა „მარტინ ბაუერის" საქმიანობა საქართველოში ჩაის წარმოების აღდგენა-აღორძინებისათვის. გერმანული კრედიტის ბაზაზე განხორციელდა გარდაბნის თბოელექტროსადგურისა და რამდენიმე ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაცია. გერმანული კაპიტალი მონაწილეობდა შავი ზღვის ნავსადგუ-

რების კეთილმოწყობაში, საბორნე გზის მოწყობაში, ასევე კოსმეტიკური ნაწარმის ფაბრიკის რეკონსტრუქციაში და კაფე-სასადილოების მოწყობაში.

მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა საქართველოსა და გერმანიას შორის სხვადასხვა ფორმითა და მიმართულებებით ვითარდება. მათ შორის აღსანიშნავია საინჟინრო-საკონსულტაციო და საინჟინრო-სამშენებლო მომსახურება, საინფორმაციო მომსახურება, ერთობლივი სამეცნიერო-ტექნიკური და საძიებო-საპროექტო სამუშაოების ჩატარება. გერმანელი სპეციალისტები მონაწილეობენ ინფრასტრუქტურული ობიექტების რეკონსტრუქციაში და ა.შ, ისინი ეხმარებიან ქართველ კოლეგებს სხვადასხვა საკითხების მოგვარებაში.

აღსანიშნავია აგრეთვე, გერმანიასთან თანამშრომლობა კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებში. გერმანიაში სასწავლებლად და სამუშაოდ მიდიან ახალგაზრდები. მუშა-ემიგრანტები წარმოადგენენ საქართველოს სავალუტო შემოსავლების წყაროს. მათი სავალუტო გადარიცხვები და ნაღდი ფული ჩვენი მოსახლეობის შემოსავლების ზრდის მნიშვნელოვანი წყაროა.

გერმანია საქართველოს ეხმარება თავისუფალი მეწარმეობის, სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის შექმნაში, საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარდაქმნასა და საბჭოთა იმპერიის გადმონაშთების დაძლევაში, სხვა ქვეყნებთან სამართლიანი საერთაშორისო ურთიერთობათა დამყარებაში.

გერმანიასთან ეკონომიკურ კავშირ-ურთიერთობათა გაფართოების ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულება შეიძლება გახდეს ტ უ რ ი ზ მ ი და საქართველოს კურორტები. გერმანიის მუშა-მომსახურეთა თითქმის ნახევარი შვებულებას საზღვარგა-

რეთ ატარებს. გერმანელებს უყვართ საზღვარგარეთ მოგზაურობა და დასვენება. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია მათ შევთავაზოთ ჩვენს კურორტებში დასვენება-მკურნალობა და ტურისტული მოგზაურობები საქართველოში. ამისათვის კი საჭიროა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სანატორიუმების, სასტუმროების და მომსახურების ინფრასტრუქტურის შექმნა, ქვეყანაში წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, აგრეთვე საქართველოს კურორტებისა და ტურისტული მარშრუტების პროპაგანდა და რეკლამა.

8. ფინანსები და საბანკო სისტემა

ფინანსები და კრედიტი ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. მათი მეშვეობით წარმოებს ქვეყანაში არსებული ფულადი სახსრების მობილიზაცია და გამოყენება. ასევე ფინანსებისა და კრედიტის საშუალებით ხდება მთლიანი ეროვნული პროდუქტის განაწილება და გადანაწილება ეკონომიკის სუბიექტებსა და საზოგადოების წევრებს შორის.

გერმანიას მაღალგანვითარებული საფინანსო-საკრედიტო სისტემა გააჩნია. მისი ბანკები და სხვა საფინანსო ინსტიტუტები წამყვან როლს ასრულებენ მსოფლიოში. გერმანიაში გარდა ადგილობრივი ბანკებისა თავისი განყოფილებებითა და ფილიალებით წარმოდგენილია მსოფლიოს ყველა უმსხვილესი ბანკი.

გერმანიის ფულადი ერთეული ამ უკანასკნელ წლებამდე იყო გერმანული მარკა, რომელიც თავისუფლად კონვერტირებად და მსოფლიოში ერთ-ერთ მყარ ვალუტას წარმოადგენდა. იგი თავისი მნიშვნელობით აშშ დოლლარის შემდეგ მეორე ვალუტა იყო მსოფლიოში. 2002 წლიდან გერმანული მარკა ევროკავშირის საერ-

თო ვალუტამ – "ევრომ" შეცვალა. ამჟამად გერმანიაში ისე როგორც ევროპის სხვა რიგ ქვეყნებში მიმოქცევაშია მხოლოდ "ევრო". აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ქვეყნებმა საერთო ვალუტის შემოღების შესახებ მზადება 90-იანი წლებიდან დაიწყეს. ჯერ კიდევ 1991 წელს მაასტრიხტში დადებულ იქნა შეთანხმება ევროპის ერთიანი ეკონომიკური და სავალუტი კავშირის შექმნის შესახებ. მაგრამ ერთიანი ვალუტის შემოღებისათვის აუცილებელი იყო გარკვეული წინაპირობების შექმნა. ყველა ქვეყანას უნდა ქონოდა მყარი ფასები და ვალუტის სტაბილური გაცვლითი კურსი, დაბალი საბანკო პროცენტი და ჯანსაღი სახელმწიფო ფინანსები. ამასთან ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ მათი ფულადი პოლიტიკის სუვერენიტეტი გადაეცემოდა ევროპის ცენტრალურ ბანკს. 1995 წელს სახელმწიფოთა მეთაურების მადრიდის შეხვედრაზე გადაწყდა, რომ ევროკავშირის მომავალი ვალუტის სახელწოდება იქნებოდა "ევრო" და იგი მიმოქცევაში შემოვიდოდა 2002 წლიდან. საერთო ვალუტის შემოღება მიზნად ისახავდა იმას, რომ ყველა ქვეყანას ჰქონოდა სტაბილური ვალუტა, დაბალი საპროცენტო განაკვეთი, მყარი ეკონომიკური ზრდა და დასაქმების მაღალი დონე. საერთო ვალუტა კი თავის მხრივ გაადვილებდა საქონლის ექსპორტს და გააიაფებდა ტურისტების გაგზავნას, გააუქმებდა ვალუტათა გაცვლის ხარჯებს, ფასებს გახდიდ უფრო გამჭირვალეს და ამით საბოლოოდ მოიგებდა მომხმარებელი.

გერმანიის საფინანსო-საბანკო სისტემის საფუძველია ბანკები და სხვადასხვა საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტები. ბანკებს სათავეში უდგას გერმანიის ფედერალური ბანკი – "ბუნდეს ბანკი". იგი რაიხსბანკის უშუალო მემკვიდრეა. "ბუნდეს ბანკი". შეიქმნა 1951 წელს გფრ მიწების ბანკების გაერთიანების სა-

ფუძველზე, როგორც სახელმწიფო ბანკი. მისი ადგილსამყოფელია ფრანკფურტი-მაინზე. ბანკის ხელმძღვანელი ორგანოა ცენტრალური საბჭო, რომელშიაც შედიან ბანკის დირექციის წევრები და მიწების ცენტრალური ბანკების პრეზიდენტები. ბანკის ცენტრალური საბჭო მთავრობას არ ემორჩილება და ქვეყანაში დამოუკიდებლად წარმართავს ფულად-საკრედიტო პოლიტიკას. თუმცა, იგი ვალდებულია მხარი დაუჭიროს ფედერალურ მთავრობის საკრედიტო პოლიტიკას. 2002 წლამდე იგი იყო საემისიო ბანკი, მხოლოდ მას ჰქონდა მარკის კუპიურების დაბეჭდვის უფლება. ამჟამად იგი ამ ფუნქციას არ ასრულებს, რადგან მიმოქცევაშია მხოლოდ "ევრო", რომელსაც ბეჭდავს ევროპის ცენტრალური ბანკი. მაგრამ მას დარჩა ქვეყნის ცენტრალური ბანკის სხვა ფუნქციები. იგი წარმართავს ქვეყანაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკას და როგორც "ბანკთა ბანკი" კომერციულ ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებს საჭიროების შემთხვევაში ამარაგებს ფულადი რესურსებით. იგი არის სახელმწიფო "საოჯახო ბანკი", განაგებს ფედერალურ და მიწების სალაროებს და ახორციელებს მათ ფინანსურ ოპერაციებს. ინახავს ქვეყნის ოქროს მარაგს და სავალუტო რეზერვებს.

გერმანიაში მოქმედებენ სხვადასხვა სახის საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტები, რომლებიც სპეციალიზებული არიან მომსახურების ფორმების მიხედვით. ესენია: კომერციული ბანკები, საჯარო სამართლის შემნახველი სალაროები, კოოპერაციული სახალხო ბანკები, კერძო ფინანსური ინსტიტუტები, სამშენებლო შემნახველი სალაროები, ჰიპოთეკური ბანკები, საანგარიშწორებო ცენტრები, საფონდო ბანკები და საინვესტიციო კომპანიები. ამასთან, ადგილი აქვს საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებათა გამსხვილე-

ბასა და მათი საერთო რაოდენობის შემცირებას. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებათა რაოდენობა 3-ჯერ შემცირდა. ეს პროცესი გრძელდება.

გერმანიის კომერციულ საბანკო დაწესებულებათა სათავეში იმყოფება დიდი სამეული: "დოიჩე ბანკი", "დრეზდენ ბანკი" და "კომერცბანკი". მათ გააჩნია საკრედიტო დაწესებულებათა ფართო ქსელი და ყავთ საკუთარი კლიენტები. "დოიჩე ბანკი", დაარსდა 1870 წელს, მაგრამ ბანკი განსაკუთრებით გამსხვილდა მეორე მსოფლიო ომისშემდგომ წლებში. ბანკს საზღვარგარეთ თითქმის ყველა ქვეყანაში (მათ შორის საქართველოში) გააჩნია ფილიალები და მონაწილეობას ღებულობს სხვა ქვეყნების საბანკო საქმიანობაში. მეორე ადგილზეა "დრეზდენ ბანკი", რომლის კონტროლს ექვემდებარება ოთხი რეგიონალური ბანკი. მას ფილიალები გახსნილი აქვს 50 – მდე ქვეყანაში. მესამე ადგილზეა "კომერცბანკი", რომელსაც ფილიალები გახსნილი აქვს 20-ზე მეტ ქვეყანაში. ყველა რეგიონში (მიწაში) გახსნილია საანგარიშსწორებო ცენტრალური – მიწების ბანკები, რომლებიც წარმოადგენენ საჯარო-სამართლის დაწესებულებებს. ისინი ძირითადად ემსახურებიან მოცემული რეგიონს და უშუალოდ დაკავშირებული არიან გერმანიის ფედერალურ ბანკთან. შემნახველი სალაროები იმყოფებიან თემები ან თემთა გაერთიანების გამგებლობაში, მათი ძირითადი კლიენტებია დაქირავებული მუშა-მოსამსახურეები. სამართლებრივი თვალსაზრისით ისინი დამოუკიდებელი სახელმწიფო ფირმებია. ჰიპოთეკური ბანკები-კერძო საკრედიტო ინსტიტუტებია, რომლებიც გასცემენ ჰიპოთეკურ და კომუნალურ კრედიტებს. ხოლო ამისათვის საჭირო თანხებს ძირითადად აგროვებენ კომუნიკალური სესხის ობლიგაციე-

ბისა და ანაბრების მეშვეობით. სამშენებლო შემნახველ სალაროებში ანაბრები შეაქვთ იმ პირებს, რომლებიც აპირებენ ბინების შეძენას, ან სახლის მშენებლობას.

გერმანიაში მოქმედებენ სხვა სახის საფინანსო ინსტიტუტებიც, რომლებიც სპეციალიზებული არიან მომსახურების ფორმების მიხედვით. მათ შორის უდიდეს როლს ასრულებენ ს ა დ ა ზ ღ ვ ე ვ ო კომპანიები, რომლებიც ეწევიან საერთო და გრძელვადიან დაზღვევას. დაზღვევა მოსახლეობასა და მეწარმეებს იცავს რისკებისაგან. ამასთან, დაზღვევის მეშვეობით ხდება ფულადი რესურსების მობილიზაცია და მათი გამოყენება სხვადასხვა მიზნებისათვის, მათ შორის ინვესტიციების დასაფინანსებლად. გერმანიაში ამჟამად მოქმედი კანონის მიხედვით შემოღებულია სავალდებულო და ნებაყოფილებითი დაზღვევა და შესაბამისად მოქმედებს სადაზღვევო ბაზარი, რომლის ფინანსური მოცულობა საკმაოდ დიდია. მასში ადგილობრივ სადაზღვევო კომპანიებთან ერთად მონაწილეობენ უცხოური კომპანიებიც.

გერმანიის საფინანსო-ფულადი სისტემა ამ ბოლო წლებში მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის, რაც დაკავშირებულია "ევრო" შემოღებასთან. ძალიან ბევრ დადებით შედეგებთან ერთად "ევროს შემოღებამ ფასების ზრდა გამოიწვია. გერმანული მარკის მიმოქცევის დროს ფასები მყარი და სტაბილური იყო. ახალ საფინანსო პირობებთან დაკავშირებით გერმანიაში ამჟამად ტარდება ანტიინფლაციური პოლიტიკა, რომელიც ემყარება მონეტარულ და საფინანსო ზომებს, შეჩერებულების, მოიხოვნისა და მიწოდების რეგულირებას, ფასებზე ზემოქმედებას. საგადასახადო პოლიტიკა უფრო მობილური გახდა, ხოლო ფულად-საკრედიტო პოლიტიკა გარკვეულ ცვლილებებს განიცდის.

ახალი ფედერალური საბიუჯეტო პოლიტიკის მიზანია საბიუჯეტო დავალიანების აღმოფხვრა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა.

აღსანიშნავია, რომ გერმანიაში საკრედიტო დაწესებულებათა საქმიანობაზე ზედამხედველობის მიზნით შექმნილია სპეციალური ფედერალური უწყება, რომლის ადგილსამყოფელია ბერლინი. თუ რომელიმე საკრედიტო დაწესებულებას შეექმნა მძიმე ფინანსური მდგომარეობა, ამოქმედდება ანაბართა დაცვის მექანიზმები, რომლებიც შექმნილია საფინანსო-საკრედიტო სფეროში.

გერმანიის საფინანსო ბაზარი ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში. საფონდო ბირჟებში კაპიტალის ყოველწლიური ბრუნვა 4,5 ტრილიონ ევროს აღწევს. ცნობილია 8 უდიდესი ბირჟა, რომლებიც ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობენ. ესენია: ბერლინის, ბრემენის, ფრანკფურტის, დიუსელდორფის, ჰამბურგის, ჰანოვერის, მიუნხენისა და შტუტგარტის ბირჟები. აქედან უდიდესია ფრანკფურტის ბირჟა, რომელიც ნიუორკისა და ტოკიოს ბირჟების შემდეგ მესამეა მსოფლიოში. 1992 წლიდან ფრანკფურტში მოქმედებს სააქციო საზოგადოება "გერმანიის ბირჟა". გარდა ამ უდიდესი ბირჟისა ფრანკფურტში განლაგებულია ევროპის სავალუტო ინსტიტუტები, გერმანიის ფედერალური ბანკი, ასობით საკრედიტო დაწესებულებები და საბროკერო კანტორები.

გერმანიაში საფინანსო ოპერაციები ძირითადად უნაღდო ანგარიშსწორებით ხდება. უმეტეს შემთხვევებში ნაღდი ანგარიშსწორება შეცვალა გადარიცხვებმა, ჩეკებმა, საკრედიტო ბარათებმა და ელექტრონული ანგარიშსწორების სისტემებმა. მუშა-მოსამსახურეებს ხელფასი ბანკში გახსნილ ანგარიშებში ერიცხებათ. ამ ანგარიშებიდან ისინი ახდენენ ყოველგვარ

გადასახადების, მათ შორის კომუნალური გადასახადების გადახდას. ნაღდი ფულის მიღება კი ძირითადად ავტომატ-სალარო აპარატებიდან ხდება. მეანაბრეთა კონტაქტები საბანკო დაწესებულებებთან ხორციელდება აგრეთვე ტელეფონის, კომპიუტერისა და ტელეფაქსის მეშვეობით.

9. ჯანდაცვის სისტემა და სამედიცინო დახმარების ორგანიზაცია.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ჯანდაცვის არსებულ სისტემაზე. ამიტომ უკანასკნელ წლებში ჯანდაცვასა და მოსახლეობის სამედიცინო დახმარების გაუმჯობესებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ქვეყანაში არსებული პირობების შესაბამისად ჯანდაცვისა და სამედიცინო მომსახურების სხვადასხვა სისტემა გამოიყენება. საერთოდ კი ჯანდაცვის ოთხი განსხვავებული სისტემა არსებობს. ესენია: ჯანდაცვის სახელმწიფო სისტემა, კერძო სისტემა, სადაზღვევო მედიცინა და შერეული სისტემა.

გერმანიაში ჯანმრთელობის დაცვის მრავალდარგოვანი და სოციალურად მყარი სისტემა არსებობს. მას არაცენტრალიზებული სტრუქტურა აქვს და დამოუკიდებლობისა და თვითმმართველობის პრინციპებზეა დაფუძნებული. შესაბამისად სამედიცინო დაწესებულებები ეკუთვნის სახელმწიფოს, თემებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, უმთავრესად საეკლესიო გაერთიანებებს და კერძო პირებს. ქვეყანაში 3600 მეტი საავადმყოფოა. სადაც 850 ათასზე მეტი საწოლია. ყოველ 320 მცხოვრებზე საშუალოდ ერთი ექიმი მოდის. გერმანია მსოფლიოში გამოირჩევა სამე-

დიცინო მეცნიერებისა და სამედიცინო მომსახურების მაღალი დონით. მაგრამ სამედიცინო მომსახურება საკმაოდ ძვირია. ამიტომ გერმანელ სპეციალისტებს სამედიცინო დახმარების ეკონომიკურად მიზანშეწონილ და სოციალურად გამართლებულ ფორმად მიაჩნიათ სადაზღვევო მედიცინა. ეს სისტემა გულისხმობს ყველა მომუშავეთა სავალდებულო სამედიცინო დაზღვევას.

სამედიცინო დაზღვევის ამჟამად მოქმედი კანონის მიხედვით ყველა მომუშავე თავისი ხელფასიდან იხდის გარკვეულ თანხას. მისი ოდენობა დამოკიდებულია დაზღვეულის ასაკზე (წლოვანების ზრდასთან ერთად იზრდება გადასახდელი თანხის პროცენტი). ასევე კმაყოფაზე მყოფი პირების რაოდენობაზე. ამჟამად ავადმყოფობაზე დაზღვეულთა საშუალო სადაზღვევო შესატანი შეადგენს ხელფასის 13,4 %. სამედიცინო დაზღვევის თანხას იხდიან აგრეთვე დამქირავებლებიც. გარდა სავალდებულო სამედიცინო დაზღვევისა არსებობს აგრეთვე ნებაყოფლობითი დაზღვევაც. ყველა დაზღვეული ღებულობს სათანადო პოლისს, რომელიც მის მფლობელს უფლებას აძლევს ავადმყოფობის შემთხვევაში მიმართოს სამედიცინო დაწესებულებას და მისგან მიიღოს უფასო სამედიცინო დახმარება. ამბულატორული და სტაციონალური სამედიცინო დახმარებები წამლების ჩათვლით უფასოა. მაგრამ ზოგჯერ ძვირადღირებულ ქირურგიულ მკურნალობაზე პაციენტს უხდება დამატებით ფულის გადახდა. შრომის უნარის დროებით დაკარგვის შემთხვევაში ავადმყოფები ღებულობენ ფულად დახმარებებს. ხოლო ავადმყოფობის გამო სამუშაოდან წასვლის შემთხვევაში დაზღვეულებს ენიშნებათ პენსია არსებული კანონის შესაბამისად.

გერმანიაში არსებული სადაზღვეეო სისტემა სამე-

დიცინო დაზღვევის გარდა მოიცავს აგრეთვე დაზღვევის სხვა ფორმებსაც, როგორიცაა: უბედურ შემთხვევაზე დაზღვევა, საპენსიო დაზღვევა, უმუშევრობაზე დაზღვევა. ასე რომ მოქმედი სადაზღვევო სისტემები მოქალაქეთა სოციალურად დაცვის გარანტიას იძლევა. მაგრამ ამისათვის მუშა-მოსამსახურეები ყოველთვიურად საკმაოდ დიდ თანხას იხდიან, რაც ზოგიერთების, განსაკუთრებით ახალგაზრდების უკმაყოფილებასაც იწვევს.

ქვეყანაში ჯანმრთელობის დაცვა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სამკურნალო საშუალებათა ხარისხზე და უსაფრთხოებაზე. ამ საკითხს გერმანიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. კანონში სამკურნალო საშუალებათა შესახებ აღნიშნულია, რომ წამლების მოხმარებაში გაშვება დასაშვებია მხოლოდ მისი სათანადოდ შემოწმებისა და საიმედობის დადგენის შემდეგ. ამასთან, მომხმარებელთა დაცვის მიზნით სამკურნალო საშუალებები მათი ექსპლოატაციაში გაშვების შემდეგაც მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. რაიმე ხიფათის გამოვლენის შემთხვევაში ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები დროულად ღებულობენ სათანადო ზომებს.

ჯანმრთელობის დაცვის სამსახურების მოვალეობას შეადგენს აგრეთვე ქვეყანაში სანიტარულ-ჰიგიენური და პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება და სანიტარული განათლების ორგანიზაცია. ამ მიზნით იქმნება სანიტარული დახმარების სამსახურები. გერმანიაში ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკას საფუძვლად უდევს პრინციპი – "პროფილაქტიკა სჯობს მკურნალობას." საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა თითოეული პიროვნების პირადი საქმეა. მან თვითონ უნდა იცოდეს თავის გაფრთხილება და უნდა დაიცვას საკუთარი ჯანმრთელობა მავნე ზემოქმედე-

ბისაგან. მაგრამ ამასათან სახელმწიფოსა და საზოგადოების ვალია ყველა მოქალაქეს სათანადო პირობები შეუქმნას ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და მისი აღდგენისათვის. ამ მიზნით ტარდება სათანადო გამოკვლევები ავადმყოფობის პროფილაქტიკის, ასევე მისი დროული გამოვლინების მიზნით. პროფილაქტიკას გერმანიის ჯანდაცვის სისტემაში წამყვანი ადგილი უკავია. მას ითვალისწინებს სამედიცინო დაზღვევის სისტემა.

გერმანია აქტიურად მონაწილეობს ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ღონისძიებებში. იგი არის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი. ამ ორგანიზაციაში საწევრო შესატანთა ოდენობის მიხედვით მესამე ქვეყანაა მსოფლიოში.

გერმანელ მეცნიერთა აზრით ჯანმრთელობის დაცვის ნაციონალური სისტემა პროგრესულია, მაგრამ საკმაოდ ძვირია. სამედიცინო მკურნალობა ძვირადღირებული მომსახურება. ამიტომ მისი უმთავრესი პრობლემაა ზომიერი და ყველასათვის მისაღები დაფინანსების უზრუნველყოფა.

მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესების საქმეში დიდ როლს ასრულებს ადგილობრივი კ ურ ო რ ტ ე ბ ი და "დ ა ს ვ ე ნ ე ბ ი ს ი ნ დ უ ს ტ რ ი ა ". მართალია, გერმანიის ტერიტორია არ გამოირჩევა საუკეთესო კლიმატური და ბალნეოლოგიური გარემო პირობებით, მაგრამ დასვენებისა და მკურნალობისათვის ფართოდ გამოიყენება აქაური ზღვისა და მთის ჰავის სამკურნალო თვისებები. ასევე სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსები და "დასვენების ინდუსტრია". ამ მხრივ აღსანიშნავია ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვების პლაჟები, ბავარიის ალპები და ტბები, ტბათა მხარეები და ა.შ. საერთოდ

გერმანიაში ძალიან ბევრია სამკურნალო დაწესებულებები და დასასვენებელი სახლები.

10. განათლების სისტემა.

ეკონომიკის განვითარების დაჩქარება მოითხოვს მაღალკვალიფიკაციურ კადრებს, რომელთა მომზადებაზე უდიდეს გავლენას ახდენს ქვეყანაში არსებული განათლების სისტემა. ამიტომ ამჟამად განათლების არსებული სისტემის შემდგომ სრულყოფასა და განვითარებას ყველა ქვეყანაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. განათლების ხარჯები განუხრელად იზრდება. ბევრ ქვეყანაში განათლებაზე იხარჯება მოლიანი შიდა პროდუქტის 5-6%. გერმანიაში ეს მაჩვენებელი 2000წ. 5 % აღწევდა.

გერმანიის განათლების თანამედროვე სისტემა მ რ ა ვ ა ლ ს ა ფ ე ხ ურ ი ა ნ ი ა და შედგება დაწყებითი, საშუალო და შემდგომი განათლების საფეხურებისაგან. ქვეყნის ძირითადი კანონის მიხედვით გერმანიის ყველა მოქალაქეს უფლება აქვს თვითონ აირჩიოს სკოლა და პროფესია თავისი უნარისა და შესაძლობების მიხედვით. ამავე კანონის მე-7 მუხლის თანახმად სასკოლო განათლების მთელ სისტემას კონტროლს უწევს სახელმწიფო. მაგრამ ქვეყნის ფედერაციული მოწყობის გამო კომპეტენციები განათლების სისტემაში განაწილებულია ფედერაციასა და მიწებს შორის. თუმცა, განათლების სფერო ძირითადად მაინც მიწების კომპეტენციაში შედის. ამჟამად მოქმედი კანონის მიხედვით, გერმანიაში სავალდებულო სასკოლო განათლება ვრცელდება ყველა მოზარდზე 6-18 წლამდე და გრძელდება 12-13 წელიწადს. სავალდებულო სწავლების კანონის მიხედვით

მოსწავლემ 9-10, ზოგიერთ მიწაში 10 წელიწადი უნდა ისწავლოს საშუალო სკოლაში სრული სასწავლო კვირით. ხოლო დანარჩენ 2-3 წელიწადში 'შეუძლია არასრული სასწავლო კვირით სწავლა გააგრძელოს პროფესიულ სასწავლებლებში. სწავლება ყველა სახელმწიფო სკოლაში უფასოა. ნაწილობრივ, უფასოა აგრეთვე სახელმძღვანელოებიც (მშობელთა შემოსავლების მიხედვით). სამღვთო რჯულის სწავლა სავალდებულო არაა, თავიდან მას წყვეტს მშობელი, ხოლო 12 წ-დან თვითონ მოსწავლე.

სკოლამდელი აღზრდა ხორციელდება ს ა ბ ა ვ შ ვ ო ბ ა ღ ე ბ შ ი. მაგრამ საბავშვო ბაღები არ შედიან სახელმწიფო სასკოლო განათლების სისტემაში. ისინი ძირითადად ეკუთვნის ეკლესიებსა და თემებს, ნაწილობრივ საწარმოებსა და სხვადასხვა კავშირებს. საბავშვო ბაღებში მიიღებიან ბავშვები 3-წ.-ს ასაკიდან, სადაც მათი სკოლისათვის მომზადება ხდება. სკოლამდელი აღზრდა და სწავლება გრძელდება 3 წელიწადი. როგორც წესი, ბავშვები იქ იმყოფებიან სადილამდე. მხოლოდ ზოგიერთ ბაღში ისინი შეიძლება იყვნენ მთელი დღე. საბავშვო ბაღების დამთავრება სავალდებულო არაა. საბავშვო ბაღები ფასიანია. მშობლები საბავშვო ბაღს თავიანთი შემოსავალთა ოდენობის მიხედვით უხდიან გარკვეულ თანხას.

სასკოლო განათლების პირველი საფეხურია დ ა წ ყ ე ბ ი თ ი ს კ ო ლ ა. სადაც, ბავშვები სწავლას იწყებენ 6 წლის ასაკიდან. ჩვეულებრივ დაწყებითი სკოლაში სწავლა 4 წელიწადს გრძელდება. მხოლოდ ბერლინსა და ბრანდენბურგში დაწყებითი განათლება ექვსწლიანია. ბევრ მიწაში პირველი ორი წელიწადი აკადემიური წარმატების ნიშნები არ იწერება. მხოლოდ აკადემიური მოსწრების საერთო დახასიათება ხდება. დაწყებითი სკოლის დამთავრების

შემდეგ მოსწავლეები გადადიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მეორე საფეხურზე. სადაც, რამდენიმე ტიპის სკოლაა. მათ შორის არის ძირითადი სკოლა, რეალური სკოლა, გიმნაზია და გაერთიანებული სკოლა.

ძ ი რ ი თ ა დ ს კ ო ლ ა შ ი სწავლის ხანგრძლივობა 5-6 წელიწადია. ეს სკოლა იძლევა საერთო განათლებას. აქ ისწავლება გერმანული ენა, მათემატიკა, საბუნებისმეტყველო საგნები, საზოგადოებათმცოდნეობა, და უცხო ენა (ძირითადად ინგლისური ენა). აქვე მოსწავლეებს უტარდებათ შრომის გაკვეთილი. ძირითად სკოლაში სწავლის პერიოდში მოსწავლეებს შეუძლიათ პარალელურად ისწავლონ პროფესიულ სკოლაში ან მისი დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელონ პროფესიულ სკოლაში.

რ ე ა ლ უ რ ს კ ო ლ ა შ ი სწავლის ხანგრძლივობა 6 წელიწადია. იგი ძირითადი სკოლისა და გიმნაზიის შუა დონის სასწავლებელია და უფრო ფართო ზოგად განათლებას იძლევა, ვიდრე ძირითადი სკოლა. მისი დამთავრების შემდეგ მოსწავლე ღებულობს საშუალო განათლების მოწმობას, რაც სასკოლო განათლების მესამე საფეხურის სასწავლებლებში (ტექნიკუმი, პროფსასწავლებელი) სწავლის გაგრძელების უფლებას იძლევა.

გ ი მ ნ ა ზ ი ა შ ი სწავლის ხანგრძლივობა 9 წელიწადია და იგი იძლევა უფრო ფართო საერთო განათლებას. ამჟამად გიმნაზიის დაყოფა პროფილის მიხედვით არ ხდება, მაგრამ დამთავრებულ კლასებში შემოღებულია სწავლების საკურსო (საპროფილო) სისტემა. რომელმაც შეცვალა პროფილის მიხედვით კლასების დაყოფა. ამასთან, მოსწავლეებს შეუძლიათ აირჩიონ საგნები და აიმაღლონ ცოდნა, რომელიმე სპეციალობაში. სწავლა გიმნაზიაში მთავრდება სიმწიფის

ატესტატზე გამოცდების ჩაბარებით. გამოცდა ბარდება 4 საგანში. ასე რომ 13 წლიანი სწავლისა (4 მიწაში 12 წლიანი სწავლით) და სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩაბარების შემდეგ მოსწავლეებზე გაიცემა საშუალო განათლების მესამე ეტაპის მოწმობა., რომელიც ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელების უფლებას იძლევა.

გ ა ე რ თ ი ა ნ ებ უ ლ სკ ო ლ ა შ ი სწავლის ხანგრძლივობა 6 წელიწადია. (5-10კლასები). ზოგიერთ მათგანს აქვს კიდევ დამატებითი კლასები, გიმნაზიის ბოლო კლასების ანალოგიურად. გაერთიანებული სკოლა პედაგოგიური და ორგანიზაციული თვალსაზრისით აერთიანებს ძირითადი სკოლის, რეალური სკოლისა და გიმნაზიის ელემენტებს. აქ ცალკეული საგნების სწავლება ხდება საკურსო სისტემით. ხოლო ყოველ კურსზე, მოთხოვნების დონე განისაზღვრება იმის მიხედვით თუ რომელი მოწმობის (ძირითადი სკოლის, რეალური სკოლის თუ გიმნაზიის ბოლო კლასებში სწავლის გაგრძელების უფლების) აღება სურს მოსწავლეს.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი სკოლებისა ზოგიერთ მიწებში გახსნილია სხვა ტიპის სკოლებიც. რომლებშიაც ძირითადი და რეალური სკოლების სწავლების პრინციპებია გაერთიანებული. ისინი გასცემენ მეორე ეტაპის სკოლების შესაბამის მოწმობებს. ბევრგან გახსნილია აგრეთვე საღამო სკოლები, გიმნაზიები, რომლებიც მომუშავე პირებს შესაძლებლობას აძლევს მოემზადონ და ჩააბარონ გამოცდები სიმწიფის ატესტატზე.

დიდი ყურადღება ექცევს მოზარდთა პ რ ო ფ ე ს ი უ ლ განათლებას, რასაც ემსახურება პროფესიული სკოლების ფართო ქსელი. ძირითადი და რეალური სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდები

სწავლას აგრძელებენ პროფესიულ სკოლებში. თავის მხრივ პროფესიული სასწავლებლები სხვადასხვა ტიპისაა. უფრო ეფექტურია ე.წ. დუალური სისტემა, რომელიც განათლებას ორად ჰყოფს. პრაქტიკულ მუშაობად და თეორიულ სწავლებად სკოლაში. ამ დროს მოსწავლე ერთ ან ორ დღეს სკოლაში სწავლობს, დანარჩენ დღეებში კი საწარმოში მუშაობს და პრაქტიკულ ცოდნას ღებულობს. გერმანიაში საერთოდ მოსწავლეთა ნახევარზე მეტი სწავლას პროფესიულ სკოლაში აგრძელებს. განსაკუთრებით პოპულარულია პრესტიჟულ სპეციალობათა შესწავლა, რომლებშიაც შრომის ანაზღაურება მაღალია.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ბოლო პერიოდში გერმანიის სასკოლო განათლების სისტემა კრიტიკას განიცდის. განსაკუთრებით სწავლის ხანგრძლივობის თვალსაზრისით. კრიტიკოსები მოითხოვენ გიმნაზიაში სწავლის ხანგრძლივობის შემცირებას 13-დან 12 წლამდე. მართლაც, რამდენიმე მიწაში ეს მოთხოვნა უკვე შესრულდა.

გერმანიის უ მ ა ღ ლ ე ს ი გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს სისტემაში შედის უნივერსიტეტები და მათთან გათანაბრებული სხვადასხვა ტიპის უმაღლესი სასწავლებლები. მაგრამ უმაღლესი განათლების სისტემაში მთავარ როლს ასრულებს უნივერსიტეტები. გერმანია უნივერსიტეტების უძველესი ქვეყანაა. აქ პირველი უნივერსიტეტი გაიხსნა 1386 წელს, ქ. ჰაიდელბერგში. ასევე უძველესი უნივერსიტეტებია: კელნის (დაარსდა 1388წ), ლაიბციგის(1409), როსტოკის (1419), მიუნხენის (1471). მათთან ერთად ბევრია ახალი უნივერსიტეტები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომისშემდგომ წლებში გაიხსნა. ქვეყანაში არის 263 უმაღლესი სასწავლებელი, მათ შორის 90 უნივერსიტეტი. უნივერსიტეტებს უფრო მეტად ჰუმანიტარული მიმართულება აქვს. სწავ-

ლის ხანგრძლივობა 12 სემესტრია (6წელიწადი). სწავლება მთავრდება სახელმწიფო გამოცდების ჩაბარებით და მაგისტრის წოდების მინიჭებით. შესაძლებელია აგრეთვე სწავლის შემდგომი გაგრძელებაც, ასპირანტურის დამთავრებამდე ან საკანდიდატო დისერტაციის დაცვამდე. არსებობს სწავლების სხვა ციკლიც, რომელიც მთავრდება მაგისტრის წოდებაზე ან მეცნიერებათა კანდიდატის გამოცდების ჩაბარებით.

სპეციალიზებულ უმაღლეს სასწავლებლებს უფრო მეტი პრაქტიკული მიმართულება აქვს. მაგ: საინჟინრო საქმის, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, მედიცინის, კულტურის დარგების სპეციალობათა მიმართულებები. ისინი უფრო ახალგაზრდა და ამჟამად გერმანიაში ძალიან პოპულარული უმაღლესი სასწავლებლებია, სადაც სწავლის ხანგრძლივობა უფრო ნაკლებია (4-5 წელიწადი). აქ სწავლება მთავრდება სადიპლომო შრომის დაცვით.

გერმანიაში უმაღლესი სასწავლებლები ზოგიერთის გამოკლებით მიწების გამგებლობაში იმყოფება. მაგრამ უმაღლესი განათლების რიგი საკითხების გადაწყვეტა მიწებისა და ფედერაციის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხდება. როგორც წესი, უმაღლეს სასწავლებლებს თვითმმართველობის უფლება აქვს და ქვეყანაში მოქმედი კანონების ფარგლებში ისინი მოქმედებენ საკუთარი წესდების მიხედვით. უმაღლეს სასწავლებელს ხელმძღვანელობს რექტორი ან პრეზიდენტი. მაგრამ მის მართვაში მონაწილეობას ღებულობს პროფესორ-მასწავლებლები, თანამშრომლები და სტუდენტები. ისინი ირჩევენ რექტორს ან პრეზიდენტს. ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში მოქმედებს სტუდენტთა თვითმმართველობაც. 2003 წლისათვის გერმანიაში ითვლებოდა 1,9 მილიონი სტუდენტი.

ასევე თავისებურია უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესიც. აქ უმაღლესში სწავლის გაგრძელების მსურველებმა მიმღებ კომისიას უნდა წარუდგინონ სიმწიფის ატესტატი (საშუალო განათლების მესამე საფეხურის დამთავრების მოწმობა). აბიტურიენტთა სიმრავლისა და ზოგიერთ სპეციალობაში მისაღები ადგილების არასაკმარისობის დროს მომავალი სტუდენტის შერჩევა ხდება სიმწიფის ატესტატის ნიშნების საშუალო ქულის, სიმწიფის ატესტატებზე გამოცდების ჩაბარებისა და უმაღლესში განცხადების შემოტანიდან გასული დროის მიხედვით, აგრეთვე გასაუბრების მიხედვით.

უმაღლესი სასწავლებელი მუშაობს სასწავლო გეგმის მიხედვით და აუცილებელია სემესტრის მიხედვით შუალედური გამოცდების ჩაბარება. მაგრამ ბევრ სასწავლო საგანს და მეცადინეობის ფორმას თვითონ სტუდენტი ირჩევს. სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში სწავლება უფასოა, ამასთან, სტუდენტებს უფლება აქვთ მიიღონ დახმარება სტიპენდიის ან უპროცენტო სესხის სახით. სესხი მათ ეძლევათ 5 წლის ვადით. ასევე ხდება სტუდენტთა დაზღვევა, შეღავათიანი განაკვეთით. რაც მათ უფასო სამედიცინო დახმარების მიღების უფლებას აძლევს. სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ აგრეთვე საერთო საცხოვრებლითაც, სადაც ბინის ქირა მნიშვნელოვნად დაბალია. მიუხედავად ასეთი შეღავათებისა გერმანიაში სტუდენტთა ნახევარზე მეტი სწავლასთან ერთად მაინც მუშაობს.

აღსანიშნავია, რომ გერმანიაში განუხრელად იზრდება უცხოელ სტუდენტთა და მოსწავლეთა რაოდენობა. ეს განპირობებულია იმით, რომ გერმანიის უმაღლესი და სპეციალური სასწავლებლების რეპუტაცია საკმაოდ მაღალია. ამასთან, ადგილობრივი კა-

ნონმდებლობა და ხელისუფლება ხელს უწყობენ უცხოელთა გერმანიაში სასწავლად ჩამოსვლას. ამჟამად გერმანიის უმაღლეს სასწავლებლებში 224 ათასამდე უცხოელი სწავლობს.

გერმანიის უმაღლესი სასწავლებლები ამავე დროს მნიშვნელოვან ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო -კ ვ ლ ე ვ ი თ ც ე ნ ტ რ ე ბ ს ა ც წარმოადგენენ. სამეცნიერო მუშაობა კი თავის მხრივ ხელს უწყობს პროფესორ - მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებას და ქვეყანაში სამეცნიერო მუშაობის საერთო დონის ზრდასაც. უმაღლესი სასწავლებლების გარდა გერმანიაში ძალიან ბევრია სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები, ინსტიტუტები, ლაბორატორიები, რომლებიც განათლებისა და მეცნიერების ფედერალურ სამინისტროს ექვემდებარება. აგრეთვე კორპორაციებს აქვთ საკუთარი სამეცნიერო ცენტრები, კვლევითი ინსტიტუტები, ჰყავთ კვალიფიციური კადრები. მაგრამ ამ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფო კვლევით ცენტრები და ინსტიტუტები. გაიზარდა მათი დაფინანსება. გერმანელი მეცნიერები და სპეციალისტები მონაწილეობენ საერთაშორისო სამეცნიერო - კვლევით სამუშაოებში. გერმანიას 30-ზე მეტ ქვეყანასთან დადებული აქვს ხელშეკრულება ერთობლივი სამეცნიერო კვლევითი მუშაობის ჩატარების შესახებ. ქვეყანაში მეცნიერულ მუშაობას ხელმძღვანელობას უწევს განათლების, მეცნიერების, კვლევისა და ტექნოლოგიების ფედერალური სამინისტრო.

თავი IV.
გერმანიის სახელმწიფო წყობილება და პოლიტიკური კულტურა

1. სახელმწიფო წყობილება

თვითეულ ქვეყანას სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობისა და მმართველობის ორიგინალური ფორმა გააჩნია, რომელიც მოცემული ქვეყნის ისტორიული, პოლიტიკური, ეთნიკური და სხვა თავისებურებებიდან გამომდინარეობს. მაგრამ ეს ორიგინალური ფორმები საბოლოოდ მაინც ორ ძირითად მოდელამდე - ფედერალურ და უნიტარულ სახელმწიფომდე დაიყვანება. გამოყოფენ აგრეთვე მესამე ფორმასაც - კონფედერაციას, რომელიც სახელმწიფოთაშორისო სამართლებრივი კავშირია.

გერმანიის ტერიტორიული მოწყობისა და მმართველობის ფორმები განსაზღვრულია „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონით". ეს კანონი შედგენილი იქნა 1949 წელს, არა როგორც ქვეყნის საბოლოო კონსტიტუცია, არამედ როგორც დროებითი ძირითადი კანონი ქვეყანაში ახალი თავისუფალ-დემოკრატიული წესრიგის შექმნისათვის. ძირითადი კანონის დამფუძნებლები გახდნენ დასავლეთის ქვეყნების საოკუპაციო ზონების მიწათა ლანდტაგები (მიწების პარლამენტები), რომლებიც 1948 წელს შეიქმნა. ამავე წელს ლანდტაგების მიერ არჩეულ იქნა საპარლამენტო საბჭო, კონრად ადენაუერის თავჯდომარეობით. საბჭომ შეადგინა ქვეყნის ძირითადი კანონის პროექტი, რომელიც განიხილეს და მოიწონეს მიწების ლანგტაგებმა. შემდეგ იგი განიხილა საპარლამენტო საბჭომ და 1949 წლის 23 მაისს მიღე-

ბული იქნა „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი". გერმანიის გაერთიანების შემდეგ ძირითად კანონში შეტანილ იქნა რიგი ცვლილებები.

გერმანია სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობისა და მმართველობის თვალსაზრისით ფედერალური სახელმწიფოა. ფედერალიზმი ეს არის პოლიტიკური გაერთიანება, რომელშიც ხელისუფლება დანაწილებულია ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის და თვითეული მათგანი ინარჩუნებს სახელმწიფოებრიობას. ასე რომ ერთ და იმავე ტერიტორიაზე ვრცელდება ორი ხელისუფლების იურისდიქცია. მაგრამ ფედერალური და ფედერაციის სუბიექტების სახელმწიფო ორგანოები დამოუკიდებლად მოქმედებენ მხოლოდ მათთვის კონსტიტუციით მიკუთვნებულ სფეროებში. როგორც წესი, ფედერალურ სახელმწიფოში კომპეტენციები მთლიანად ფედერაციასა და მის სუბიექტებს შორის განაწილებულია და გამიჯნულია კონსტიტუციურად. ამიტომ ფედერაციულ სახელმწიფოში არც ცენტრალური ხელისუფლება და არც სუბიექტები ხელისუფლებას სრული ფორმით არ ფლობენ. ისინი ერთმანეთს ავსებენ.

ფედერაციული სახელმწიფოები შეიძლება შეიქმნას ტერიტორიული და ეროვნული ნიშნის მიხედვით. ფედერაციულ სახელმწიფოთა უმრავლესობა ტერიტორიული პრინციპითაა შექმნილი. ასეთებია მაგალითად: აშშ, გფრ, ბრაზილია. ავსტრალია, ავსტრია და ა.შ. ხოლო ეროვნული ნიშნის მიხედვით შექმნილი ფედერაციები არასაიმედოა და ხშირად დაშლით თავდება, როგორც ეს მოუვიდა იუგოსლავიას და ჩეხოსლოვაკიას.

გერმანია არის ტერიტორიული პრინციპით ორგანიზებული ფედერალური სახელმწიფო. ამჟამად მის

შემადგენლობაში შედის 16 მიწა. გერმანიის მიწებად დაყოფას დიდი ხნის ისტორია აქვს. მაგრამ არსებული დაყოფა მეორე მსოფლიო ომისშემდგომ წლებში მნიშვნელოვნად შეიცვალა. პრუსია- ყველაზე დიდი მიწა გაუქმდა. ხოლო დასავლეთის ქვეყნების ზონების გაერთიანების შედეგად შეიქმნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და მის შემადგენლობაში შევიდა 10 მიწა და დასავლეთი ბერლინი. საბჭოთა საოკუპაციო ზონაში კი შეიქმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და მის შემადგენლობაში 5 მიწა დარჩა. მაგრამ შემდგომ წლებში გდრ-ის ტერიტორიული დაყოფა შეიცვალა. ნაცვლად მისი მიწებად დაყოფისა შემოღებულ იქნა ოლქებად დაყოფა (შეიქმნა 15 ოლქი). გერმანიის გაერთიანების შემდეგ აღმოსავლეთ გერმანიაში აღდგენილ იქნა ტერიტორიის ძველი დაყოფა და შეიქმნა 5 მიწა: ბრანდენბურგი, მეკლენბურგ – წინა ფომერანია, საქსონია, საქსონია-ანჰალტი და თიურინგია. ხოლო აღმოსავლეთი ბერლინი დასავლეთ ბერლინს შეუერთდა და ბერლინი მიწა-ქალაქი გახდა.

გერმანია მონონაციონალური სახელმწიფოა. ქვეყანაში არ არის ისეთი ტერიტორია, სადაც ეთნიკური უმცირესობები კომპაქტურად იყვნენ დასახლებული. ყოველივე ეს კარგ პირობებს ქმნის წარმატებული ფედერირებისათვის. მაგრამ იმისათვის, რომ შენარჩუნებულ იქნას სახელმწიფოებრივი ერთიანობა აუცილებელია ფედერაციისა და მიწების კონსტიტუციური წყობების შესაბამისობაში მოყვანა, რასაც უზრუნველყოფს ქვეყნის ძირითადი კანონი.

გერმანიაში როგორც ცენტრალური ხელისუფლება ისე მიწები ფლობენ კონსტიტუციით მათთვის მინიჭებულ სუვერენულ უფლებებს და გააჩნიათ საკუთარი პარლამენტები და მთავრობა. მაგრამ ფედერა-

ლური კონსტიტუცია არ განსაზღვრავს მიწების კონ-
სტიტუციურ წყობას. ამიტომ ყველა მიწას აქვს საკუ-
თარი კონსტიუცია, რომელიც განსაზღვრავს მის სა-
ხელმწიფო წყობას. მიწების კონსტიტუციებითაა გან-
საზღვრული აგრეთვე მათი ტერიტორიული მოწყობა
და თვითმმართველობის ორგანიზაციაც. მაგრამ, მთლი-
ანად მიწების ხელისუფლების ინსტიტუტები ჰგავს ფე-
დერალურ ხელისუფლებას.

კონსტიტუციის შესაბამისად მხოლოდ ფედერაციი-
ის კომპეტენციაში შედის კანონმდებლობა შემდეგ
საკითხებზე: საპასპორტო საქმე, იმიგრაცია, საფინან-
სო რეგულირება, ფულის ემისია, ზომა-წონის ეტალო-
ნები, ფედერალური სარკინიგზო და საჰაერო ტრან-
სპორტი, ფოსტა და კავშირგაბმულობა, ფედერალური
სახელმწიფო სამსახური, საავტორო და საგამომცემ-
ლო საქმიანობა, საბაჟო რეგულირება, ფედერალური
სტატისტიკა. გარდა ამისა არსებობს ე.წ. კონკურირე-
ბადი კომპეტენციის სფერო, რომელშიაც როგორც ფე-
დერაციას ასევე მიწებს უფლება აქვთ მიიღონ საკა-
ნონმდებლო აქტები. ასეთებია მაგალითად სამოქა-
ლაქო და სისხლის სამართალი, ადვოკატურა, ნოტა-
რიუსი, ანტიმონოპოლური კანონმდებლობა, ექსპორტ-
იმპორტი, სანაპიროს დაცვა: საგზაო მოძრაობა, ავტო-
ინსპექცია და ა.შ. ამ საკითხებზე მიწებს უფლება
აქვთ მიიღონ საკანონმდებლო აქტები, მანამდე სანამ
ფედერალური ხელისუფლება არ გამოიყენებს თავის
საკანონმდებლო უფლებამოსილებას ამ სფეროში.

ასევე გამიჯნულია ფედერაციისა და მიწების უფ-
ლებამოსილებები ფინანსების სფეროშიც. ფედერა-
ციას მიეკუთვნება შემოსავლები შემდეგი გადასახა-
დებებისაგან: საბაჟო გადასახადები, სატვირთო ავტო-
მობილებზე გადასახადი, კაპიტალბრუნვის გადასახა-
დი, საზღვაო გადასახადი, გადასახადი გაცვლითი ოპე-

რაციისაგან, საშემოსავლო და კორპორაციებისაგან გადასახადის დამატებითი მოსაკრებლები. ხოლო მიწებს მიეკუთვნება გადასახადები: საკუთრების, სამემკვიდრეო, ავტომობილებზე, სატრანსპორტო, ლუდის, სათამაშო ბიზნესის გადასახადი. ზოგიერთი გადასახადი ნაწილდება ფედერაციასა და მიწებს შორის.

ქვეყანაში მართლმსაჯულება ხორციელდება უპირველეს ყოვლისა მიწების სასამართლოების მიერ. ფედერაცია ქმნის მხოლოდ 5 უმაღლეს ინსტანციის სასამართლოს. ესენია: ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, ფედერალური უმარლესი სასამართლო, ფედერალური შრომითი დავების, ფედერალური ადმინისტრაციული და საფინანსო სასამართლო.

ამასთან უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფედერაციისა და მიწების უფლებამოსილებები ხშირ შემთხვევაში ისეა გადაჯაჭვული, რომ რაიმე გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ხდება ურთიერთშეთანხმება. ამასთან დაკავშირებით შექმნილია მრავალი სახის საკოორდინაციო საბჭოები, რომლებსაც შეუძლიათ მიიღონ დირექტიული გადაწყვეტილებები.

გერმანია ქვეყნის ფედერალური მოწყობის კლასიკურ ქვეყნად ითვლება. მასში კარგადაა გათვალიწინებული ქვეყნის გეოგრაფიული, სამეურნეო, ეკონომიკური, ეთნოგრაფიული, კულტურული და სხვა სპეციფიკური ნიშნები. არსებული პირობების შესაბამისად გერმანიაში შექმნილ იქნა ხელისუფლების სამი დონე: ფედერალური ანუ ცენტრალური, ფედერაციის სუბიექტების (მიწების) ხელისუფლება და ადგილობრივი თვითმმართველობა ოლქების, საოლქო ქალაქებისა და თემების დონეზე. ხელისუფლების ამ ვერტიკალურ დანაწილებასთან ერთად ფედერაციული წყობა გულისხმობს აგრეთვე ხელისუფლების ჰორიზონტალურ დანაწილებასაც ანუ ფუნქციების გამიჯვნას სა-

კანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოებს შორის. ძალაუფლების ასეთი დანაწილება არსებობს სახელმწიფო მმართველობის ყველა დონეზე (ცენტრალურ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეებზე). როგორც გამოცდილება გვიჩვენებს ქვეყანაში ძალაუფლება უსათუოდ ბევრ მატარებელზე უნდა იყოს განაწილებული. ძალაუფლების კონცენტრაცია და მასზე კონტროლის უქონლობა მის ბოროტად გამოყენებას იწვევს და მოქალაქეთა უფლებებს ზღუდავს. ამიტომ თანამედროვე პირობებში ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში ძალაუფლება დანაწილებულია.

2. გერმანიის ხელისუფლების ფედერალური (უმაღლესი) ორგანოები

გერმანიაში სახელმწიფო ხელისუფლების ფედერალური (უმაღლესი) ორგანოებია: პარლამენტი, ფედერალური პრეზიდენტი. ფედერალური მთავრობა და უმაღლესი სასამართლო ხელისუფლება. მმართველობის ეს ორგანოები ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული.

პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ი

გერმანიის ფედერალური სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში წამყვანი როლი ეკუთვნის პარლამენტს-ბუნდესტაგს, რომელიც არის მთელი ხალხის წარმომადგენლობითი და უმღლესი საკანონმდებლო ორგანო. მაგრამ ბუნდესტაგთან ერთად ფედერაციის საკანონმდებლო საქმიანობასა და მართვაში მონაწილეობის მისაღებად მიწების მთავრობე-

ბის წევრებისაგან იქმნება ბუნდესრატი, რომელიც ფაქტიურად პარლამენტის მეორე პალატაა. კანონების მიღების დროს ბუნდესტაგი თანამშრომლობს ბუნდესრატთან. ამასთან, ბუნდესრატს, როგორც მიწების მთავრობათა წარმომადგენლობას ცალკეულ შემთხვევაში შეუძლია ბუნდესტაგის მიერ მიღებულ კანონში ცვლილებების შეტანა.

ბ უ ნ დ ე ს ტ ა გ ი

გერმანიის უმაღლესი წარმომადგენლობით ორგანო არის ბუნდესტაგი, რომელსაც ხალხი ირჩევს ოთხი წლის ვადით. ბუნდესტაგის უმთავრესი ამოცანაა კანონების მიღება და მთავრობის საქმიანობაზე კონტროლი. პლენარულ სხდომაზე ბუნდესტაგი ირჩევს თავმჯდომარეს, მის სამ მოადგილეს, გამგეობას, უხუცესთა საბჭოს, პარტიულ ფრაქციებსა და კომიტეტებს.

თავმჯდომარეს ირჩევენ ბუნდესტაგის უფლებამოსილების ვადით. არჩევის შემდეგ იგი ხელშეუხებელია, მისი გადაყენება არ შეიძლება, თუ თავისი ნებით არ გადადგა. თავმჯდომარეს დიდი უფლებები გააჩნია. თავმჯდომარე და მისი მოადგილეები ქმნიან პრეზიდიუმს, ხოლო გამგეობაში გარდა პრეზიდიუმის წევრებისა შედიან აგრეთვე ფრაქციების წარმომადგენლები, რომლებსაც ბუნდესტაგი ირჩევს. პარტიული ფრაქციების შესაქმნელად კი არანაკლები 15 მანდატია საჭირო. ბუნდესტაგი ქმნის მუდმივ კომიტეტებს, მათი რაოდენობა 20-ზე მეტია. კომიტეტებში წევრთა რაოდენობა სხვადასხვაა. ყველაზე მრავალრიცხოვანია საბიუჯეტო კომიტეტი. მასში გაერთიანებულია 41 წევრი. არის მცირერიცხოვანი კომიტეტებიც - 17 წევრის რაოდენობით. მუდმივი კომიტეტები თავის მხრივ ქმნიან ქვეკომიტეტებს. ბუნდესტაგის საკანონმდებლო საქმიანობა ძირი-

თადად კომიტეტებში სწარმოებს. საკანონმდებლო ინიციატივით უმთავრესად მთავრობა გამოდის, რომელსაც ბუნდესტაგში შეაქვს კანონების პროექტები. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს აგრეთვე ბუნდესრატს, კომიტეტებს, ფრაქციებსა და დეპუტატთა ჯგუფებსაც. კანონებს თავიდან იხილავენ შესაბამისი კომიტეტები ან ყველა კომიტეტი(მაგალითად ფედერალურ ბიუჯეტს). შემდეგ იგი განსახილველად გამოაქვთ ბუნდესტაგის პლენარულ სხდომაზე. ბუნდესტაგში კანონპროექტი, როგორც წესი, განიხილება სამი წაკითხვით. საბოლოო კენჭისყრა ხდება მესამე წაკითხვის შემდეგ.

ბუნდესტაგი მუშაობს მთელი წლის განმავლობაში, არდადაგების გამოკლებით. პლენარულ სხდომებს იწვევს თავმჯდომარე, ხოლო რიგგარეშე სხდომების მოწვევის უფლება აქვს პრეზიდენტს და კანცლერს. სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება დეპუტატთა ნახევარზე მეტი. ხოლო გადაწყეტილებათა მისაღებად საჭიროა სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობა. საკონსტიტუციო ცვლილებების მისაღებად კი – ხმების ორიმესამედი. სხდომებზე დასწრების უფლება აქვს მთავრობისა და ბუნდესრატის წევრებს. როგორც წესი, ძირითადად ბუნდესტაგის ღია სხდომები იმართება. თუმცა, რეგლამენტით შეიძლება ჩატარდეს დახურული სხდომები, თუ მას მოითხოვს სხდომაზე დამსწრე დეპუტატთა ორიმესამედი. ბუნდესტაგს თვითდაშლის უფლება არ აქვს, მაგრამ პრეზიდენტს კანცლერის წარდგინებით შეუძლია დაითხოვოს ბუნდესტაგი.

ბუნდესტაგი არის ქვეყნის ცენტრალური საკანონმდებლო ორგანო. იგი გამოსცემს უმაღლეს სახელმწიფო აქტებსა და კანონებს, ამტკიცებს სხვა ქვეყნებთან დადებულ ხელშეკრულებებს, განიხილავს და ამტკიცებს ფედერალური ხელისუფლების ბიუჯეტს და მის ყოველწლიური შემოსავლებისა და გასავლების ანგარიშებს, ირჩევს და ითხოვს ფედერალურ კან-

ცლერს, მონაწილეობს ფედერალურ კრებაში, რომელიც ირჩევს პრეზიდენტს და ფედერალურ მოსამართლეებს, აცხადებს საგანგებო მდგომარეობას და ა.შ. მას აქვს მთავრობის კონტროლის ფუნქცია. და საკონსტიტუციო სასამართლოში პრეზიდენტის გადაყენების შესახებ სარჩელის შეტანის უფლება.

გერმანიის გაერთიანებამდე ბუნდესტაგში დეპუტატთა რაოდენობა შეადგენდა 515-520. ხოლო გაერთიანების შემდეგ დეპუტატთა რაოდენობა 670-მდე გაიზარდა. ბუნდესტაგის დეპუტატი არის მთელი ხალხის წარმომადგენელი და შებოჭილი არ არის რაიმე დავალებებითა და მითითებებით, ემორჩილება მხოლოდ თავისს სინდისს. მართალია, ბუნდესტაგის არჩევნები პარტიული სიებით ტარდება (პროპორციული წესით) და არჩეული დეპუტატი პარტიულ ფრაქციაშია გაერთიანებული, მაგრამ თვითეულ დეპუტატს აქვს თავისი მანდატი. ამიტომ ფრაქციიდან გამოსვლის შემთხვევაშიც იგი ინარჩუნებს თავის მანდატს. დეპუტატი ღებულობს გასამჯელოს, რაც უზრუნველყოფს მის დამოუკიდებლობას. მას აქვს ყველა სახელმწიფო სატრანსპორტო საშუალებით უფასოდ მგზავრობის უფლება. ბუნდესტაგის დეპუტატებს საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ შეუძლიათ მიიღონ სახელმწიფო პენსია, მაგრამ ამისათვის საჭიროა დეპუტატობის არანაკლები 8 წლის სტაჟი.

ბ უ ნ დ ე ს რ ა ტ ი

გერმანიის პარლამენტის მეორე საკანონმდებლო პალატა-ბუნდესრატი არ არის წარმომადგენლობითი ორგანო. გერმანიის ძირითადი კანონის 51-ე მუხლის თანახმად ბუნდესრატი შედგება მიწების მთავრობების წევრებისაგან. მიწების მთავრობები ბუნდესრატში ნიშნავენ წარმომადგენლებს, რომელთა გამოწვევა და მთავ-

რობის სხვა წევრებით შეცვლა მათ ყოველთვის შეუძ-
ლიათ. თვითეულ მიწას მოსახლეობის რაოდენობის მი-
ხედვით ბუნდესრატში გააჩნია სამიდან ექვს ხმამდე:
ორ მილიონამდე მოსახლეობის მიწას- 3 ხმა, 2-დან 6
მილიონამდე მოსახლეობის მიწას- 4ხმა, 6 მილიონიდან
7 მილიონამდე მოსახლეობის მიწას- 5 ხმა- ხოლო 7
მილიონზე მეტი მოსახლეობის მიწას- 6 ხმა. შესაბამი-
სად ბუნდესრატის წევრთა საერთო რაოდენობა ამჟა-
მად 68-ს შეადგენს. ბუნდესრატის არსებობა დაკავში-
რებულია გერმანიის ფედერალურ მოწყობასთან. იგი
არის მიწების ინტერესების დამცველი. „ბუნდესრატის
მეშვეობით-ნათქვამია ძირითად კანონში- მიწები მონა-
წილეობენ საკანონმდებლო საქმიანობასა და მართვა-
ში, აგრეთვე ევროპის კავშირის საქმეებში" (50-ე მუხ-
ლი). ბუნდესრატის ყველა წევრი ვალდებულია შეას-
რულოს მიწების მთავრობათა მითითებები. ამასთან ერ-
თად, ისინი პასუხს აგებენ მიწების ლანგტაგების წინა-
შე. ბუნდესრატის წევრებს უფლება აქვთ დაესწრონ
ბუნდესტაგისა და მისი მუდმივი კომიტეტების სხდო-
მებს. მაგრამ ისინი ამ უფლებებს იშვიათად იყენებენ.

ბუნდესრატი ირჩევს თავმჯდომარეს და ვიცე-თავ-
მჯდომარეებს ერთი წლის ვადით. თავმჯდომარეთა
არჩევა ხდება მორიგეობით მიწების წარმომადგენ-
ლებიდან. თავმჯდომარე და ვიცე-თავმჯდომარეები
ქმნიან ბუნდესრატის პრეზიდიუმს, რომელიც თვალ-
ყურს ადევნებს ბუნდესრატის გადაწყვეტილებათა შეს-
რულების მიმდინარეობას. პრეზიდიუმთან იქმნება მუდ-
მივი საბჭო, რომელშიც შედის ყველა მიწის წარმო-
მადგენელი. ბუნდესრატი საქმის წარმოებისათვის ირ-
ჩევს აგრეთვე ორ მდივანს.

თავმჯდომარე იწვევს ბუნდესრატის სხდომებს. ამ
მიზნით იგი ადგენს დღის წესრიგს და ხუთი დღით
ადრე მიწებში აგზავნის შეტყობინებებს. სხდომის ჩა-
ტარების ადგილისა და დროის შესახებ იგი ინფორ-

მაციას აძლევს ფედერალურ მთავრობასაც. ბუნდესრატის წევრებთან ერთად საკითხების განხილვაში მონაწილეობას იღებენ აგრეთვე ფედერალური მთავრობის წევრებიც. ამასთან ფედერალური მთავრობა მოვალეა ბუნდესრატს მიაწოდოს ინფორმაცია მისი საქმიანობის შესახებ.

ბუნდესრატი ბუნდესტაგის ანალოგიურად ირჩევს მუდმივ კომიტეტებს. მაგრამ ბუნდესრატის კომიტეტები ისე მრავალრიცხოვანი არ არის, როგორიც ეს არის ბუნდესტაგში. ბუნდესრატის კომიტეტებში წარმოებს კანონპროექტების წინასწარი განხილვა და სათანადო წინადადებების ბუნდესტაგში წარდგენა. ბუნდესტაგის მიერ მიღებული კანონების ნახევარზე მეტი ბუნდესრატის მიერ უნდა იყოს მოწონებული, რომლის გარეშე ისინი ძალაში არ შედის. თუ ბუნდესრატი და ბუნდესტაგი ვერ შეთანხმდებიან მაშინ იქმნება შემათანხმებელი კომიტეტი კომპრომისული გადაწყვეტილების მისაღებად. აღსანიშნავია, ისიც რომ ბუნდესრატის თავმჯდომარემ უნდა შეასრულოს ფედერალური პრეზიდენტის მოვალეობაც, როცა ამ უკანასკნელს არ შეუძლია მისი შესრულება.

ფედერალური
პრეზიდენტი

გერმანიის სახელმწიფოს მეთაურია ფედერალური პრეზიდენტი. მას ირჩევს ფედერალური კრება, რომელიც შედგება ბუნდესტაგის დეპუტატებისა და მიწების პარლამენტების მიერ არჩეული პირებისაგან. ეს უკანასკნელი იმდენივე რაოდენობისა უნდა იყოს, რამდენიც ბუნდესტაგის დეპუტატია. პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნას ნებისმიერი გერმანელი, რომელსაც უფლება აქვს არჩეულ იქნას ბუნდესტაგში და

რომელმაც მიაღწია 40 წლის ასაკს. პრეზიდენტს ირჩევენ 5 წლის ვადით. ერთი და იმავე პიროვნება შეიძლება არჩეულ იქნას მხოლოდ 2-ჯერ. არჩეულად ჩაითვლება ის პირი, რომელიც მიიღებს ფედერალური კრების წევრთა ხმების აბსოლუტურ უმრავლესობას. პრეზიდენტს უფლება აქვს თავისი სურვილით გადადგეს ნებისმიერ დროს. ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია მისი გადაყენებაც, თუ მან განზრახ დაარღვია კანონი. პრეზიდენტის დანაშაულობათა შესახებ კი-საჩივარი უნდა აღძრას ბუნდესტაგმა ან ბუნდესრატმა ხმათა ორიმესამედიანი უმრავლესობით. საჩივრის მიღების შემდეგ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება აქვს პრეზიდენტს დროებით შეუჩეროს უფლება-მოვალეობები.

ფედერალურ პრეზიდენტს არ შეიძლება ეკავოს სხვა თანამდებობები, ასევე მისდევდეს რაიმე ხელობას, ან აწორციელებდეს პროფესიულ საქმიანობას.

აღსანიშნავია, რომ ფედერალური პრეზიდენტი პოლიტიკურად პასუხისმგებელი არ არის. მის მიერ გამოცემულ განკარგულებებისა და მითითებების ძალაში შესვლისათვის საჭიროა ფედერალური კანცლერის ან ფედერალური მინისტრის ხელისმოწერით დადასტურება (კონტრასიგნაცია). ამიტომ პოლიტიკურად პრეზიდენტის მიერ გამოცემულ განკარგულებებზე პასუხისმგებელია ფედერალური მინისტრი. პრეზიდენტს გააჩნია ბუნდესტაგის დეპუტატის ანალოგიური იმუნიტეტი და მისი პასუხისმგებლობაში მიცემა შეიძლება მხოლოდ ბუნდესტაგის ნებართვით.

ფედერალური პრეზიდენტი დგას პარტიებზე მაღლა და იგი სახელმწიფოს უზენაესი წარმომადგენელია. იგი საერთაშორისო ასპარეზზე წარმოადგენს ფედერაციას და მისი სახელით დებს ხელშეკრულებებს სხვა სახელმწიფოებთან. ფედერალური პრეზი-

დენტი აძლევს რწმუნების სიგელებს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და იღებს მათ. იგი თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისებულებს ფედერალურ მოსამართლეებს, ფედერალურ სახელმწიფო მოხელეებს, ოფიცრებსა და უნტერ-ოფიცრებს.

ფედერალური პრეზიდენტი ბუნდესტაგს ასარჩევად წარუდგენს ფედერალურ კანცლერს და არჩევის შემდეგ ნიშნავს მას. პრეზიდენტს შეუძლია ბუნდესტაგის დათხოვნა თუ მის მიერ წარმოდგენილი კანცლერი არ მოაგროვებს ხმების უმრავლესობას, ასევე კანცლერზე ნდობის გამოუცხადებლობის შემთხვევაშიც, თუ ბუნდესტაგი 20 დღის განმავლობაში არ აირჩევს ახალ კანცლერს. მას უფლება აქვს მოითხოვოს ბუნდესტაგის პლენარული სხდომის მოწვევა. იგი ფაქტიურად გარკვეულ გავლენას ახდენს ბუნდესტაგზე. ასევე დიდია ფედერალური პრეზიდენტის გავლენა მთავრობაზედაც. გარდა იმისა, რომ კანცლერის წარდგინებით იგი ნიშნავს და ანთავისუფლებს ფედერალურ მინისტრებს, მას შეუძლია სათათბირო ხმის უფლებით დაესწროს მთავრობის სხდომებს. უფრო მეტი, მთავრობასა და ცალკეულ მინისტრებს მოსთხოვოს ინფორმაციები მათი საქმიანობის შესახებ.

ამრიგად, ფედერალურ პრეზიდენტს მთლიანად საკმაოდ დიდი უფლებამოსილებები გააჩნია. იგი საზოგადოების ერთობის და ხალხის ნებასურვილის სიმბოლოა. ფედერალურ პრეზიდენტს, თავისი უნარითა და საქმიანობით შეუძლია მოიპოვოს დიდი სახელი და პირადი ავტორიტეტი და გახდეს მოქალაქეთა პოლიტიკური და მორალური ორიენტაციის სიმბოლო. ამჟამად, (2004 წლიდან) გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის პრეზიდენტია ჰორსტ ქოლერი, სოციალურ-დემოკრატული პარტია . იგი ქვეყნის რიგით მეცხრე ფედერალური პრეზიდენტია. მანამდე გფრ ფედერალური პრეზიდენტები იყვნენ: თეოდორე ჰეისი (1949-

1959), თავისუფალი დემოკრატიული პარტია (FDP), ჰენრიხ დიუბკე (1959-1969) ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი (CDU), გუსტავ ჰაინემანი (1969-1974) სოციალურ-დემოკრატიული პარტია(SPD) კარლ ქარსტენსი (1979-1984) ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი(CDU)„ რიხარდ ფონ ვაიცზეკერი (1984-1994) ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი(CDU)„ რომან ჰერცოგი (1994-1999) ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი(CDU)„ იოჰანეს რაუ. (1999- 2004) სოციალურ დემოკრატიული პარტია

ფედერალური
მთავრობა

გფრ სახელმწიფო ცენტრალურ ორგანოებში მთავარი ადგილი უკავია ფედერალურ მთავრობას. იგი შედგება ფედერალური კანცლერისა და ფედერალური მინისტრებისაგან. მართალია, ფედერალური მთავრობა ერთიანი კაბინეტია, მაგრამ მასში ფედერალური კანცლერს დამოუკიდებელი და უმაღლესი მდგომარეობა უკავია. ფედერალური კანცლერის ანალოგიური უფლებები მთავრობათა მეთაურებს არც ერთ ქვეყანაში არა აქვს.

ფედერალურ კანცლერს ირჩევს ბუნდესტაგი ფედერალური პრეზიდენტის წინადადებით, კამათის გარეშე. არჩეულად ჩაითვლება ის პირი, ვინც მოაგროვებს ბუნდესტაგის წევრთა ხმების უმრავლესობას. თუ შემოთავაზებული კანდიდატურა არ იქნა არჩეული ინიშნება შემდეგი ტურები მომდევნო 14 დღის განმავლობაში და არჩეულად ჩაითვლება ის პირი ვინც მიიღებს ხმების უმრავლესობას. მაგრამ ოფიციალურად კანცლერს ნიშნავს პრეზიდენტი. თუ კი კანდიდატმა ვერ მოაგროვა ხმების უმრავლესობა, მაშინ

პრეზიდენტს შეუძლია 7 დღის განმავლობაში დანიშნოს იგი თანამდებობაზე, ან დაითხოვოს ბუნდესტაგი. კანცლერის უფლებამოსილების ვადა ემთხვევა ბუნდესტაგის ლეგიტიმურობის ვადას, ან ბუნდესტაგის მიერ მისთვის უნდობლობის გამოცხადების ვადამდე. ამ უკანასკნელის მიღწევა გერმანიის ბინდესტაგმა მხოლოდ ერთხელ შეძლო, როცა გადააყენა კანცლერი ჰელმუტ შმიდტი და კანცლერად აირჩია ჰელმუტ კოლი. ეს მოხდა 1982 წლის ოქტომბერში.

ფედერალური კანცლერის ხელშია მთავრობის ყველა უმნიშვნელოვანესი უფლებები. მხოლოდ მას აქვს მთავრობის ფორმირების უფლება. იგი არჩევს და ანთავისუფლებს მინისტრებს, რომელსაც შემდეგ ფორმალურად ნიშნავს და ანთავისუფლებს ფედერალური პრეზიდენტი, რომელმაც უპირობოდ უნდა შეასრულოს კანცლერის მოთხოვნები. გარდა ამისა კანცლერი განსაზღვრავს მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობას და თვითეული მინისტრის საქმიანობის სფეროს. გფრ ძირითად კანონში მხოლოდ ზოგიერთი სამინისტროა დასახელებული (საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, თავდაცვისა და ფინანსთა სამინისტროები), დანარჩენ სამინისტროებს თვითონ არჩევს. ამის გამო გფრ სამინისტროთა რაოდენობა კანცლერის შეცვლასთან ერთად იცვლება. თანამდებობის დაკავების შემდეგ ფედერალური კანცლერი და ფედერალური მინისტრები ბუნდესტაგის წინაშე წარმოთქვამენ ფიცს.

ფედერალური კანცლერი განსაზღვრავს მთავრობის პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და კისრულობს პასუხისმგებლობას მათზე. თვითეული ფედერალური მინისტრი დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართავს თავის საქმიანობას. ფედერალურ მინისტრებს შორის აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს ფედერა-

ლური მთავრობა. ფედერალური კანცლერი ადგენს ფედერალური მთავრობის საქმიანობის რეგლამენტს, რომელსაც იწონებს ფედერალური პრეზიდენტი.

ფედერალური მთავრობის კომპეტენცია ძალიან ფართო და დიდია. იგი არა მარტო აღმასრულებელი ხელისუფლებაა, არამედ აქტიურად მონაწილეობს საკანონმდებლო პროცესშიაც. მას აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. ბუნდესტაგში კანონპროექტები ძირითადად ფედერალურ მთავრობას შეაქვს. ფედერალურ მთავრობასა და თვითეულ მინისტრს შეუძლია გამოსცეს დადგენილებები და ბრძანებები, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ კანონის ძალა, მხოლოდ ამისათვის საჭიროა ბუნდესრატის თანხმობა. ხოლო მმართველობის სფეროში ფედერალური მთავრობა და ცალკეული მინისტრები გამოსცემენ სახელმძღვანელო დებულებებსა და კანონქვემდებარე აქტებს, აგრეთვე საერთო ხასიათის დადგენილებებს. თუ რომელიმე მიწა არ ასრულებს მასზე ძირითადი კანონით ან სხვა ფედერალური კანონოთ დაკისრებულ მოვალეობებს, ფედერალურ მთავრობას შეუძლია ბუნდესრატის თანხმობით მიიღოს ზომები, რათა ფედერალური იძულების გზით დაიყოლიოს მიწა თავისი მოვალეობის შესასრულებლად. ფედერალურ მთავრობას აქვს მიწების უწყებებზე მითითებების მიცემის უფლება.

ფედერალური მთავრობის სხდომებზე, ფედერალური მინისტრების გარდა, რეგულარულად იწვევენ მიწების პრემიერ-მინისტრებს. მასში მონაწილეობენ აგრეთვე პრეზიდენტის კანცელარიის უფროსი, კანცლერის ბეჭდვისა და ინფორმაციის უწყების უფროსი, კანცლერის პირადი რეფერენტი და მდივანი.

ფედერალურ კანცლერს და ფედერალურ მინისტრებს არ შეიძლება ეკავოთ სხვა ანაზღაურებადი თანამდებობა, ან მისდევდნენ რაიმე ხელობას და ახორციელებდნენ პროფესიულ საქმიანობას. ასევე არ შე-

იძლება შედიოდნენ მოგების მიღებისაკენ ორიენტირებულ საწარმოთა ხელმძღვანელობაში.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნიდან დღემდე ფედერაციული კანცლერები იყვნენ: კონრად ადენაუერი (1949-1963) ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი(CDU) , ლუდვიგ ერჰარდი (1963-1966) ქრისტიანულ- დემოკრატიული კავშირი(CDU), კურტ გეორგ კიზინგერი(1966-1969) ქრისტიანულ- დემოკრატიული კავშირი (CDU) ვილი ბრანდტი(1969-1974), სოციალურ-დემოკრატიული პარტია (SPD), ჰელმუტ შმიდტი (1974-1982) სოციალურ-დემოკრატიული პარტია(SPD), ჰელმუტ კოლი (1982-1998), ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი (CDU), გერჰარდ შრიოდერი (1998-დღემდე) სოციალურ-დემოკრატიული პარტია(SPD),.

3. მმართველობის რეგიონალური ორგანოები

გერმანია შედარებით ახალგაზრდა ფედერაციული სახელმწიფოა, რომლის შემადგენლობაში შედის 16 მიწა (länder) ფედერაციის სუბიექტი. მიწებს მინიჭებული აქვთ სრული სუვერენული უფლებები, გააჩნიათ საკუთარი კონსტიტუცია, რომელიც განსაზღვრავს მათი სახელმწიფო წყობას, ტერიტორიული მოწყობისა და მმართველობის ფორმებს. მაგრამ მიწების კონსტიტუციური წყობა უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის ძირითადი კანონის მოთხოვნებს. მიწებში, ოკრუგებსა და თემებში ხალხს უნდა ჰყავდეს საყოველთაო, პირდაპირი, თავისუფალი, თანასწორი და ფარული არჩევნების შედეგად შექმნილი წარმომადგენლობა, რომელმაც საკუთარი პასუხისმგებლობით უნდა გადაწყვიტოს საზოგადოების განვითარების ყველა საკითხი მოქმედი კანონების მიხედვით. ხოლო ფედერაციამ უნდა უზრუნველყოს მიწების კონსტიტუციური წყო-

ბის შესაბამისობა ძირითად კანონთან.

ფედერაციის ყველა სუბიექტს გააჩნია თავისი ტერიტორია. სწორედ მასზე ვრცელდება მათი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა იურისდიქცია. ფედერაციის სუბიექტების ტერიტორია მათი თანხმობის გარეშე არ შეიძლება შეიცვალოს. ამასთან, დასაშვებია ფედერაციის ტერიტორიის ახლებურად მოწყობაც. მხოლოდ ამისათვის საჭიროა რეფერენდუმის ჩატარება. ტერიტორიული საზღვრების შეცვლა ან ახალი მიწის შექმნა უნდა მოიწონოს ამ ტერიტორიების მოსახლეობის აბსოლიტურმა უმრავლესობამ.

ყველა მიწას გააჩნია საკუთარი საკანონმდებლო ორგანო – პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ი და აღმასრულებელი ხელისუფლება (მთავრობა). მიწების დამოუკიდებელ კომპეტენციას წარნოადგენს საკუთარი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა სისტემის განსაზღვრა კონსტიტუციის დაცვით. პარლამენტი სხვადასხვა მიწაში განსხვავებულ სახელწოდებას ატარებს. ზოგიერთებში მას ლანდტაგის, ზოგიერთებში კი – ბიურგერშაფტის, ან დეპუტატთა სახლის სახელწოდება აქვს. პარლამენტის უფლებამოსილების ვადაც განსხვავებულია: ოთხი ან ხუთი წელიწადი. მაგრამ პარლამენტების აგებულება ბუნდესტაგის ანალოგიურია. ყველა ირჩევს თავმჯდომარეს, პრეზიდიუმს, ფრაქციებსა და კომიტეტებს და ა.შ.

მიწათა პარლამენტებს აქვთ საკანონმდებლო უფლებები ყველა იმ საკითხებზე, რომლებიც ფედერაციის კომპეტენციას არ მოეკუთვნება. მიწების გამგეობაშია: მიწების კონსტიტუციური კანონმდებლობა და ადმინისტრაციული მოწყობა. კანონმდებლობა ადგილობრივი თვითმმართველობის, კულტურისა და განათლების სფეროებში. მათ ხელშია: პოლიცია, იუსტიციის ორგანოები. მათ აქვთ საკანონმდებლო უფლებები აგრეთვე იმ სფეროში, რომელიც ძირითადად კანონში

საერთოდ არაა ნახსენები, აგრეთვე იმ სფეროებში, რომლებშიც ფედერაცია თავის უფლებებს არ იყენებს.

მართალია, საგარეო პოლიტიკა ცენტრალური ხელისუფლების პრიორიტეტს წარმოადგენს, მაგრამ მიწებსაც აქვთ გარკვეული უფლებამოსილებები ამ მიმართულებით. კერძოდ, მათ აქვთ უფლება უშუალოდ დადონ ხელშეკრულებები უცხოეთის სახელმწიფოებთან მათი საკანონმდებლო კომპეტენციის ფარგლებში და ფედერალური მთავრობის ნებართვით. ამასთან, მიწები საგარეო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობენ ბუნდესრატში საკუთარი წარმომადგენლობის მეშვეობით.

ფედერაციის ყველა სუბიექტს ფედერალურ საკანონმდებლო ორგანოებში გააჩნია საკანონმდებლო ინიციატივის უფლებაც. ისინი აქტიურად მონაწილეობენ, როგორც ფედერაციის გამგებლობის საკითხების, ისე ერთობლივი გამგებლობის საკითხების ფედერალურ დონეზე გადაწყვეტაში. მიწების უფლებამოსილებაში შედის აგრეთვე საკუთარი სიმბოლიკის-გერბის, დროშის, ჰიმნის დამტკიცება.

მიწების პარლამენტები ირჩევენ მთავრობას, რომელიც შედგება პრემიერმინისტრისა და უწყებრივი პასუხისმგებლობის მქონე მინისტრებისაგან. პრემიერმინისტრი ქალაქ-მიწებში: ბერლინში, ჰამბურგსა და ბრემენში მმართველის ან პირველი ბურგომისტრის სახელს ატარებს, ხოლო მინისტრებს-სენატორები ჰქვიათ. ლანდტაგი პრემიერ-მინისტრს ირჩევს განხილვის გარეშე. პრემიერ-მინისტრი ნიშნავს მინისტრებს და მათ შესახებ იგი მასალას აწვდის ლანდტაგს. მთავრობა საქმიანობას შეუდგება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ლანდტაგი გამოუცხადებს მას ნდობას. პრემიერ-მინისტრი განსაზღვრავს მთავრობის პოლიტიკას და მინისტრებთან ერთად აღასრულებს მას. იგი პირადად პასუხისმგებელია ლანდტაგის წინაშე. მინისტრები ხელმძღვანელობენ მათზე მინ-

დობილ უწყებებს და პასუხს აგებენ პრემიერ-მინისტრის და ლანდტაგის წინაშე. პრემიერ-მინისტრი ლანდტაგის წინაშე დებს ფიცს, ხოლო მინისტრები პრემიერ-მინისტრის წინაშე ლანდტაგის დეპუტატების დასწრებით.

მიწების აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენცია უფრო ფართოა, ვიდრე მიწების პარლამენტებისა. მიწები აღასრულებენ არა მარტო საკუთარ, არამედ ფედერალურ კანონებსაც. ამიტომ აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციები უფრო მეტ სფეროებზე ვრცელდება, როგორიცაა: მიწის ტერიტორიის საერთო მმართველობა, ეკონომიკის, ფინანსების, განათლების, სოციალური სფეროს დიდი ნაწილის მართვა, პოლიცია, იუსტიციის ორგანოები და ფაქტიურად ყველა ის ურთიერთობები, რომლებიც უნდა დარეგულირდეს ადმინისტრაციული სამართლით. ამასთან ერთად, მთავრობას აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებაც. მისი უმთავრესი ამოცანაა შეიმუშაოს კანონები და მიწის პარლამენტში მათი დამტკიცების შემდეგ აღასრულოს ისინი.

მაგრამ ყველაფერი რაც კი, საერთო ინტერესებიდან გამომდინარეობს ერთად უნდა მოგვარდეს. ფედერალური ხელისუფლება მონაწილეობას ღებულობს მიწების საქმიანობაში, უმთავრესად საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანების გადაწყვეტაში. ხოლო მიწის მთავრობას საჭიროების შემთხვევაში, მაგალითად სტიქიურ უბედურებათა შედეგების აღმოსაფხვრელად, ან რეგიონში წესრიგის აღსადგენად შეუძლია მოითხოვოს ფედერალური ძალების დახმარება. ხოლო მეორეს მხრივ, თუ მიწა არ ასრულებს კანონებით დაკისრებულ ვალდებულებებს, მაშინ ფედერალურ მთავრობას ბუნდესრატის თანხმობით შეუძლია მიიღოს სხვადასხვა ზომები, მათ შორის უკიდურესი ზომებიც, როგორიცაა: მიწის მთავრობის გა-

დაყენება, ლანდტაგის დაშლა, მაგრამ გამორიცხულია შეიარაღებული ძალების გამოყენება.

აღსანიშნავია, რომ ძირითადი კანონი მოითხოვს ხელისუფლების უმაღლეს ფედერალურ ორგანოებში სახელმწიფო მოხელეებად მიწების მკვიდრთა დასაქმებას. ხოლო მიწებში მოქმედ ფედერალურ უწყებებში მომუშავე პირები როგორც წესი, უნდა იყვნენ იქიდან, სადაც მოქმედებენ ეს უწყებები.

ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი მონაცემები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიწების (მხარეების) შესახებ.

1. ბადენ-ვიუთემბერგი - ფართობი 35752 კვ.კმ; მოსახლეობა 10,6 მილიონი; მოსახლეობის სიმჭიდროვე - 294 კაცი 1 კვ.კმ-ზე; დედაქალაქი – შტუტგარტი
2. ბავარიის რესპუბლიკა - ფართობი 70547 კვ.კმ; მოსახლეობა 12,3 მილიონი; მოსახლეობის სიმჭიდ-როვე - 173 კაცი 1 კვ.კმ-ზე; დედაქალაქი – მიუნხენი
3. ბერლინი - ფართობი 892 კვ.კმ; მოსახლეობა 3,4 მილიონი; მოსახლეობის სიმჭიდროვე - 3793 კაცი 1 კვ.კმ-ზე; დედაქალაქი – ბერლინი
4. ბრანდენბურგი - ფართობი 29476 კვ.კმ; მოსახლეობა 2,6 მილიონი; მოსახლეო-ბის სიმჭიდროვე - 88 კაცი 1 კვ.კმ-ზე; დედაქალაქი - პოტსდამი
5. ბრემენი - ფართობი 404 კვ.კმ; მოსახლეობა 0,66 მილიონი; მოსახლეობის

სიმჭიდროვე - 1633 კაცი 1 კვ.კმ-ზე; დედაქალაქი – ბრემენი

6. ჰამბურგი - ფართობი 755 კვ.კმ; მოსახლეობა 1,726 მილიონი; მოსახლეობის სიმჭიდროვე - 2271 კაცი 1 კვ.კმ-ზე; დედაქალაქი – ჰამბურგი

7. ჰესენი - ფართობი 21114 კვ.კმ; მოსახლეობა 6,1 მილიონი; მოსახლეობის სიმჭიდროვე - 287 კაცი 1 კვ.კმ-ზე; დედაქალაქი – ვისბადენი

8. მექლენბურგ - წინა პომერანია - ფართობი 23173 კვ.კმ; მოსახლეობა 1,7 მილიონი; მოსახლეობის სიმჭიდროვე - 77 კაცი 1 კვ.კმ-ზე; დედაქალაქი –შვერინი

9. ქვემო საქსონია - ფართობი 47616 კვ.კმ; მოსახლეობა 7,9 მილიონი; მოსახლეო-ბის სიმჭიდროვე - 166 კაცი 1 კვ.კმ-ზე; დედაქალაქი – ჰანოვერი

10 ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალია - ფართობი 34082 კვ.კმ; მოსახლეობა 18,1 მილიონი; მოსახლეობის სიმჭიდროვე - 528 კაცი 1 კვ.კმ-ზე; დედაქალაქი – დიუსელდორფი

11. რაინლანდ - პფალცი - ფართობი 19847 კვ.კმ; მოსახლეობა 4,0 მილიონი; მოსახლეობის სიმჭიდროვე - 203კაცი 1 კვ.კმ-ზე; დედაქალაქი – მაინცი

12 ზაარლანდი - ფართობი 2569 კვ.კმ; მოსახლეობა 1,1 მილიონი; მოსახლეობის სიმჭიდროვე - 416კაცი 1 კვ.კმ-ზე; დედაქალაქი – ზაარბრიუკენი

13 რესპუბლიკა საქსონია - ფართობი 18413 კვ.კმ; მოსახლეობა 4,4 მილიონი; მოსახლეობის სიმჭიდროვე - 240კაცი 1 კვ.კმ-ზე; დედაქალაქი – დრეზდენი

14 საქსონია ანჰალთი - ფართობი 20447კვ.კმ; მოსახლეობა 2,6 მილიონი; მოსახლეობის სიმჭიდრო-ვე - 128კაცი 1 კვ.კმ-ზე; დედაქალაქი – მაგდენბურგი

15. შლეზვინგ - ჰოლშტაინი - ფართობი 15761 კვ.კმ; მოსახლეობა 2,8 მილიონი; მოსახლეობის სიმჭიდროვე - 177კაცი 1 კვ.კმ-ზე; დედაქალაქი – კილი

16. რესპუბლიკა თიურინგია - ფართობი 16172 კვ.კმ; მოსახლეობა 2,4 მილიონი; მოსახლეობის სიმჭიდროვე - 150 კაცი 1 კვ.კმ-ზე; დედაქალაქი – ერფურთი

მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ყველაზე დიდია ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალია. მეორე ადგილზეა - რესპუბლიკა ბავარია, ხოლო მესამე ადგილზეა ბადენ-ვიუთემბერგი

ტერიტორიის სიდიდის მიხედვით პირველ ადგილზეა - რესპუბლიკა ბავარია, მეორე ადგილზეა რესპუბლიკა საქსონია, მესამე ადგილზეა ბადენ-ვიუთემბერგი.

4. ადგილობრივი თვითმმართველობა

ადგილობრივი თვითმმართველობა ქვეყნის საერთო მმართველობის შემადგენელი ნაწილია. იგი მმართველობის დამოუკიდებელ ფორმას წარმოადგენს. მაგრამ ადგილობრივი თვითმმართველობა მეტ-ნაკლებად მაინც რეგიონალური მმართველობის გავლენის ქვეშ იმყოფება.

გერმანიაში ადგილობრივი თვითმმართველობას დიდი ხნის ისტორია აქვს. მას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ შუასაუკუნეებში, როცა წარმოიშვნენ ე.წ. "თავისუფალი" თვითმმართველობის ქალაქები. მომდევნო წლებში თვითმმართველობის ტრადიციები განვითარდა და გაფართოვდა. გერმანიის კონსტიტუციის 28-ე მუხლით თემებს, ქალაქებსა და ოლქებს გარანტირებული აქვთ თვითმმართველობის უფლება. ხოლო კონკრეტულად ადგილობრივი თვითმმართველობის ფორმებისა და კომპეტენციების განსაზღვრა მიწების პრეროგატივაა. ამის გამო თვითმმართველობის ორგანოები და მათი კომპეტენციები მიწების მიხედვით განსხვავდებიან. მაგრამ მთლიანად ისინი მაინც ერთიანია, რადგან ერთიან პოლიტიკურ და სამართლებრივ საფუძვლებს ემყარებიან.

ადგილობრივი თვითმმართველობის (კომუნების) ორგანოების კომპეტენციაში შედის: ადგილობრივი ხასიათის ამოცანების გადაწყვეტა, როგორიცაა: ტერიტორიის დაგეგმარება, მიწათმოწყობა, ბინათმშენებლობა, დაწყებითი და საშუალო განათლების ორგანიზაცია, კეთილმოწყობა, სახანძრო სამსახური, ნაგავისა და ნარჩენების გატანა, წყალმომარაგება და კანალიზაცია, წყალსაცავები და წყლის რესურსები, ადგილობრივი ტრანსპორტი, გათბობა, თავისუფალ დროის ორგანიზაცია, თეატრები, პარკები, სპორტული მოედნები, ტურიზმი, რეკრეაციული ზონები. საკონტროლო სფეროდან: ლიცენზიების გაცემა, საგზაო კონტროლი, საზოგადოებრივი წესრიგის დაც-

ვა, ადგილობრივი პოლიცია, კონტროლი ჰაერის დაბინძურებაზე და კვების პროდუქტების ვარგისიანობაზე, ვეტერინალური სამსახური, რეგისტრაციის სამსახური.

ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობაზე კონტროლი მთლიანად მიწის ხელისუფლების კომპეტენციაში შედის და მასში ფედერალური ორგანოები არ მონაწილეობენ.

მიწები, თავის მხრივ, დაყოფილია ოკრუგებად. სულ შექმნილია 50 ტერიტორიულ-სამთავრობო ოკრუგი. ოკრუგები მიწათა ხელისუფლების კონტროლის ქვეშ იმყოფება. ოკრუგის სათავეში დგას მიწის მთავრობის მიერ დანიშნული სამთავრობო პრეზიდენტი. იგი ერთპიროვნული მმართველია და თავისი აპარატის მეშვეობით ზედამხედველობას უწევს ფედერაციისა და მიწის კანონების შესრულებას. საჭიროებს შემთხვევაში ღებულობს სათანადო ზომებსაც.

ქვეყნის ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებია: რაიონები და სამართლებრივი სტატუსით მასთან გათანაბრებული ქალაქები. რაიონის ქვემდგომი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია თემი. თემები ძირითადად სასოფლო დასახლებებშია შექმნილი. მაგრამ ბევრ პატარა ქალაქს თავად აქვს თემის სტატუსი. როგორც წესი თემებში მოსახლეობის რაოდენობა 30 ათას არ აღემატება.

ყველა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში, გარდა ოკრუგისა ხდება წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევა 4-დან 6 წლამდე (მიწების მიხედვით). რაიონის წარმომადგენლობითი ორგანოა-რაიონული კრება, რომელსაც კრაისტაგი ან კრაისრატი ეწოდება. ხოლო რაიონის მეთაურია – ლანდრატი, რომელსაც ზოგან უშუალოდ მოსახლეობა ირჩევს, ზოგან კი – რაიონული კრება. თემებში - წარმომადგენლობითი ორგანოა მუნიციპალური საბჭო. ამ საბჭოს ბურგომისტრი ხელმძღვანელობს, ხოლო იმ თემებში სადაც მოსახლეობის რაოდე-

ნობა 50 ათას აღემატება მუნიციპალური საბჭოს ხელმძღვანელი ობერბურგომისტრად იწოდება. მისი უფლებამოსილების ვადა 8-დან 12 წლამდე მერყეობს. წარმომადგენლობით ორგანოსთან ერთად თემებში იქმნება აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელსაც ლანდრატი მეთაურობს. გერმანიის მიწებში თემების მართვის ორგანიზაციის ხუთი განსხვავებული მოდელი არსებობს. მათ შორის მნიშვნელოვნად თავისებურია ახალი ფედერალური მიწების კომუნალური მოწყობის მოდელი.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებს თავიანთ კომპეტენციების ფარგლებში საკანონმდებლო როლიც კი აქვთ. ისინი ღებულობენ კანონებს, რომლებიც ადგილობრივ ურთიერთობებს არეგულირებენ. მაგალითად, მათი საკანონმდებლო სფეროა ადგილობრივი გადასახადების დაწესება და ბიუჯეტის დამტკიცება.

გერმანიაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები სარგებლობენ ფინანსური დამოუკიდებლობით. ყოველ მათგანს აქვს საკუთარი ბიუჯეტი. ადგილობრივი ხელისუფლების შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი იქმნება სახელმწიფო გადასახადებისაგან. ადგილობრივ კომუნებს რჩებათ აკრეფილი გადასახადების 15%, ბიზნესის გადასახადის 60%, მიწის გადასახადი მთლიანად. ასევე მათ შემოღებული აქვთ სხვადასხვა სახის ადგილობრივი გადასახადი და აქციზური მოსაკრებელი. მაგალითად: გადასახადი სპირტიან სასმელებზე და ფუფუნების საგნებზე, გადასახადი ძაღლებზე, გადასახადი გართობაზე, გადასახადი ნადირობასა და თევზჭერაზე, გადასახადი მეორე სახლზე, ლიცენზიები ლუდხანების და მსგავსი დაწესებულებების გახსნაზე. საერთოდ კი ქვეყნის მთელ ხარჯებში მუნიციპალიტეტების ხვედრითი წილი შეადგენს დაახლოებით 30%, მიწებისა 25%, ხოლო ფედერალური ხელისუფლებისა 45%.

უკანასკნელ პერიოდში აღინიშნება ადგილობრივ ორ-

განოთა უფლებამოსილების გაფართოება. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს უფლება ეძლევათ უფრო მეტი საკითხები გადაწყვიტონ ზემდგომი ორგანოებთან შეთანხმების გარეშე.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები დიდ როლს ასრულებენ ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული საკითხების გადაწყვეტაში.

მუნიციპალური ორგანოების საქმიანობაზე სამართლებრივ ზედამხედველობას ახორციელებს შინაგან საქმეთა სამინისტრო და სხვა სამინისტროთა საოკრუგო და რაინული სამმართველოები.

5. სასამართლო ხელისუფლება

გერმანიის კონსტიტუციის მიხედვით ქვეყანაში სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს, ფედერალური სასამართლოებისა და მიწების სასამართლოების მეშვეობით. სასამართლო სისტემა ფედერაციის ფარგლებში აერთიანებს ხუთ განსხვავებულ სასამართლოს. ესენია: ფედერალური სასამართლო პალატა, ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლო, ფედერალური საფინანსო სასამართლო, ფედერალური შრომის საქმეთა სასამართლო და ფედერალური სოციალურ საქმეთა სასამართლო. ქვეყნის სასამართლო სისტემის ეს შტოები თავის მხრივ, სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებისაგან შედგება. აქედან საერთო კომპეტენციის სასამართლოები განიხილავენ სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეებს. ხოლო შრომის საქმეთა სასამართლოები-დავებს ცალკეულ მეწარმეებსა და დაქირავებულ მუშაკებს შორის. სოციალურ საქმეთა სასამართლოები განიხილავენ მოქალაქეთა სარჩელებს სოციალურ საკითხებზე, ადმინისტრაციული სა-

სამართლოები-მოქალაქეთა სარჩელებს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოების მიმართ, ასევე ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის წარმოშობილ დავებს და ა.შ.

მაგრამ გერმანიის სასამართლო სისტემას ფედერაციის ფარგლებში არ გააჩნია საერთო უმაღლესი სასამართლო. ამიტომ მართლმსაჯულების განხორციელების ერთიანობის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილია ხუთი სასამართლოს სენატი, რომელიც კოორდინაციას უწევს სასამართლო სისტემის შტოების საქმიანობას და ღებულობს სათანადო გადაწყვეტილებებს სასამართლო პრაქტიკის ერთიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

გერმანიის სასამართლო ხელისუფლების სათავეში დგას ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო. იგი აწარმოებს ქვეყნის ძირითადი კანონის შესრულებაზე კონტროლს. ამოწმებს ფედერალური და მიწების პარლამენტების მიერ მიღებულ კანონებს, მათი შესაბამისობას ძირითად კანონთან, განიხილავს და გადაწყვეტს დავებს ფედერაციასა და მიწებს შორის, ასევე ფედერაციის ცალკეულ ორგანოებს შორის. მხოლოდ მას შუძლია გადაწყვიტოს შეესაბამება თუ არა რომელიმე პარტიის მოღვაწეობა კონსტიტუციას. საჭიროების შემთხვევაში მხოლოდ მას შეუძლია გამოიტანოს დადგენილება საშიში პარტიის დაშლის შესახებ.

ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ღებულობს და განიხილავს აგრეთვე პარტიებისა და ცალკეული ორგანოების, აგრეთვე მოქალაქეთა საჩივრებს, რომლებიც თვლიან, რომ ხელისუფლების რომელიმე ორგანომ დაარღვია მათი კონსტიტუციური უფლებები. პარლამენტი, მთავრობა და ყველა სხვა სასამართლო ვალდებულია დაემორჩილოს ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს განაჩენს, რომლის გამოტანის დროს იგი სრულიად დამოუკიდებე-

ლია. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლენი მხოლოდ ძირითადი კანონით ხელმძღვანელობენ.

ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო შედგება ორი სენატისაგან. თვითეულ მათგანში მუშაობს 8 მოსამართლე. მოსამართლეებს თანაბრად ირჩევენ ბუნდესტაგი და ბუნდესრატი. მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადა არის 12 წელიწადი. აკრძალულია მათი გადარჩევა.

ფედერალური სასამართლოები ქვეყანაში სამართალწარმოების უმაღლესი ორგანოა. მოქალაქეებს უფრო დაბალი ინსტენციის სასამართლოში პროცესის წაგების შემდეგ შეუძლიათ მიმართონ ფედერალურ სასამართლოებს. გარდა ამისა, როგორც აღინიშნა უმაღლესი სასამართლოების დანიშნულება აგრეთვე ქვეყანაში მართლმსაჯულების ერთიანობის უზრუნველყოფა.

გერმანიაში სასამართლო სისტემა ხელისუფლებაში საკმაოდ მრავალრიცხოვანი კოლექტივის სახით არის წარმოდგენილი. ფედერალურ მოსამართლეთა რაოდენობა 500-ს, ხოლო მიწების მოსამართლეთა რაოდენობა - 20 ათას აღემატება. სასამართლო ხელისუფლების ხუთივე შტოს მოსამართლეთა შერჩევა და დანიშვნა ხდება მოცემულ სფეროში კომპეტენტური ფედერალური მინისტრის მიერ მოსამართლეთა შემრჩევ კომიტეტთან ერთად. კომიტეტი შედგება მოცემულ სფეროში მიწათა კომპეტენტური მინისტრებისა და თანაბარი რაოდენობის წევრებისაგან, რომლებსაც ირჩევს ბუნდესტაგი.

მოსამართლე დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება. მუდმივ შტატში მყოფი მოსამართლე, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, მხოლოდ სასამართლოს შეუძლია გაანთავისუფლოს ან დროებით გადააყენოს თანამდებობიდან. ამ მიზნით შექმნილია სასამართლო სამსახურის საქმეთა ფედერალუ-

რი სასამართლო, უმაღლესი სასამართლოს სპეციალური პალატა. მხოლოდ მას აქვს მოსამართლეთა დასჯის შესახებ გადაწყვეტილებათა გამოტანის უფლება.

6. გერმანიის პარტიულ-პოლიტიკური სისტემა

გერმანია მრავალპარტიული ქვეყანაა. მრავალპარტიულობა და იდეოლოგიური მრავალფეროვნება კი - თავისუფალი და დემოკრატიული სახელმწიფო ხელისუფლების არსებობის აუცილებელი პირობაა. პოლიტიკური პარტია, როგორც საზოგადოების ყველაზე აქტიური, შეგნებული და ორგანიზებული ნაწილი მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ხალხის პოლიტიკური ნებისა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში. პარტია პოლიტიკური ხელისუფლებისათვის ბრძოლის, სახელმწიფო აპარატის ფორმირებასა და საქმიანობაში აქტიური მონაწილების, სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემუშავება – რეალიზაციის და სხვა ფუნქციებს ასრულებს.

გერმანიაში პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბება და საქმიანობა XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო. მაგრამ სულ მოკლე დროში პარტიების რაოდენობა და როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა. შეიქმნა და მოქმედება დაიწყო სხვადასხვა ტიპისა და მიმართულების პარტიებმა. მათ შორის იყო: სოციალურ-დემოკრატიული, ბურჟუაზიულ-ლიბერალური და კლერიკალური-კათოლიკური მიმართულების პარტიები.

პარტიების როლი და მნიშვნელობა დიდად გაიზარდა და გაფართოვდა ვაიმარის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში. მაგრამ ფაშისტური დიქტატურის დამყარების შემდეგ გერმანიაში ყველა პარტია, ნაციონალ-სოციალისტების გარდა, აკრძალულ

იქნა. გაუქმებულმა პარტიებმა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომისშემდგომ წლებში შესძლეს მუშაობის განახლება. დასავლეთ გერმანიაში 1946-1948 წ.წ. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების გაერთიანების შედეგად შეიქმნა: სოციალ-დემოკრატიული პარტია, ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი, ქრისტიან-სოციალისტური კავშირი, თავისუფალ-დემოკრატიული პარტია. ასევე შეიქმნა ახალი პარტიებიც. მათ შორის კომუნისტური პარტია. ხოლო აღმოსავლეთ გერმანიაში ადგილობრივი სოციალურ-დემოკრატიული ორგანიზაციებისა და კომუნისტური პარტიის გაერთიანების შედეგად 1946 წ. შეიქმნა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია, რომელიც შემდეგ გდრ-ის მმართველი პარტია გახდა. გერმანიის გაერთიანების შემდეგ გერმანიის ერთიანი სოციალისტურ პარტიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. მისი წევრების უმრავლესობამ პარტია დატოვა. შეიცვალა პარტიის სახელწოდებაც. მას დემოკრატიული სოციალიზმის პარტია ეწოდება.

ამჟამად ბუნდესტაგის არჩევნებში მონაწილეობას ღებულობს 10-ზე მეტი პარტია, მაგრამ აქედან 5% ბარიერის გადალახვას მხოლოდ 5-6 პარტია ახერხებს. ბუნდესტაგის პირველ არჩევნებში 1949 წელს მონაწილეობა მიიღო 36 პარტიამ, პარლამენტის 410 მანდატიდან 141 მანდატი მოიპოვა ქრისტიან-დემოკრატიული კავშირისა და ქრისტიან-სოციალისტური კავშირის ბლოკმა, 136 მანდატი – გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, 53 მანდატი – თავისუფალი დემოკრატიულმა პარტიამ, ხოლო დანარჩენი 80 მანდატი – გაინაწილეს სხვა პარტიებმა. მაგრამ 1957 წლიდან შემოღებულ იქნა ე.წ. 5% ბარიერი, რომლის მიხედვითაც პარლამენტში მოხვედრისათვის პარტიამ უნდა მიიღოს არჩევნებში მონაწილეთა ხმების არა ნაკლები 5%. მომდევნო არჩევნებში, 1961 წელს 5% ბარიერის გადალახვა შესძლო მხოლოდ სამმა პრეტენდეტმა. ქრისტიან-

დემოკრატებისა და ქრისტიან-სოციალისტების ბლოკ-მა (251 ადგილი), სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ (203 ადგილი) და თავისუფალ-დემოკრატიულმა პარტიამ (67ადგილი). ეს მდგომარეობა გაგრძელდა 1983 წ. არ-ჩევნებამდე. ბუნდესტაგის 1983 წლის არჩევნებში ზე-მოთ ჩამოთვლილ 3 პარტიას მიემატა მწვანეთა პარტია, რომელმაც 28 მანდატი მოიპოვა. გერმანიის გაერთია-ნების შემდეგ ამ ოთხ პარტიას მიემატა მეხუთე პარ-ტია აღმოსავლეთ გერმანიიდან-დემოკრატიული სოცი-ალიზმის პარტია, ხოლო მწვანეებმა - ოთხმოცდაათი-ანელებთან შექმნეს ბლოკი - „კავშირი 90/ მწვანეები". მომდევნო არჩევნებში სწორედ ამ ხუთმა პრეტენდეტ-მა შეძლო 5% ბარიერის გადალახვა. ბუნდესტაგის 1994 წლის არჩევნებში სოციალ-დემოკრატულმა პარ-ტიამ მოიპოვა 252 მანდატი, ქრისტიან-დემოკრატებმა 244, თავისუფალ-დემოკრატებმა – 47, ქრისტიან – სო-ციალისტებმა – 50, -"კავშირი 90/ მწვანეები" – 49, ხო-ლო დემოკრატიული სოციალიზმის პარტიამ 30 მანდა-ტი. სულ იყო 672 მანდატი. ბუნდესტაგის მომდევნო 1998 და 2002 წლების არჩევნებში ყველაზე მეტი მან-დატი მოიპოვა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ. 2002 წლის არჩევნებში სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 251 მანდატი, ქრისტიან დემოკრატებისა და ქრისტიან სო-ციალისტების ბლოკმა 248 მანდატი "კავშირი90/მწვა-ნეებმა"-55 და თავისუფალ დემოკრატებმა-47 მანდა-ტი. მაგრამ ვერც ერთი პარტია ვერ აგროვებს ამომ-რჩეველთა ხმების ნახევარზე მეტს.

გერმანიაში ჩამოყალიბდა ისეთი პარტიულ-პო-ლიტიკური სისტემა, როცა მეტოქეობა ორ ძირითად პარტიას (ბლოკს) შორის მიმდინარეობს, მაგრამ ვერც ერთი ვერ აღწევს ბუნდესტაგში აბსოლუტური უმ-რავლესობის მოპოვებას. მის გამო არჩევნებში გა-მარჯვებულ პარტიას (თუ ბლოკს) უხდება გარკვეუ-ლი ზომით მეორე პარტიასთან ხელისუფლების გაყო-

ფა და მათ უწევთ მესამე ოპოზიციურ ძალებთან ყოფნა. ხოლო კოალიციური მთავრობის პირობებში ოპოზიცია არასრულფასოვანია.

გ ე რ მ ა ნ ი ი ს ს ო ც ი ა ლ უ რ – დ ე მ ო - კ რ ა ტ ი უ ლ ი პ ა რ ტ ი ა (გსდპ Socialdemokratische Partei Deutschlands-SPD) შეიქმნა 1869 წელს მუშათა პარტიებისა და სხვა მემარცხენე პარტიების გაერთიანების შედეგად. მის დაფუძნებაში მონაწილეობა მიიღეს კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა. მალე იგი მუშათთა კლასის ყველაზე ავტორიტეტული პარტია გახდა. გსდპ მონაწილეობა მიიღო II ინტერნაციონალის დაარსებაში და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მის მოღვაწეობაში. პარტიას თავისი წარმომადგენლობა ჰყავდა რაიხსტაგში. მაგრამ XX საუკუნის დასაწყისიდან პარტიაში იდეოლოგიური უთანხმოებები წარმოიშვა, რამაც პარტიის გათიშვა გამოიწვია. მისი მემარცხენე ფრთა კომუნისტებს შეუერთდა. მიუხედავად ამისა, სოციალურ-დემოკრატიული პარტია გერმანიის ერთ-ერთ წამყვან პარტიას წარმოადგენდა, რომელიც რაიხსტაგის არჩევნებში 5-6 მილიონ ხმას ღებულობდა. ხელისუფლებაში ფაშისტების მოსვლის შემდეგ გსდპ, ისე როგორც სხვა პარტიები (გარდა ნაციონალ-სოციალისტებისა) აკრძალულ იქნა. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცნობილი მოღვაწეები იყვნენ: ე. ბერშტეინი, კ. კაუცკი, კ. ლიბკნეხტი, რ. ლუქსემბურგი.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციები გაერთიანდნენ და 1946 წელს შეიქმნა დასავლეთ გერმანიის სოციალ - დემოკრატიული პარტია. პარტიაში გაერთიანებულია ძირითადად დაქირავებული მუშა-მოსამსახურეები, აგრეთვე საშუალო ფენის წარმომადგენლები. პარტიის მთავარი მიზანია გფრ განმტკიცება მოქმედი კონსტიტუციისა და ქვეყანაში არსებული სოციალური წყობილების სრულყოფის ბა-

ზაზე. ბუნდესტაგის არჩევნებში პარტია წლების მიხედვით ამომრჩეველთა ხმების 35-45% ღებულობდა. მას სხვადასხვა მოწვევის ბუნდესტაგში 136-დან 270-მდე დეპუტატი ჰყავდა. პარტიას სხვადასხვა პერიოდში თავის წარმომადგენლები ჰყავდა გფრ მთავრობაში. ხოლო 1969-1982 წ.წ. სოციალ-დემოკრატები მეთაურობდნენ მთავრობას. (ვილი ბრანდტი და ჰელმუტ შმიდტი). ამჟამადაც სოციალ-დემოკრატები წარმოადგენენ მმართველ პარტიას (კანცლერი გერჰარდ შრიოდერი). სოციალ-დემოკრატებს ასევე ერთპარტიული მთავრობები ჰყავთ რამდენიმე მიწაში. აღსანიშნავია, რომ გსდპ სოციალისტური ინტრნაციონალის ერთ-ერთი წამყვანი პარტიაა.

სოციალ- დემოკრატიული პარტიის უმაღლესი ორგანოა ყრილობა, ხოლო ყრილობებს შორის პარტიას ხელმძღვანელობს გამგეობა. ამჟამად პარტიას 740 ათასამდე წევრი ჰყავს. პარტიის თავმჯდომარეა გერჰარდ შრიოდერი.

გ ე რ მ ა ნ ი ი ს ქ რ ის ტ ი ა ნ უ ლ – დ ე - მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი კ ა ვ შ ი რ ი (ქდკ Christlich Demokratische Union - CDU) ბურჟუაზიული-კლერიკალური მიმდინარეობის პარტიაა. (კლერიკალური მიმდინარეობა ცდილობს გააძლიეროს ეკლესიის გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში). პარტიის საფუძველი გახდა ქრისტიანულ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელიც 1945 წელს შეიქმნა ქ. კელნში. ორგანიზაციულად პარტია გაფორმდა 1949 წელს ადგილობრივი ორგანიზაციების (გარდა ბავარიისა) გაერთიანების ბაზაზე. ბავარიში, სადაც ძლეირი იყო სეპარატისტული ტენდენციები დამოუკიდებელი ქრისტიან-სოციალისტური პარტია შეიქმნა. მაგრამ არჩევნების წინ მოხდა მათი სამუშაო გაერთიანება და ბუნდესტაგში ქრისტიან-დემოკრატებმა და ქრიატიან-სოციალისტებმა ერთი ფრაქცია შექმნეს.

ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის პოლიტიკური კურსია სოციალური საბაზრო ეკონომიკის განვითარება, ევროპის ქვეყნებთან ინტეგრაცია. პარტიის ლიდერი იყო ადენაუერი, შემდეგ კიზინგერი და კოლი. ამჟამად პარტიის თავმჯდომარეა ანჟელა მარკელი. ხოლო პარტიის წევრთა საერთო რაოდენობა შეადგენს 617 ათასს.

ქ რ ი ს ტ ი ა ნ უ ლ – ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი კ ა ვ შ ი რ ი (ქსკ Christlich Sociale Union - CSU) ბურჟუაზიულ-პოლიტიკური პარტია ბავარიაში, რომელიც დაკავშირებულია კლერიკალურ, ძირითადად კათოლიკურ წრეებთან და მათი მხარდაჭერით სარგებლობს. პარტია შეიქმნა 1945 წელს ბავარიაში ომამდე არსებული ორგანიზაციების აღდგენისა და გაერთიანების საფუძველზე. ბუნდესტაგში ქრისტიანულ-სოციალისტური კავშირი ქრისტიან-დემოკრატებთანაა გაერთიანებული ერთ ფრაქციაში.

მაგრამ ორგანიზაციულად პარტია სრულიად დამოუკიდებელია. იგი ყველაზე ძლიერი და გავლენიანი პარტიაა ბავარიაში და მისი წარმომადგენლები სათავეში. უდგანან სამხარეო და ადგილობრივ ხელისუფლებას. წლების მანძილზე პარტიის ლიდერი იყო შტრაუსი, ამჟამად პარტიის თავმჯდომარეა ედმუნდ სტოიბერი. ამჟამად პარტიაში ირიცხება 181 ათასი წევრი.

თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ – დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი პ ა რ ტ ი ა (თდპ -Freie Demokratische Partei - FDP) არის წვრილი და საშუალო მესაკუთრეების, თავისუფალი პროფკავშირების, სახელმწიფო მოსამსახურეებისა და ინტელიგენციის უმაღლესი ფენების პარტია. პარტია მხარს უჭერს თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას, მოითხოვს სოციალურ უთანასწორობათა ლიკვიდაციას. თავისი პროგრამით ეს პარტია ახლოს დგას სდპ-თან. წლების განმავლობაში მისი თავმჯდომარე იყო

გენშერი (გფრ ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი). ამჟამად პარტიის თავმჯდომარეა - ქუიდო ვესტერვალე. თვისუფალ-დემოკრატიულ პარტიაში ირიცხება 63 ათასი წევრი. პარტია ყველა მოწვევის ბუნდესტაგში წარმოდგენილი იყო მეტ-ნაკლებად (30-79 დეპუტატის) და მმართველ პარტიასთან ზოგჯერ კოალიციაში, ზოგჯერ ოპოზიციაში იყო.

გარდა ამ ოთხი ძირითადი პარტიისა გერმანიაში რეგისტრირებულია სხვა პარტიებიც. მაგალითად, მწვანეთა პარტია, დემოკრატიული სოციალიზმის პარტია, ნაციონალურ-დემოკრატული პარტია და სხვები. აქედან ბუნდესტაგში თავიანთი წარმომადგენლები ჰყავდათ დემოკრატიული სოციალიზმის პარტიას (1994 წ. არჩევნებში 30 დეპუტატი) და ბლოკს "კავშირი 90\ მწვანეები." ამ უკანასკნელს პარლამენტში თავისი წარმომადგენლები ჰყავთ 1983 წლიდან. ამჟამად პარტიას ორი თანათავმჯდომარე ჰყავს: რაინჰარდ ბიუტიკოფერი და ანჟელიკა ბერი. კავშირში ირიცხება 47 ათასამდე წევრი. ბუნდესტაგის 2002 წლის არჩევნებში ამ კავშირმა მოიპოვა 55 მანდატი. გარდა ამისა გერმანიაში ბევრია პარტიები, რომლებიც მოქმედებენ ცალკეული მიწების ფარგლებში და მათ თავიანთ წარმომადგენლები ჰყავთ ლანდტაგებში და ადგილობრივ ორგანოებში.

გერმანიაში პოლიტიკური პარტიების ფუნქციები, უფლებები და მოვალეობები რეგულირდება ძირითადი კანონითა და ორგანული კანონებით. ბუნდესტაგმა 1967 წლის 27 ივლისს მიიღო კანონი პარტიების შესახებ. აღნიშნული კანონით პარტიები განსაზღვრულია, როგორც მოქალაქეთა გაერთიანებები, რომლებიც ფედერაციის ან ერთ-ერთი მიწის ფარგლებში გავლენას ახდენენ პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებაზე და სურვილი აქვთ მონაწილეობა მიიღონ ხალხის წარმომადგენლობით ორგანოში. ამ კანონში სხვა

საკითხებთან ერთად დადგენილია პარტიების დაფინანსების წესები.

როგორც ცნობილია, პოლიტიკურ პარტიებს თავიანთი ფუნქციების შესრულებისათვის სჭირდებათ გარკვეული ფულადი თანხები, ფინანსები, თანამშრომელთა შესანახად და თავიანთი იდეებისა და პროგრამის პროპაგანდისათვის. საერთოდ პარტიების დაფინანსების ორი გზა არსებობს. კერძო და სახელმწიფო. კერძო დაფინანსება შედგება საწევროებისა და შემოწირულობებისაგან. სახელმწიფო დაფინანსება კი გულისხმობს პარტიებისათვის ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფას, აგრეთვე კერძო შემოსავლების გადასახადისაგან განთავისუფლებას.

გერმანიაში 1959 წლიდან ფედერალური ბიუჯეტიდან გამოიყოფა გარკვეული თანხა პარტიებისათვის. ეს თანხა ნაწილდება ბუნდესტაგში წარმოდგენილ პარტიებზე დეპუტატთა რაოდენობის პროპორციულად. მაგრამ შემდეგ მასში შეტანილ იქნა ცვლილებები. 1967 წლის კანონით სახელმწიფო ბუნდესტაგის არჩევნებში იმ პარტიებს, რომლებმაც ხმების 2,5% მიიღეს თითოეულ მიღებულ ხმაზე გამოყოფდა 2,5 მარკას. საკონსტიტუციო სასამართლომ ხმების რაოდენობა 0,5% დაწია, ხოლო მიღებულ ხმაზე დახმარება 2,5 დან 3-მარკამდე გაზარდა. 1983 წლიდან კი დახმარების თანხა 3-დან 5 მარკამდე გაიზარდა. ასევე დაწესებულ იქნა საგადასახადო შეღავათები შემოწირულობებზე. აღნიშნული კანონის მიხედვით პარტიებმა უნდა შეადგინონ ფინანსური ანგარიშები, სადაც ნაჩვენები უნდა იყოს პარტიის ყველა შემოსავალი და გასავალი. ეს ანგარიში წლის ბოლოს მოწმდება დამოუკიდებელი აუდიტის მიერ. შემდეგ იგი წარედგინება ბუნდესტაგს, რომელიც აქვეყნებს მას და ავრცელებს, როგორც პარლამენტის ოფიციალურ დოკუმენტს. მხოლოდ ამის შემდეგ მიეცემათ პარტიებს სახელმწიფო-

საგან მათთვის გამოყოფილი თანხა. კანონით დადგენილია აგრეთვე ის ორგანიზაციები და პირები, რომლებთაგანაც პარტიებს არ შეუძლიათ მიიღონ დაფინანსება. (პოლიტიკური და რალიგიური ორგანიზაციებიდან, უცხოეთიდან, უცნობი დონორებისაგან.)

აღსანიშნავია, რომ გერმანიაში შემოღებულია მკაცრი კონტროლი საარჩევნო კამპანიაზე, პარტიებისა და დეპუტატობის კანდიდატების მიერ გაწეულ დანახარჯებზე. თუ პარტიამ არ წარმოადგინა ანგარიში ან მასში სწორად არ აჩვენა შემოსავლები და დანახარჯები. მას არ მიეცემა სახელმწიფო დახმარება, ხოლო უკანონოდ მიღებული თანხა გადაეცემა ბუნდესტაგს.

7. საარჩევნო სისტემა

გერმანიაში ბუნდესტაგისა და სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების (ლანდტაგი, ადგილობრივი თვითმმართველობა) არჩევის მეტად ორიგინალური საარჩევნო სისტემა არსებობს. საერთოდ კი წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევის 3 წესი არსებობს: პროპორციული, მაჟორიტარული და შერეული.

პ რ ო პ ო რ ც ი უ ლ ი წესის დროს - პარტიებს შორის დეპუტატთა ადგილების გადანაწილება ხდება თვითეული პარტიის მიერ მიღებული ხმების პროპორციულად. მ ა ჟ ო რ ი ტ ა რ უ ლ ი წესის დროს - ქვეყანა დაყოფილია საარჩევნო ოლქებად და გამარჯვებული გამოდის დეპუტატობის ის კანდიდატი, რომელიც მოცემულ ოლქში ხმების მეტ რაოდენობას მიიღებს. შ ე რ ე უ ლ ი წესის დროს დეპუტატების ნაწილი აირჩევა პროპორციული წესით, ნაწილი კი - მაჟორიტარული წესით.

გერმანიაში ყველა წარმომადგენლობითი ორგანოს

არჩევნები საყოველთაოა, თანასწორი და პირდაპირია, ხოლო კენჭისყრა - ფარულია. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა გერმანელს, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი და რომელიც მოცემულ საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე ცხოვრობს არჩევნებამდე არანაკლები 3 თვე. გამონაკლისს წარმოადგენენ სულიერად ავადმყოფი და სასამართლოს მიერ ხმაჩამორთმეული პირები. ხოლო ბუნდესტაგში შეიძლება არჩეულ იქნან ნებისმიერი ამომრჩეველი, რომელიც არანაკლები ერთი წლისა არის გერმანიის მოქალაქე და რომელსაც სასამართლოს მიერ არა აქვს ჩამორთმეული სახელმწიფო სამსახურში მუშაობის უფლება. არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც შეტანილია საარჩევნო სიაში და აქვს საარჩევნო კომისიის მიერ გაცემული ხმის მიცემის მოწმობა. ხმის მიცემა შეიძლება ფოსტითაც. საარჩევნო სიებს კი ადგენენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. ხოლო მათი სისწორეს ამოწმებს შინაგან საქმეთა სამინისტრო. ბუნდესტაგის არჩევნების ჩატარებისათვის იქმნება ფედერალური საარჩევნო კომისია, მიწების საარჩევნო კომისიები, საოლქო საარჩევნო და საუბნო-საარჩევნო კომისიები. დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენება როგორც წესი სწარმოებს პარტიების მიერ. თუმცა, თავისი კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს უპარტიო პირებსაც.

ბუნდესტაგის არჩევის სისტემა დაფუძნებულია ხმის მიცემის პერსონალურ-პროპორციულ პრინციპებზე. ყოველი ამომრჩეველს აქვს ორი ხმა. პირველ ხმას იგი აძლევს თავისი საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულ რომელიმე კანდიდატს და არჩეულ იქნება ის ვინც მიიღებს მეტ ხმას. მეორე ხმას იგი აძლევს რომელიმე პარტიის მიერ მოცემულ მიწაში წარდგენილ სიას. აღსანიშნავია, რომ სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით

გერმანიაში პარტიული სიები შედგენილია მიწების მიხედვით და ამომრჩევლები აქაური პარტიულ სიაში შეტანილ კანდიდატებს უფრო იცნობენ. ამიტომ მათთვის უფრო ადვილია არჩევანის გაკეთება. უფრო მეტად პარტიების მიერ ბუნდესტაგში გაყვანილ დეპუტატთა რაოდენობა პროპორციულად ემთხვევა მიღებული ხმების რაოდენობას, მაგრამ ზოგჯერ პარტიას შეიძლება მიღებული ხმების პროპორციულ რაოდენობაზე უფრო მეტი დეპუტატი ჰყავდეს. ეს ხდება მაშინ, როცა პარტია საარჩევნო ოლქებიდან პირდაპირი მანდატით შესძლებს ბევრი მაჟორიტარის გაყვანას. ასევე ზოგჯერ შეიძლება პარტიამ 5% ბარიერი ვერ გადალახოს, მაგრამ ბუნდესტაგში შესძლოს ოლქებიდან დეპუტატების პირდაპირი მანდატით გაყვანა. ასეთ შემთხვევაში ბუნდესტაგში, შეიძლება აღმოჩნდეს დეპუტატთა მეტი რაოდენობა. მაგალითად, როგორც ამჟამად არის 603 დეპუტატი, ნაცვლად 598 დეპუტატისა. 2002 წლის ბუნდესტაგის არჩევნებში ასარჩევი იყო 299 დეპუტატი პარტიული სიებით და 299 დეპუტატი მაჟორიტარული წესით. ბუნდესტაგის დეპუტატთა პარტიული სიით არჩევის მიზანია გამოვლინდეს პარტია, რომელსაც მოსახლეობა უფრო მეტად უჭერს მხარს, ხოლო დეპუტატთა პირდაპირი არჩევა საარჩევნო ოლქებიდან მოქალაქეებს შესაძლებლობას აძლევს თავიანთი ხმა მისცენ მათთვის უფრო ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს. ასეთი წესი ზრდის არჩევნებით მოქალაქეთა დაინტერესებას.

8. გერმანია და ევროპის კავშირი

XX საუკუნის 50-იან წლებში დასავლეთ ევროპაში ინტეგრაციული პროცესების განვითარებამ ქვეყნების ეკონომიკური გაერთიანება გამოიწვია. ამ საქმეში უდი-

დესი როლი შეასრულა გფრ-მა. იგი იყო ევროპის გაერთიანებს ინიციატორი. ერთიანი ევროპა-გერმანელ პოლიტიკოსებს ყველა ქვეყნის ნორმალური განვითარების, მშვიდობისა და თავისუფლების გარანტად მიაჩნდათ. ჯერ კიდევ 1951 წელს გფრ-მა, საფრანგეთმა, ბელგიამ, ლუქსემბურგმა და ჰოლანდიამ ევროპის ნახშირისა და ფოლადის გაერთიანება შექმნეს. შემდეგ მას მოჰყვა "ევროატომისა" და "საერთო ბაზრის" შექმნა. 1957 წელს რომში ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ევროპის ექვსი ქვეყანა: გფრ, საფრანგეთი, ბელგია,იტალია, ლუქსემბურგი და ჰოლანდია "საერთო ბაზარში" გაერთიანდნენ, ანუ მათ შექმნეს ევროპის ეკონომიკური გაერთიანება. მოხდა ამ ქვეყნებს შორის არსებული საბაჟო შეზღუდვებისა და სხვა ბარიერების გაუქმება. დაწესდა ერთიანი საგარეო ტარიფი ამ ქვეყნებში შემოტანილ საქონელზე, სამუშაო ძალის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა გაერთიანების შიგნით, ერთიანი პოლიტიკა, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის სფეროებში, კონკურენციის თავისუფლება და მთელ რიგ საკითხებში ერთიანი კანონების შემოღება.

მომდევნო წლებში განხორციელდა ინტეგრაციული პროცესების შემდგომი გაძლიერება და გაფართოება. 1991 წ. მაასტრიხტში ხელი მოეწერა შეთანხმებას ერთიანი ეკონომიკური, სავალუტი და პოლიტიკური კავშირის შექმნის შესახებ. 1993 წლიდან ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებას ევროკავშირი ეწოდა. შემოღებულ იქნა ერთიანი მოქალაქეობა და ევროკავშირის შიგნით უვიზო გადაადგილება, ერთიანი საგარეო და უშიშროების პოლიტიკა. ინტეგრაციის შემდგომი ეტაპი გახდა ევროპის ერთიანი ვალუტის "ევროს" შემოღება. დღეისათვის ევროკავშირი წარმოადგენს მძლავრ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ბლოკს,

რომელიც კონკურენციას უწევს აშშ-ს. ევროკავშირში გაერთიანებულია 15 ქვეყანა. გარდა ამისა ევროპის ეკონომიკურ სივრცეში შედის: ნორვეგია, ისლანდია და ლიხტენშტაინი, ხოლო 12 ქვეყნის ევროკავშირში გაერთიანება დამთავრების პროცესშია. ევროკავშირის 15 ქვეყნის მთელი ტერიტორია შეადგენს 3240 ათას კვადრატულ კმ-ს. ხოლო მოსახლეობა-325 მილიონ კაცს.

როგორც ცნობილია, თანამედროვე პირობებში ნებისმიერი ქვეყნის ნორმალური და მყარი განვითარება შეუძლებელია სხვა ქვეყნებთან კავშირ-ურთიერთობათა გარეშე. ამასთან, მხოლოდ ერთიანი ძალებითაა შესაძლებელი მსოფლიო გლობალური პრობლემების გადაჭრა. ეს ეხება ადამიანთა უფლებებისა და გარემოს დაცვას, განიარაღებასა და მშვიდობის შენარჩუნებას, სიღარიბისა და სიღატაკის წინაარმდეგ ბრძოლას, კოსმოსის ათვისებას და ა.შ.

ამჟამად ევროპისა და მთელი მსოფლიოს წინაშე დგას გრანდიოზული ამოცანა: ყველა ქვეყანაში მშვიდობის, თანაგანსუფლებისა და საერთო კეთილდღეობის დამყარება. ამასთან, გლობალიზაციისა და ინტეგრაციის საფუძველზე დაძლეულ უნდა იქნას კონკურენციული ბრძოლა ეკონომიკურ საქმიანობაში და ინდუსტრიის ეპოქიდან უნდა გადავიდეთ ინფორმაციის ეპოქაში. ამ საქმეში გერმანიას დიდი წვლილი შეაქვს. გერმანიის მშვიდობიანი საშინაო და საგარეო პოლიტიკა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ეროვნულ სახელმწიფოთა დაახლოებას, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების განმტკიცებას, ტერორიზმის, სეპარატიზმისა და ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას.

გერმანია ევროპის კავშირის წამყვანი ქვეყანაა, რასაც უზრუნველყოფს მისი მძლავრი ეკონომიკური პოტენციალი. იგი მშპ, სამრეწველო პროდუქციის, საქონ-

ლის ექსპორტის, შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით მნიშვნელოვნად უსწრებს სხვა ქვეყნებს. გერმანია ეკონომიკურ ურთიერთობათა ლიბერალიზაციისა და ჰარმონიზაციის მომხრეა, რაც მას თავის უპირატესობათა რეალიზაციის საშუალებას აძლევს. გერმანული საქონლის ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში განუხრელად იზრდება. გერმანიას ევროკავშირის ყველა ქვეყანასთან დადებითი სავაჭრო ბალანსი აქვს. ევროკავშირის შექმნით მნიშვნელოვნად გაფართოვდა გერმანული კაპიტალისა და მუშახელის მოძრაობის სივრცე, შემცირდა უმუშევრობა, სწარმოებს ფერმერების სუბსიდირება და სასოფლოსამეურნეო წარმოებისადმი მხარდაჭერა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოსახლეობის მაღალი ხარისხის სურსათით მომარაგება.

ამასთან ერთად ევროკავშირის შექმნამ უარყოფითი შედეგებიც მოგვცა. ეს ეხება სუვერენიტეტის ნაწილობრივ დაკარგვას. ასევე საერთო ხარჯების ზრდას. ხოლო "ევროს" შემოღების შედეგად ფასები გაიზარდა. მაგრამ სპეციალისტების აზრით ფასები მალე მოწესრიგდება. მომავალში კი კოლექტიური ვალუტა "ევრო" ევროკავშირის გაფართოებასთან ერთად მნიშვნელოვნად გაძლიერდება და მსოფლიოში ყველაზე წამყვანი ვალუტა გახდება.

ლიტერატურა:

1. მერაბ კალანდაძე - გერმანიის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ. 2002
2. გია ჭანტურია - მსოფლიოს ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია, თბ. 1997
3. Auswärtiges Amt - Tatsachen über Deutschland, Berlin, 2003.
4. Martin Vogt - Deutsche Geschichte, Stuttgart, 1994.
5. Knaurs Kulturführer in Farbe Deutschlands, Munchen, 1994
6. Основной Закон Федеративной Республики Германии. Берлин. 2001.
7. ФРГ. Конституция и законодательные акты. Москва. 1991.
8. ООН - Доклад о развитиии человека за 2001 год. Нью-Йорк. 2001.
9. Дёмин А.А., Лавров С.Б. ФРГ - география, население, экономика. М., 1982.
10. ФРГ. Сборник под ред. В.Н.Шенаева, Д.Е. Мельникова, М. Шмидта. М., 1983.
11. Вилли Брант - Воспоминания. Пер. с нем. М., 1991.
12. Мухин А.И. Экономическая география ФРГ. М., 1960.

ავტორები

ვლადიმერ ახალაია
ირინე ახალაია

ფორმატი 60X80
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8.25

აიწყო გამომცემლობა „ენა და კულტურის“
კომპიუტერულ ცენტრში

გამომცემლობა „ენა და კულტურა“
თბილისი. ი.ჭავჭავაძის პრ. 45